ქუთაისის
უნივერსიტეტი

გოჩა უგულავა

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა

თბილისი
2023

გოჩა უგულავა:

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა
გამომცემლობა „იველრიონი," თბ., 2023 წ. გვ.220.

UDC 332.145+338.27
უ18

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილულია ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, მისი სტრუქტურა, დაგეგმვის პროცესის პრინციპები და ლოგიკა, ინდიკატორების პროგნოზირების მეთოდები და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე შემუშავებული ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები, მათ შორის რეგიონული განვითარების სტრატეგიები, მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტები.

ნაშრომი სათანადო სამსახურს გაუწევს საჯარო მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პირებს, რეგიონული ეკონომიკური პრობლემატიკით დაინტერესებულ პირებსა და მკვლევარებს, შესაბამისი მიმართულების სტუდენტებს.

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად ნაწილს შეადგენს ავტორის მიერ 2022 წელს ქუთაისის უნივერსიტეტში ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დაცული სადოქტორო დისერტაცია.

რედაქტორი:
ნიკოლოზ ჩიხლაძე - ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები:
მალხაზ ჩიქობავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გურამ უფლისაშვილი - ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

© გოჩა უგულავა, 2023

ISBN 978-9941-8-5334-0

სარჩევი

ავტორისგან ---------- 6
შესავალი ---------- 9

თავი 1. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის კონცეპტუალური ასპექტები

1.1 ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიული საფუძვლები----------14
1.2 სტრატეგიული დაგეგმვის განვითარების ეტაპები და უცხოური გამოცდილება ----------39
1.3 ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა ეკონომიკური განვითარების რეგულირების კონტექსტში ----------56

თავი 2. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება

2.1 ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა:
პრინციპები, სტრუქტურა, პროცედურები ----------64
2.2 სტრატეგიული დაგეგმვის მაჩვენებელთა სისტემა და პარამეტრების პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება ---------- 103
2.3 ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის და ეკონომიკური სისტემის მდგრადობის შეფასებისა და მოდელირების მეთოდოლოგია---------- 117

2.4 სტრატეგიული დაგეგმვისა და ეკონომიკური პროგნოზირების ამოცანებისათვის ხელოვნური ინტელექტის, ხელოვნური ნეირონული ქსელების და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ---------- 138

თავი 3. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში

3.1 ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის სიტემის ევოლუცია პოსტსაბჭოთა საქართველოში ---------- 161

3.2 ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის წარმატებები და ნაკლოვანებები საქართველოში, პრობლემების დაძლევის გზები ---------- 169

რეზიუმე ინგლისურ ენეზე ---------- 190

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 204

ავტორის შესახებ ---------- 219

ვუძღვნი ჩემი მშობლების -
მებული გიორგაძის და გიორგი უგულავას
ნათელ ხსოვნას

ავტორისგან

თანამედროვე პირობებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში სულ უფრო მეტად აისახება მიმდინარე განვითარების ტენდენციები (გლობალიზაცია, მომსახურების სექტორის სწრაფი განვითარება, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება, ინტელექტუალური კომპონენტის ზრდა წარმოებაში, თანამედროვე საზოგადოების ტოტალური კომპიუტერიზაცია, ქსელური ფორმების განვითარება და ა.შ.), დიდ მნიშვნელობას იძენს ახალი გზებისა და თვითგანვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების ძიება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი ნაშრომის გამოცემაც.

წიგნში განხილულია ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, მისი სტრუქტურა, დაგეგმვის პროცესის პრინციპები და ლოგიკა, ინდიკატორების პროგნოზირების მეთოდები და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე შემუშავებული ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები, მათ შორის რეგიონული განვითარების სტრატეგიები, მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტები.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება **სტრატეგიული დაგეგმვის კონცეპტუალურ ასპექტებს** და განიხილავს პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიულ საფუძვლებს, სტრატეგიული დაგეგმვის განვითარების ეტაპებს და უცხოურ გამოცდილებას. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა გაანალიზებულია ეკონომიკური განვითარების რეგულირების კონტექსტში.

მეორე თავში განხილულია **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის საკითხები.** ამ ნაწილში დეტალურად არის გაშუქებული სტრატეგიული გეგმის აგების პრინციპები, ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის ტიპიური სტრუქტურა, დაგეგმვის პროცესის თანმიმდევრობა და ინდიკატორთა ჩამონათვალი. დიდი ყურადღება

ეთმობა სტრატეგიული დაგეგმვის მაჩვენებელთა სისტემას და პარამეტრების პროგნოზირების ეკონომიკური და მათემატიკური მოდელირების საკითხებს. განიხილება დაგეგმვის საკითხების თანამედროვე და პერსპექტიული მიდგომები, მათ შორის საინფორმაციო და გამოთვლითი სისტემების გამოყენებით. აქვე წარმოდგენილია რამდენიმე ინოვაციური მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის პროცესში. კერძოდ, რეგიონების ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის კვლევის მეთოდოლოგია მთავარ კომპონენტთა ანალიზის მეშვეობით და ეკონომიკური მდგრადობის ანალიზი მარკოვის ჯაჭვების მათემატიკური მოდელის გამოყენებით. ყურადღება აქვს დათმობილი ხელოვნური ინტელექტის, ხელოვნური ნეირონული ქსელების და ღრმა სწავლების გამოყენების დღეისათვის არსებულ მდგომარეობას, ამ მხრივ მომავალი განვითარების შესაძლო მიმართულებებს და დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მათი როლის ზრდის პერსპექტივებს.

წიგნის მესამე თავში განიხილება **საქართველოში ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის** არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია ხარვეზები, პრობლემები და შეთავაზებულია მათი გადაჭრის გზები, რაც ასახულია სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნით ნაწილში.

ნაშრომი სათანადო სამსახურს გაუწევს საჯარო მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პირებს, რეგიონული ეკონომიკური პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევარებს, შესაბამისი მიმართულების სტუდენტებს.

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად ნაწილს შეადგენს ავტორის მიერ 2022 წელს ქუთაისის უნივერსიტეტში ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დაცული სადოქტორო დისერტაცია.

ავტორი ნაშრომზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე გაწეული მნიშვნელოვანი დახმარებისათვის, სასარგებლო რჩევები-

სათვის მადლიერებას გამოხატავს რედაქტორის პროფესორ ნიკოლოზ ჩიხლაძის, რეცენზენტების - ასოცირებულ პროფესორ მალხაზ ჩიქობავას და ასოცირებულ პროფესორ გურამ უფლისაშვილის, ასევე პროფესორ გოჩა თუთბერიძის, პროფესორ გივი ბედიანაშვილის, პროფესორ იოსებ არჩვაძის, პროფესორ გიორგი ღავთაძის, ასოცირებულ პროფესორ თეონა გრიგოლაშვილის, პროფესორ პაატა კლდიაშვილის, ეკონომიკის დოქტორ ბორის ჭიჭინაძის, პროფესორ მირზა ხიდაშელის, ასოცირებულ პროფესორ გოდერძი შანიძის მიმართ.

ავტორი მადლიერებით მიიღებს და გაიზიარებს ნაშრომთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, შენიშვნებს და რეკომენდაციებს.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპი ადგილობრივი ეკონომიკური პრობლემების ვრცელი კომპლექსისადმი მზარდი ინტერესით ხასიათდება. დღესდღეობით, სრულყოფას საჭიროებს ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების სისტემა. აუცილებელია რეგიონული და თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ამოცანებისა და რეალიზების მეთოდების განსაზღვრა, არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში თვითმმართველობების როლის გაზრდა. ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება - ადგილობრივი ხელისუფლების ცენტრალური ფუნქციაა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური დღევანდელი ტრანსფორმაციის პერიოდშია. სამწუხაროდ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის უსისტემო სტილი განაპირობებს მრავალ პრობლემას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული საკითხებიც უკანა პლანზეა წანაცვლებული. არსებული პრაქტიკაში, ადგილობრივი ხელისუფლება ძირითად პოლიტიკურ საკითხად აღიქვამს წლიური ბიუჯეტის ფორმირებას. ამ მიდგომის ხარვეზები უკვე ვლინდება ჯერ ერთი, განვითარების პროცესების სირთულისა და დაჩქარების გამო და მეორეც, საზოგადოებრივი და კერძო პარტნიორობის სულ უფრო მეტად გავრცელების გამოც, რაც მრავალი ინსტიტუციის ძალისხმევის კოორდინაციას და შესაბამისი მიმართულების მიცემას მოითხოვს. უფრო მეტიც, საკანონმდებლო ცვლილებებითაც თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებამ ადგილი დაუთმო პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებას. რეგიონებში მომზადდა სოციალური და ეკონომიკური განვითარების რეგიონული გეგმები, რომლებშიც გაიწერა მათი განვითარების სტრატეგია. თუმცა, თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკური განვითა-

რების მართვის ყველაზე ქმედით ინსტრუმენტად სტრატეგიული დაგეგმვა რჩება. ამ წიგნის მთავარი თემა - ტერიტორიული სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია არის, რაც განიხილება როგორც ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ამოცანების რეალიზებისათვის, ამ ამოცანათა გადაწყვეტაში ადგილობრივი ხელისუფლების რაციონალური წვლილის შეტანის გათვალისწინებით. პოსტსაბჭოთა საქართველოში დაგეგმვის ტოტალური უარყოფა ზოგ შემთხვევებში იმდენად დიდი ენთუზიაზმით მიდიოდა, რომ მის კვალობაზე სერიოზული დეზორგანიზების შედეგებს ვიმკიდით. განვითარებულ ქვეყნებში კი, პირიქით - სტრატეგიული დაგეგმვის, როგორც განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის კერძო და საზოგადოებრივ ძალისხმევათა გაერთიანების საშუალების მიმართ, ინტერესი გაიზარდა. ჩვენი განხილვის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, მისი სტრუქტურა, აგების პრინციპები და ლოგიკა, მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) პროგნოზირებისა და მათემატიკური მოდელირების მეთოდები, საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა დონეებზე დამუშავებული ტერიტორიული (რეგიონული) ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები, მათ შორის რეგიონების განვითარების სტრატეგიები, მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტები.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში სულ უფრო მკვეთრად აისახება განვითარების ტენდენციები (გლობალიზაცია, მომსახურების სფეროს სწრაფი განვითარება, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირება, წარმოებაში ინტელექტუალური მდგენელის როლის ზრდა, თანამედროვე საზოგადოების ტოტალური ინფორმატიზაცია, ორგანიზების ქსელური ფორმების განვითრება, სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ტრადიციული წყაროების ამოწურვა და სხვა), სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი

თვითგანვითარების ახალი გზებისა და გადამწყვეტი ფაქტორების მოძიება, რაც წარმოდგენილი თემის აქტუალობას განაპირობებს. საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობები გვაჩვენებს, რომ მენეჯმენტის მრავალმა მეთოდმა და ხერხმა, რომელთა ეფექტიანობა კომერციულ სექტორში დამტკიცდა, თანდათანობით რეგიონული და მუნიციპალური მართვის პრაქტიკაში გადმოინაცვლა. კომერციულ ორგანიზაციათა მეთოდების რეგიონულ მართვაში წარმატებული გამოყენების ნათელ მაგალითს სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს. დღესდღეობით უკვე სადაო არაა, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ტერიტორიულ ერთეულებში ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული პროგრამები ამ რეგიონებისათვის განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. სოციალური პარტნიორობის მექანიზმის მეშვეობით სტრატეგიის ფორმირების პროცესებში აქტიურადაა ჩართული მოსახლეობა. შედეგად, სტრატეგიული გეგმა როგორც მართვისა და მმართველი რგოლის ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასების, ასევე მოსახლეობასთან, საზოგადოებასთან საკომუნიკაციო ინსტრუმენტარიუმის ფუნქციასაც ითავსებს.

ქართულ სამეცნიერო წყაროებში გაზიარებულია მოსაზრება საქართველოში ტერიტორიული ერთეულებისათვის ამგვარი დანიშნულების მქონე, მეცნიერულად დასაბუთებული, გაანგარიშებათა და განზრახულობათა ერთიანი დოკუმენტის შემუშავების საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ, რაც უზრუნველყოფს რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენების საფუძველზე რეგიონის ეკონომიკის სტაბილური განვითარების ხელშეწყობას.

ამდენად, დღის წესრიგში დგას ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფის საჭიროება, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ამოცანების და რეალიზების მეთოდების განსაზღვრა, მართვის ახალი ინსტრუმენტების დანერგვა და მისი მეთოდების სრულყოფა. ამ მიზნით საჭიროა სტრატეგიული

დაგეგმვის სისტემის ერთიანი სტანდარტების, მეთოდოლოგიის, ანალიტიკური ინსტრუმენტების, ინდიკატორთა გაანგარიშებისა და პროგნოზირების როგორც ერთიანი მეთოდების შემუშავება და დანერგვა. შედეგად, მიღწეული იქნება როგორც სხვადასხვა დონეების ანუ ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ჭრილში სტრატეგიების ერთგვაროვნება, მათი შეთანხმებულობა, ჰარმონიზება და სინქრონიზების მექანიზმების სრულყოფა.

მეთოდოლოგიური კვლევების თანამედროვე სწრაფი ზრდა სოციალურ პრაქტიკაში, მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში და ცხოვრების სხვა სფეროებში რევოლუციური ცვლილებებითაა განპირობებული. მეთოდოლოგიის შემუშავებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მეცნიერული ცოდნის დიფერენციაციისა და ინტეგრაციის რეალური პროცესები, ახალი დარგების გაჩენა და განვითარება, მეცნიერების გარდაქმნა საზოგადოების უშუალოდ პროდუქტიულ ძალად. უნდა აღინიშნოს ეგრეთ წოდებული გლობალური კვლევების პრობლემები, რაც მოითხოვს ფართომასშტაბიანი ინტერდისციპლინარული პროგრამებისა და პროექტების დამუშავებას, თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის ყველა სფეროს ეფექტურ ურთიერთქმედებას. ამ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება არა მხოლოდ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების ძალისხმევის ერთმანეთთან დაკავშირება, არამედ ყველაზე რთულ ობიექტთან დაკავშირებით, ინფორმაციის პრინციპული არასრულყოფილების და განუსაზღვრელობის პირობებში სხვადასხვა იდეებისა და გადაწყვეტილებების გაერთიანება. ამ მიმართულებით მუშავდება ისეთი მეთოდები, რომლებსაც გარკვეულწილად შეუძლიათ უზრუნველყონ სხვადასხვა მეცნიერების მეთოდების ეფექტური ურთიერთქმედება და ერთიან კონცეპტუალურ საფუძველზე (მაგალითად, სისტემატური მიდგომა და ა.შ.) მათი სინთეზირება. ამ მიმართულებების შერწყმითაა ნაშრომში გამოკვლეული ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა,

დაგეგმვის პროცესის პროცედურა, მეთოდოლოგიური მიდგომები, არსებული ხარვეზები თუ ნაკლოვანებები, მათი გადაჭრის გზები. ნაშრომში წარმოდგენილია რამოდენიმე სიახლე, რაც ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას უთანაბრობის კვლევის და ეკონომიკური მდგრადობის ანალიზის დროს. ასევე განხილულია დაგეგმვისა და გადაწყვეტილებათა მიღების საკითხებისათვის მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე ხელოვნური ინტელექტის, ხელოვნური ნეირონული ქსელებისა და ღრმა სწავლების, მანქანური სწავლების მეცნიერების კვლევების თანამედროვე მდგომარეობა, განვითარების შესაძლო მიმართულებები და პერსპექტივები.

თავი 1. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის კონცეპტუალური ასპექტები

1.1 ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიული საფუძვლები

ყველა მეცნიერების თუ მისი დარგის მეთოდოლოგიური და შინაარსობითი ასპექტების განხილვისას უპირველესი ამოცანა - მისი ცნებათა აპარატის განსაზღვრაა, იმ ინსტრუმენტარიუმის დადგენა, რომლის მეშვეობითაც კვლევის დასახული მიზნების მიღწევა იქნება შესაძლებელი.პროგნოზირების და დაგეგმვის საკითხებში მეცნიერული პარადიგმა ეყრდნობა განვითარებულ ცნებით აპარატს.

პროგნოზის ცნების ქვეშ მოიაზრება მომავალში ობიექტის შესაძლო მდგომარეობისა და განვითარების ტრაექტორიების დინამიკის, მისი ალტერნატიული განვითარების გზების თაობაზე მეცნიერულად დასაბუთებული წარმოდგენების სისტემა. შესაბამისად, პროგნოზის შემუშავების პროცესი პროგნოზირებას წარმოადგენს. პროგნოზირების კვალდაკვალ საკმაოდ ხშირად „განჭვრეტაც" გამოიყენება. ეს ტერმინი მომავალთან დაკავშირებული მოვლენების ყველაზე ზოგადი მახასიათებელია. განჭვრეტა შესაძლებელია მისი სამი ფორმის სახით იქნას წარმოდგენილი - ჰიპოთეზა, პროგნოზი, გეგმა.

ჰიპოთეზა განეკუთვნება განჭვრეტის სამეცნიერო-კვლევით ფაზას, როდესაც მონაცემები მომავლის შესახებ წარმოდგება ინტუიციაზე და წმინდა თეორიულ კონსტრუქციებზე დაფუძნებულ ვარაუდებზე. პროგნოზირება, ადრეული ფაზებისაგან განსხვავებით, სამეცნიერო-თეორიული ფუნდამენტალობის და პროგნოზულ გათვლებსა და ბალანსებზე დაფუძნე-

ბული საკმაო კონკრეტიკის მქონე წინასწარმეტყველებების ერთიანობისაგან შედგება. პროგნოზის ხასიათი დამოკიდებულია პროგნოზირებადი მოვლენის დროითი ჰორიზონტის ოდენობაზე. ამ ნიშნით პროგნოზები იყოფა: *ოპერატიულ, მოკლევადიან, საშუალოვადიან, გრძელვადიან* და *ზეგრძელვადიან* პროგნოზებად. სხვადასხვა წყაროებში თითოეული ვადა სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. თუმცა, ყველაზე მეტად გავრცელებულია შემდეგი კლასიფიკაცია: ოპერატიული - ერთ წლამდე; მოკლევადიანი - 1-დან - 3 წლამდე; საშუალოვადიანი - 4-დან - 10 წლამდე; გრძელვადიანი - 10-დან - 20 წლამდე; ზეგრძელვადიანი - 20 წლის ზემოთ. პროგნოზირების ობიექტსა და დროით ჰორიზონტზე დამოკიდებულებით შინაარსობრივად პროგნოზები შესაძლებელია იყოს *რაოდენობრივად კონკრეტული ან ხარისხობრივი*. პროგნოზი შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას მკვეთრად გათვლილი, ალტერნატიული ვარიანტების ან სცენარის სახით.

სცენარის ქვეშ იგულისხმება მოვლენათა ჰიპოთეტური თანმიმდევრობა, რომელიც წარმოგვიდგენს არსებული ან მოცემული სიტუაციიდან თუ როგორ განვითარდება ნაბიჯ-ნაბიჯ ობიექტის მომავალი მდგომარეობა. პროგნოზების სცენარები მუშავდება რამოდენიმე დაბალანსებულ ვარიანტში. სცენარები ეფუძნება არსებულ რესურსებსა და შესაძლებლობებს, თუმცა ითვალისწინებს ფაქტორების სხვადასხვა თანაფარდობას და განვითარების განსხვავებულ შესაძლებლობებს. ჩვეულებრივ გამოიყენება სამი სცენარი. *ინერციული (საბაზო) სცენარი* ეფუძნება არსებული ტენდენციების ექსტრაპოლირებას. ამასთანავე, რეტროსპექტული პერიოდის ხანგრძლივობა აღემატება საპროგნოზო პერიოდის ხანგრძლივობას. მეორე ვარიანტია - *ოპტიმისტური სცენარი*, რომელიც გულისხმობს არსებული რესურსებისა და განვითარებული მოვლენების კეთილსაყრელ, სასურველ, ხელშემწყობ თანაფარდობას. ის, მამობილიზებელი ხასიათისაა და სისტემის დინამიკის ტრაექტორიის მაქსიმალურ შესაძლებლობებს გამოხატავს. *პესიმისტური ვა-*

რიანტი გამომდინარეობს მომავალი განვითარების ფაქტორებისა და ტენდენციების არაკეთილსაყრელი თანაფარდობიდან. რეალური ტრაექტორია, ხშირ შემთხვევაში (გარდა ფორს-მაჟორული შემთხვევებისა) პესიმისტურიდან ოპტიმისტურამდე მონაკვეთში ფორმირდება.

ყოველი ფორმით პროგნოზი განეკუთვნება მომავლის დამუშავების წინასწარმეტყველურ ფაზას. ამ მხრივ ის ყოველთვის მოიცავს ასევე მომავლის გაგების მიმთითებელ კომპონენტსაც, რითაც ის ორგანულად უკავშირდება დაგეგმვის მოვლენათა და პროცესების კომპლექსს. პროგნოზების საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის დამუშავება წარმოადგენს პროგნოზირების ფუნქციებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ინტეგრაციის დამახასიათებელ მაგალითს.

დაგეგმვა - ზოგადი გაგებით წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და პრიორიტეტების დასაბუთების პროცესს, მისი მიღწევის გზებისა და საშუალებების განსაზღვრით.შესაბამისად გეგმა - არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების განმსაზღვრელ სხვადასხვა ღონისძიებათა ერთობლიობას და მაჩვენებელთა სისტემას. მასში აისახება როგორც მიზნები და პრიორიტეტები, ასევე რესურსები, მათი უზრუნველყოფის წყაროები, შესრულების თანმიმდევრობა და ვადები. მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ „დაგეგმვის", „სტრატეგიული დაგეგმვის" და „ინდიკატური დაგეგმვის" ცნებები. **სტრატეგიული დაგეგმვა** - პრიორიტეტებისა და მიზნების განსაზღვრის პროცესია, ასევე ის მოიცავს ხანგრძლივი ან საშუალო ვადით ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად, მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლებს და იმავდროულად მათი რეალიზაციის მექანიზმების საფუძვლების ფორმირებას. სტრატეგიული დაგეგმვის დროს წყდება ის ამოცანები, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური ტრანსფორმაციის ძირითად ხასიათს, ეკონომიკის კონკურენტუნარიანო-

ბას და სიმტკიცეს, მოსახლეობის ცხოვრების დონეს და სხვა. საბოლოო შედეგი არ არის მკაცრად ფიქსირებული, ის დროის და სხვა მაჩვენებლების განსაზღვრულ, ზღვრული საზღვრების ზონაში მდებარეობს. ამ კონტექტსტში, განსხვავებულია **ინდიკატური დაგეგმვის** ცნება, რომელიც განიხილება როგორც სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებული მიზნების რეალიზაციის ძირითადი სამუშაო ინსტრუმენტი. მასზეც ვრცელდება არსებული სარესურსო ბაზის და კონკრეტულად ჩამოყალიბებული სოციალური და ეკონომიკური სიტუაციის მიერ დაშვებული შეზღუდვები.

დაგეგმვა სრულად უნდა გათავისუფლდეს იდეოლოგიური ტვირთისაგან, რომელიც მას საბჭოთა პერიოდის დირექტული დაგეგმვის დოგმებისაგან მოყვება. დაგეგმვამ თავისი რეალური შინაარსი უნდა ჰპოვოს, გახდეს განვითარების მიზნების და პრიორიტეტების მეცნიერული დასაბუთებულობის პროცესი, მათი მიღწევის შესაძლო გზებისა და საშუალებების განსაზღვრით.

დაგეგმვასთან მიმართებაში დაზუსტებას საჭიროებს ტერმინი **„პროგრამირება“**. იგი განიმარტება როგორც სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ამა თუ იმ პროგრამის ფორმირების პროცესი. მაგალითად: კომპლექსური, ანტიკრიზისული, ეროვნული, მიზნობრივი, დარგობრივი და სხვა. პროგრამირების ცნებაში შესაძლოა უფრო ვრცელი შინაარსი მოვიაზროთ. დასავლეთის ქვეყნების საპროგნოზო-ანალიტიკურ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება „გლობალური პროგრამირების“ ცნება. ის გულისხმობს მმართველობითი ღონისძიებებისა და საპროგნოზო-დაგეგმვითი დამუშავებების ფართო კომპლექსს, რომელიც ტერიტორიის მაკროეკონომიკური სისტემის ხარისხობრივად ახალ მდგომარეობაში გადაყვანაზეა მიმართული. ამ კონტექტსტში ტერმინი „პროგრამირება“ აზრობრივად უახლოვდება მაკროსისტემათა განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის ცნებას.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაგისტრაური მიმართულებების განსაზღვრის მეთოდებს შორის აღსანიშნავია ასევე, ბოლო დროს პოპულარული **ფორსაიტის** მეთოდოლოგია. მისი თანამედროვე მიდგომები ითვალისწინებს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ეკონომიკის, საზოგადოების გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივების შეფასებას. ყურადღება ექცევა არა მხოლოდ პროგნოზების ჩამოყალიბებას, არამედ პროცესის ყველა აქტორს შორის სისტემური დიალოგის (ექსპერტთა პანელები, სამუშაო ჯგუფები, სემინარები, კონფერენციები და სხვა) მოწყობით განვითარების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებებზე კონსენსუსის მიღწევას. პროგნოზი თუ მეტწილად განჭვრეტას გულისხმობს, ფორსაიტი - შესაძლო მომავლის ვარიანტებიდან, დღეს განხორციელებულ ქმედებებზე ერთის დადგომის დამოკიდებულებას ითვალისწინებს. ფორსაიტ-პროექტების განსახორციელებლად ძირითადად გამოიყენება *ექსპერტთა პანელები, დელფი-გამოკითხვა, სცენარების აგება, კრიტიკული ტექნოლოგიები* ან მათი სხვადასხვა კომბინაცია. სამეცნიერო-ტექნოლოგიური ასპექტების პროექტებისათვის დამატებით შესაძლებელია *ტექნოლოგიური საგზაო რუკების* გამოყენებაც.

ყურადღებას იმსახურებს კიდევ ორი მნიშვნელოვანი ტერმინის განხილვა. ესენია: საპროგნოზო მაჩვენებლები და რესურსების საპროგნოზო ბალანსები. **საპროგნოზო მაჩვენებლები** იძლევა სრულ წარმოდგენას ობიექტის დინამიკის მახასიათებელ პარამეტრებზე. მაჩვენებლები შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს უნდა პასუხობდნენ:

- უნდა იყვნენ სრული, რათა ობიექტის დინამიკის დახასიათებისას, ასევე ამ დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორებიც გაითვალისწინონ;
- მაჩვენებელთა რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს, უპირატესობა განზოგადებულ მაჩვენებლებს ენიჭებათ, რათა არ გავართულოდ გაანგარიშებები და დეტალებს მიღმა მთავარი არ დაიკარგოს;

- დაგეგმვის დროითი ჰორიზონტის გაზრდის კვალობაზე მაჩვენებლების რაოდენობა უნდა შემცირდეს, ხოლო ალტერნატიული ვარიანტების და სცენარების ურთიერთდაცილება გაიზარდოს;
- აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს როგორც სტატისტიკური, ასევე საპროგნოზო მაჩვენებლების მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტე და სანდოობა.ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს გაანგარიშებითი კონსოლიდირებული მაჩვენებლები, რომლებიც ექსპერტთა შეფასებებს და მაკრომოდელების შედეგებს ითვალისწინებს.

რესურსების საპროგნოზო ბალანსები გვაჩვენებს ეკონომიკაში გამოყენებული რესურსების მოცულობისა და ხარისხის ძირითადი მაკრომაჩვენებლების საპროგნოზო დინამიკას. მათ შორის აღსანიშნავია *შრომითი რესურსების, ძირითადი ფონდების, მატერიალური* და სხვა ბალანსები.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის სფეროს ძირითადი ტერმინებისა და ცნებების განმარტების შემდეგ გავაანალიზოთ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული **პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიული საფუძვლები.** საზოგადოების ცხოვრება წარმოუდგენელია მომავლის განჭვრეტის, მისი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირების გარეშე. ეკონომიკური პროგნოზები აუცილებელია საზოგადოების განვითარების შესაძლო მიზნებისა და მიმართულებების განსაზღვრისათვის, საჭირო ეკონომიკური რესურსების გათვლის, მიმდინარე გრძელვადიანი გეგმების ეკონომიკურად ეფექტური ვარიანტების გამოვლენის, პოლიტიკის დასაბუთებისა და მიღებული გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტის მიზნებისათვის. ამდენად სწორედ პროგნოზირება და დაგეგმვაა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ფაქტორები განვითარების სტრატეგიის ფორმულირების პროცესებში.

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საფუძვლების გააზრებისას მნიშვნელოვანია გავათვითცნობიეროთ საპროგნოზო საქმიანობის მნიშვნელობა, მისი როგორც

სოციოდემოგრაფიული, ეკონომიკური, ინოვაციურ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სხვა სფეროების მომცველი, ქვეყნის განვითარებისა და მსოფლიო ტენდენციების გამათვალისწინებელი ერთიანი პროცესის როლი და ადგილი განვითარების სტრატეგიის წარმატებული დამუშავებისა და რეალიზაციის საქმეში. პროგნოზირება მისი შემადგენელი *თეორიულ-შემეცნებით, განჭვრეტით და მმართველობით ფუნქციებზე* დაყრდნობით უზრუნველყოფს ობიექტის აღწერას, მისი გამოვლენილი ცვლილებების კანონზომიერებათა აღწერის საფუძველზე მომავალი განვითარების, ცვლილებების შესაძლო ვარიანტების განჭვრეტას და განვითარების სასურველი ვარიანტების რეალიზაციისათვის გასატარებელი ღონისძიებების გადაწყვეტილებების ფორმირებას. პროგნოზების აგების სიზუსტე, რეალურობა ეფუძნება მის საფუძველში არსებული ორი პრინციპული მეთოდოლოგიის - გენეტიკური და ნორმატიული (თელეოლოგიური) მიდგომების სწორ გამოყენებას. მხოლოდ მათი ურთიერთშევსებით, შერწყმით არის შესაძლებელი ოპტიმალური წინადადებების შემუშავება. **გენეტიკური მიდგომის** ამოსავალია ობიექტის განვითარების ისტორია. ფუძემდებლური ფაქტორების დაფიქსირებით განისაზღვრება განვითარების თავისებურებები, მტკიცე ტენდენციები და კანონზომიერებები. აქედან აიგება ჰიპოთეზები და დასკვნები-მის მომავალ ცვლილებებზე. **ნორმატიული (თელეოლოგიური) მიდგომა** მოიცავს არსებული მიზნებისა და სარესურსო ბაზის გათვალისწინებით ობიექტზე მიზანმიმართული ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობების და აუცილებლობების ერთობლიობას. ამ განსხვავებულ მიდგომებს პრობლემის დასმის სხვადასხვაგვარი კითხვებიც გამოსახავს. გენეტიკური მიდგომისათვის მსჯელობა ეფუძნება კითხვას: „რა მოხდება თუ...?“; ხოლო ნორმატიული მიდგომისათვის - „რა უნდა გავაკეთოთ, რომ მივიღოთ ეს მომავალში?“ იმავდროულად, მეორე შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიზნების დასახვის დასაბუთებულობას, ფასდება არა მხოლოდ ნორმატიული

მდგომარეობები, არამედ მომავლისაკენ მოძრაობის სასურველი ტრაექტორიები. პრაქტიკაში, პროგნოზების და გეგმების დასაბუთებულობისა და მიზანმიმართულებისათვის სასურველია ორივე მიდგომის შერწყმული გამოყენება.

პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებში გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა ცხოვრობს უწყვეტი პროგრესის კანონების მიხედვით. ის გაივლის ჩასახვის, ჩამოყალიბების, აღმავლობის, სტაბილური განვითარების, ვარდნისა და კრიზისის, ინოვაციური განახლებისა და ახალი ციკლის ბუნებრივ ფაზებს. ამიტომ ტრადიციული წრფივი ექსტრაპოლარული მიდგომები ნაკლებ ეფექტურია. უფრო საიმედო, მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზები შესაძლებელია აგებულ იქნას ცნობილი მეცნიერის ნ. კონდრატიევის თეორიული კვლევების შედეგების გამოყენებით. მისი **„განჭვრეტის თეორია“** გრძელვადიანი პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის საიმედო სამეცნიერო ბაზად იქცა. განჭვრეტის საფუძვლად კონდრატიევი *შემეცნებას და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს* იხილავს. შემეცნების სამი საფუძველი გამოხატულებას სამი ტიპის კანონში ჰპოვებს. *სტატიკის კანონზომიერებები* განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პროპორციებს, უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას, შემადგენელ ელემენტთა დაბალანსებულობას. *დინამიკის კანონზომიერებები* ხელს უწყობს ამ სისტემის ცვლილებების, ციკლური რხევების ურთიერთგავლენის ტენდენციების, კრიზისების დადგომის და კრიზისდან გამოსვლის ოპტიმალური გზების არჩევის განჭვრეტას. *სოციოგენეტიკის კანონზომიერებები* - საზოგადოებრივი სისტემების განვითარების შიდა ლოგიკის, მემკვიდრეობითობის და მათი დინამიკაში ცვლილებების გამოვლენის საშუალებებს იძლევა. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში კონდრატიევი სამი ტიპის განჭვრეტას ანსხვავებდა. *პირველი ტიპი* - კონკრეტული, არარეგულარული, შემთხვევითი მოვლენების განჭვრეტა; ამ ტიპის მოვლენათა

განჭვრეტას მეცნიერება არ ახორციელებს. *მეორე ტიპი* - ამ მოვლენათა კვლევა, რომელთაც განმეორებითობა ანუ ციკლურობა ახასიათებთ; სწორედ ამ ტიპის მოვლენათაკვლევის შედეგად დაადასტურა მან კონიუნქტურის დიდი ციკლების არსებობა. *მესამე ტიპი* - გამოსაკვლევი ობიექტის მომავალი დინამიკის ტენდენციების გამოვლენაში მდგომარეობს. კონდრატიევის ნაშრომებში ხაზგასმულია პერსპექტული გეგმებისა და განჭვრეტის განუყოფელი კავშირი. გეგმის აგების მთავარ მოთხოვნად მას მიაჩნდა მომავალზე ეკონომიკური სინამდვილის ტენდენციების ექსტრაპოლირებაზე დაფუძნებული გენეტიკური მეთოდოლოგიური მიდგომის და პერსპექტიულ პერიოდში დამოუკიდებელი მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული თელეოლოგიური მეთოდოლოგიური მიდგომის აუცილებელი შეთანაწყობა, ერთობლივი გამოყენება. და რა თქმა უნდა სხვა შემზღუდავი თუ მაკორექტირებელი, განმსაზღვრელი, მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა, რამდენადაც განსხვავებული არ უნდა იყოს მისი კონკრეტული ფორმები და მეთოდები, ვითარდება დროში მისი წინმსწრები საზოგადოების სტრატეგიულ შესაძლებლობათა ყოველმხრივი პროგნოზირების ეტაპებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. პროგნოზირების, დაგეგმვის, პროგრამირების ყველა ფორმა და ფაზა მიზანშეწონილია გაანალიზდეს როგორც ერთიანი, მთლიანი პროცესი.

სტრატეგიული დაგეგმვა განისაზღვრება როგორც სტრატეგიის ფორმირების, რეალიზაციის და მიღწეული შედეგების დასახულ მიზნებთან შესაბამისობის კონტროლის პროცესი. სტრატეგიული დაგეგმვის ობიექტად შეიძლება განვიხილოთ როგორც ფირმა, ასევე ქალაქი, თვითმმართველი ერთეული, რეგიონი, ქვეყანა. ანუ, ჩვენს შემთხვევაში, უმთავრესიობიექტი, რომლის მიმართაც გაანალიზდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები - ქვეყნის მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური სისტემებია - რეგიონული ეკონომიკებია - როგორც

მისი შემადგენელი დარგების, კლასტერების, სხვადასხვაგვარი სამეურნეო სისტემების სტრუქტურული მთლიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ მართვის ზოგადი პრინციპები ერთიანია ფირმისა თუ თვითმმართველი ერთეულისათვის, თითოეული მათგანი მაინც რიგი თავისებურებებით ხასიათდება. სხვაობა დაკავშირებულია ტერიტორიული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკასთან, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და სხვა საჯარო ინტერესების დაცვასა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, საჯარო პროდუქტის წარმოებაზე, ადამიანური პოტენციალის აღწარმოებისა და განვითარებისათვის პირობების შექმნაზე.

სტრატეგიული დაგეგმვა ტერიტორიული ერთეულის განვითარების თვალსაზრისით გულისხმობს დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ტექნოლოგიას, იმ თანმიმდევრობის დამუშავებას, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის, პირობების შემდგომ გაუმჯობესება-განვითარებაზე. სტრატეგიული დაგეგმვა ერთდროულად პროცესიცაა და პროდუქტიც, ანუ მოიცავს როგორც სტრატეგიის დამუშავებას, ასევე მის კონკრეტიზაციას, სტრატეგიული გეგმის - დოკუმენტის სახით. ამდენად, ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა არის სისტემატური და უწყვეტი პროცესი, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი თემი, საზოგადოება აყალიბებს თავის მომავალს და ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებითგანსაზღვრავს მისი მიღწევის ეტაპებს.

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგია განიხილება როგორც ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ამოცანების რეალიზებისათვის, ამ ამოცანათა გადაწყვეტაში ადგილობრივი რაციონალური წვლილის შეტანის გათვალისწინებით. ეს სტრატეგია ყველა ტერიტორიული ერთეულისათვის ერთგვაროვანი ვერ იქნება, რაც განპირობებულია ამ ერთეულების რესურსული უზრუნველყოფის, მეურ-

ნეობის სტრუქტურის, მიღწეული დონის, ტრანსფორმაციის ტემპების და სხვა არსებითი განსხვავებებით. თავის მხრივ, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განისაზღვრება როგორც ობიექტური (მაკროეკონომიკური პირობები, დარგობრივი სტრუქტურა, მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები და სხვა), ასევე სუბიექტური ფაქტორებით (მართვის მეთოდები). კრიზისის დაძლევისა და განვითარების რთულ პირობებში შედარებითი უპირატესობა უპირველესად იმ ერთეულებს გააჩნიათ, რომლებიც განვითარებისათვის იყენებენ მართვის ადეკვატურ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.

დამატებით დაზუსტებას საჭიროებს ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების კონტექსტში მოყვანილი **„ტერიტორიის" ცნება.** როგორც ცნობილია, რეგიონული ეკონომიკის მეცნიერებისათვის მნიშვნელოვან, ცენტრალურ, ღერძულ ცნებას - „რეგიონის" განმარტება წარმოადგენს. ამდენად საინტერესოა განვიხილოთ მისი დამოკიდებულება „ტერიტორიის" და „რაიონის" ცნებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით, თითქოსდა ამ ცნების შინაარსის თავისთავადობის, სიმარტივის, სიცხადის მიუხედავათ მისი ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი განმარტება სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება. ყოველი მეცნიერ-რეგიონალისტი ამ ცნებას თავისებურად განმარტავს, პრიორიტეტულად გამოყოფს ცნების ამა თუ იმ მხარეს, ასპექტს, რაც თანამედროვე რეგიონალურ კვლევებში მიმართულებებისა და მეთოდოლოგიური კონცეფციების მრავალფეროვნებას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამეცნიერო პრაქტიკაში რეგიონალზმის საკითხების მიმართ მზარდი დაინტერესების ამხსნელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი - რეგიონალიზაციასა და გლობალიზაციას შორის მტკიცე ურთიერთკავშირია. სამეცნიერო დისკურსში დომინირებს პოზიცია: „მსოფლიო ეკონომიკის რეგიონალიზაცია ნაწილობრივ ნაკარნახევია გლობალიზაციის დამანგრეველი შედეგების მიმართ სახელმწიფოთა უკუქმედებით".

ამ მხრივ მნიშვნელოვანია *უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში* არსებული შეხედულებები. საინტერესოა *ამერიკელი* მეცნიერების პ.ჯეიმსის და ჯ.მარტინის ხედვა. აღიარებენ რა არსებულ აღრევას „რეგიონის " და „რაიონის" ცნებებს შორის, ისინი აღნიშნავენ, რომ „რეგიონის" ცნება განიმარტება როგორც ტერიტორიის ერთიანი, მთლიანი ნაკვეთი, რომელიც თავის საფუძელში ერთგვაროვნებით გამოირჩევა, მაგრამ არ გააჩნია მკვეთრი საზღვრები. მისთვის დამახასიათებელი გარკვეული ერთგვაროვნება არის მთავარი მახასიათებელი, ის სპეციფიკურია და წარმოადგენს ამ ტერიტორიის გამიჯვნის საფუძველს. მსგავს განმარტებებამდე მიდიან ამერიკელი მეცნიერები „რაიონის" ცნების შემთხვევაშიც. ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ვ. ჯონსის მიერ რაიონი განიმარტება როგორც ტერიტორია, რომელშიც არის ერთი ან რამოდენიმე მიმართულებით ერთგვაროვნება. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორი ვუფტერი აღნიშნავს, რომ რაიონი არის ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობამ შექმნა ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის ერთგვაროვნება. მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორის რ. ჰარტსჰორნის აზრით, რაიონი - უწყვეტი ტერიტორიაა, რომლის ფარგლებშიც არსებობს ერთგვაროვნება ზოგად (ბუნებრივ, კულტურულ) ლანდშაფტში. ჩიკაგოელი პროფესორი რ. პლატი რაიონს უწოდებს ტერიტორიას, რომელიც გამოიყოფა მიწის ხასიათის ერთგვაროვნებისა და მისი გამოყენების ზოგადი ერთგავროვნების საფუძველზე. ეკონომიკური რაიონირებისა და რეგიონთმცოდნეობის პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრების მასალების საფუძველზე აშშ კონგრესის ეროვნული რესურსების კომიტეტის რაიონირების ქვეკომიტეტის მიერ შემდეგი შემაჯამებელი განმარტება გაკეთდა: „რაიონი - არის ტერიტორია, რომელიც ხასიათდება ერთ ან რამოდენიმე ასპექტში ერთგვაროვნებით".

რეგიონთმცოდნეობის ინტერესი ტერიტორიათა სოცია-

ლურ-ეკონომიკური რაიონირების მიმართ ასევე დამახასიათებელია *ევროპის ქვეყნებისთვისაც*. რეგიონული იდეები განსაკუთრებით გააქტიურდა ევროპაში 1996 წლის 4 დეკემბრის შემდგომ, როდესაც 300-ზე მეტმა ევროპულმა რეგიონმა სხვადასხვა ტერიტორიის ფართობით, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობით, 400 მილიონი მოქალაქის წარმომადგენლობით მიიღო ევროპაში რეგიონალიზმის შესახებ დეკლარაცია. დეკლარაციაში ჩაწერილია, რომ რეგიონი წარმოადგენს განსხვავებული პოლიტიკური თვითმყოფადობის გამოხატულებას, რომელმაც სხვადასხვა პოლიტიკური ფორმა შეიძლება მიიღოს, გამოხატავს რა თითოეული რეგიონის დემოკრატიულ ნებას შეიძლება მიიღოს პოლიტიკური ორგანიზაციის ესა თუ ის ფორმა, რომელსაც ის უპირატესად მიიჩნევს. რეგიონი თავად ირჩევს თავის ხელმძღვანელობას და ადგენს მისი წარმომადგენლობისთვის განსხვავებულ ნიშნებს.

ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ სხვადასხვა მიზნებისათვის გამოყენებული რეგიონების კლასიფიკაციის საფუძველს 1988 წლიდან წარმოადგენს **„ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისათვის" (Nomenclature of Territorial Units for Statistics–NUTS)**. ეს ნომენკლატურა, ერთი მხრივ რეგიონული სტატისტიკის ორგანიზებისათვის ერთიანი, უნივერსალური მიდგომის არსებობას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილ ადმინისტრაციულ დაყოფასაც ითვალისწინებს. ამიტომ ნომენკლატურის საფუძველს - ნორმატიული რეგიონები წარმოადგენს - ეროვნულ ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორიული ერთეულები. კლასიფიკაციის დონეებზე რეგიონები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: NUTS1 - 98 რეგიონი, NUTS2 - 276 რეგიონი, NUTS3 – 1342 რეგიონი.

რეგიონალიზაცია - საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში რეგიონების როლის ზრდის პროცესია. იმავდროულად, რეგიონალიზმი - დამოუკიდებელი

სოციო-კულტურული და პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც ევროპაში აღმოცენდა. ის დაუსაბუთებელი ცენტრალისტული ტენდენციების წინააღმდეგ გამოდის. სწორედ ევროპაში შედგა რეგიონალიზმი როგორც ტერიტორიათა სოციოკულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის გადაწყვეტილებათა ძიებისა და დაცვის პროცესი. რეგიონალიზმი მიუთითებს საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში პერიფერიის როლის ზრდის აუცილებლობაზე, ამა თუ იმ რეგიონის კულტურულ და ისტორიულ ტრადიციებთან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურების ორგანულ კავშირზე.

ფინელი მეცნიერი პ. იუკარაინენი თვლის, რომ „რეგიონალიზმის" ტერმინის ქვეშ შეიძლება მოვიაზროთ ისეთი სხვადასხვაგვარი პროცესები, როგორიცაა სეპარატიზმი, ეთნიკური უფლებებისათვის ბრძოლა, სახელმწიფო მოწყობის დეცენტრალიზაცია, მეზობელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლობა, რეგიონული ქსელური ინტეგრაცია და ა.შ. ჰიურელი მიუთითებს, რომ რეგიონი - ეს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების ტერიტორიული ორგანიზების ბენბრივი, ორგანული პრინციპია. ამ კონტექსტში რეგიონალიზმის ანალიზი ისეთ კატეგორიებში ხდება, როგორიცაა:

- ერთად თანამცხოვრები ეთნიკური, რასობრივი და ენობრივი ჯგუფების სოციალური ერთობა;
- მოცემული ტერიტორიის ფარგლებში ფუნქციონირებადი სამეურნეო და სამრეწველო ერთეულების ეკონომიკური ურთიერთშევსების უნარი;
- კულტურასთან, რელიგიასთან, ისტორიულ ტრადიციებთან დაკავშირებული საერთო ფასეულობების თავსებადობა, პოლიტიკური სოლიდარობა.

რუსი მეცნიერების მიერ „რეგიონის" კატეგორიის განმარტებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომების მიმოხილვა აჩვენებს, რომ ამ ტერმინის შინაარსისადმი დამოკიდებულების

დიდი მრავალფეროვნება არსებობს. ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ ძირითადი მიდგომები და შედეგად ამ სიმრავლის სისტემატიზება მოვახდინოთ. არსებული განმარტებების კლასიფიკაციისათვის მიდგომათა ანალიზი შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს წარმოაჩენს: სისტემურს, კომპლექსურს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულს, ტერიტორიულ-სამეურნეოს, ტერიტორიულ-გეოგრაფიულს და სოციალურს. მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნული მიდგომები და კრიტერუმები, რომელთაც ეფუძნებიან ამ მიდგომების ფარგლებში გაკეთებული განმარტებები.

ქართლის ცხოვრების თანახმად, ჯერ კიდევ IV-III საუკუნეებში ჩვენსწელთაღრიცხვამდე ფარნავაზ მეფის მიერ სამეფო შვიდ საერისთავოდ და ერთ ცენტრალურ რეგიონად - სასპასპეტოდ იყო დაყოფილი. შუა საუკუნეებში მიწების დაყოფა ტიპიური ფეოდალურისახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პრინციპებით ხდებოდა: სახელმწიფო, სასეფო-საფეოდალო (საერო ფეოდალებისა და საეკლესიო-სამონასტრო) მიწებად თავის მხრივ პირველი იყოფოდა საერისთავოებად და ხევებად, ხოლო მეორე სამოურავოებად. რუსეთის იმპერიაში ყოფნის პერიოდში კავკასია მთავარმართებლის (მეფისნაცვლის) მიერ იმართებოდა, ხოლო ტერიტორია გუბერნიებად და ოლქებად იყოფოდა, რომლებიც თავის მხრივ მაზრებისა და ოკრუგებისაგან შედგებოდა. დაყოფის უმცირეს რგოლს მაზრებში შემავალი ქალაქები და სასოფლო საზოგადოებები, ასევე საპოლიციო უბნები წარმოადგენდნენ. 1921 წელს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით საქრთველოში გამოიყოფოდა 18 ოლქი და დედაქალაქი თბილისი, იქმნებოდა სამი ავტონომიური ერთეული. ოლქების საზღვრები ძირითადად მანამდე არსებული მაზრების საზღვრებს ემთხვეოდა. ტერიტორიული მოწყობა ძირეულად შეიცვალა საბჭოთა საქართველოს პირობებში, როდესაც ქვეყანა უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად - რაიონებად დაიყო. საბჭოთა პერიოდის განმავლობაში რამოდენიმეჯერ

ხდებოდა დაყოფის მცირე, ექსპერიმენტული, მოკლევადიანი ცვლილებები. თუმცა, საბოლოოდ 1989 წლისათვის საქართველოში იყო სამი ავტონომიური წარმონაქმნი (ორი რესპუბლიკა და ერთი ოლქი), 8 ქალაქი (მათ შორის დედაქალაქიც), 69 რაიონი (61 ქალაქის, აქედან 4 - საკავშირო დაქვემდებარების, 52 დაბის და 942 სასოფლო საბჭოში გაერთიანებული 4488 სოფლის შემადგენლობით). ასეთი წვრილი დაყოფა ნაკარნახები იყო სისტემის მიერ მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლის დაწესების საჭიროებით.

გარკვეული ცვლილებები განიცადა ტერიტორიულმა მოწყობამ პოსტსაბჭოთა საქართველოში. გაუქმდა ავტონომიური ოლქი, საბჭოებს საკრებულოები ეწოდათ, თუმცა ტერიტორიის რაიონებად დაყოფა ძალაში დარჩა. თვითმმართველობა საკრებულოების მეშვეობით ხორციელდებოდა, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანოები რაიონების დონეზე ფუნქციონირებდნენ. 1993-1996 წლებში სახელმწიფოს მეთაურის (შემდგომ საქართველოს პრეზიდენტის) ბრძანებულებებით განისაზღვრა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები - მხარეები, რომლებიც გარკვეული რაიონების გაერთიანებებს წარმოადგენდნენ და დაახლოებით ემთხვეოდენ ტერიტორიულად საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეებს. მხარე არ წარმოადგენდა თვითმმართველ ერთეულს, მის ლეგალურ დეფინიციას არც კონსტიტუცია და არც კანონები არ იძლეოდნენ. მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ფუნქცია იყო ზედამხედველობა გაეწია მასში შემავალი რაიონების ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობისათვის, განეხორციელებინა ეკონომიკური რეფორმები, მართლწესრიგის განმტკიცება და სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაცია. შემდგომი ცვლილებებით 2005-2007 წლებში გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობა სოფლის, თემის, დაბის დონეზე, ხოლო ადგილობრივი მმართველობა რაიონის დონეზე. ადგილობრივი თვითმმართველობა ჩამოყალიბდა რაიონებისა და ქალაქების

დონეზე, რომელთაც მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი ეწოდათ შესაბამისად. 2007 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც გუბერნატორი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელია განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. ოფიციალურ დოკუმენტებში ფორმალური ხმარებიდან ამოვიდა მხარის ცნება. მათი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა: შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება, ინვესტიციების მოზიდვისა და რეგიონული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა. მცირედი ცვლილებები განხორციელდა 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედების შემდგომ. ყველა თვითმმართველ ერთეულს მუნიციპალიტეტი ეწოდა, რომლებიც თვითმმართველი ქალაქისა და თვითმმართველი თემის სახითაა წარმოდგენილი. საბოლოო სახით საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, ეს საქართველოს კონსტიტუციაშიცაა დაფიქსირებული: „საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.“

2022 წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მუნიციპალიტეტების რეესტრში რეგისტრირებულია 69 მუნიციპალიტეტი, აქედან 5 თვითმმართველი ქალაქი (მათ შორის დედაქალაქი თბილისი) და 64 თვითმმართველი თემი. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მუნიციპალიტეტების რეესტრი). მართალია არ გააჩნიათ ფორმალური ლეგალური საკანონმდებლო დეფინიცია, საკუთარი ფინანსური რესურსები (ბიუჯეტი) და ადმინისტრაციული უფლებამოსილებები (პირ-

დაპირი განკარგვითი ძალაუფლება), თუმცა რეგიონული პოლიტიკის ობიექტურ საფუძვლად მაინც რჩებიან მხარეები-რეგიონები. ეს მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. როგორც დ. მოურავიძე აღნიშნავს, საქართველო ყოველთვის იყო რეგიონულ თავისებურებათა ქვეყანა. საყურადღებოა ამ რეგიონებს შორის სხვაობა ბუნებრივ-კლიმატურ, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით უზრუნველყოფის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიღწეული დონეების, მათი საწარმოო და სოციალური სპეციალიზაციის, დემოგრაფიული პროცესების, ისტორიული ტრადიციების, ჩვეულების, კულტურის, ეროვნული შემადგენლობის თავისებურებები. როგორც პროფესორი ნ. ჩიხლაძე აღნიშნავს - საქართველოს განვლილი და დღევანდელი თავისებურებების გათვალისწინებით, რეგიონებს შორის არსებულ ისტორიულ განსხვავებას ყოველთვის ჰქონდა არსებითი ზეგავლენა ქვეყნის პოლიტიკაზე, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე. საქართველო ყოველთვის რეგიონების მიხედვით იმართებოდა. მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, მეურნეობის, ცხოვრების რეგულირების მექანიზმები, სახელმწიფო და არასახელმწიფო რეგულირების მექანიზმები გარკვეულწილად ყოველთვის რეგიონის კონკრეტული პირობების, მისი ინტერესებისა და პრობლემების გამოხატულება იყო. ამიტომაც, ასკვნის ის, ქვეყანაში აუცილებლად უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს იმგვარი რეგიონული პოლიტიკა, რომელიც რეგიონების თავისებურებების და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით დაეფუძნება დიფერცირებულ მიდგომებს, აიცდენს შაბლონებს და საფუძვლად დაედება საქართველოს მეურნეობის სახელმწიფო რეგულირებას, მართვასა და განვითარებას.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მომოხილვიდან ჩანს, „რეგიონის" ცნების კონცეპტუალური, არსებითი განმარტება - სხვა ცნებების გამოყენებით მის აღწერას გულისხმობს, მის უნიკალურ თვისებებსა და ელემენტებზე მითითებას. თუმცა „რეგიონის" ცნების ასეთი პოზიტიურად ჩამოყალიბებული,

არა ცირკულარული, საწყისი მკაფიო ტერმინებით განსაზღვრული განმარტება მრავალ სირთულეს მოიცავს თვით ცნების შინაარსის არაორდინალურობის, სირთულის და მრავალფეროვნების გამო. ამიტომ ამ ტერმინის განმარტებისას უპრიანია დამატებით გამოვიყენოთ ოპერაციული განსაზღვრების ანალოგიით ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტარიუმი - მოვახდინოთ კონკრეტული ოპერაციების ან პროცედურების ტერმინებით დეფინიცია, რომელიც ცნებების მნიშვნელობის სტანდარტიზაციის სტრატეგიის ანუ ოპერაციონალიზაციის შედეგად მიიღება.

„რეგიონის" ცნება სოციალურ მეცნიერებათა უნივერსალურ კატეგორიას განეკუთვნება. ამ ტერმინის ინტეგრაციული შესაძლებლობები საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ მივაკუთვნოდ ის სხვადასხვა მეცნიერებას, არამედ მისი მეშვეობით დავაკავშიროთ ეს მეცნიერებები და ტრანსფორმირების საშუალებით გარდავქმნათ მათი კომპონენტები. რეგიონული კვლევის ერთიან სისტემაში ტერმინი „რეგიონი" მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება:

- „რაიონის" ტერმინის სინონიმად;
- ტაქსონირების სიტემის ფარგლებში, სხვადასხვა სისტემის ან ერთი სისტემის სხვადასხვა დონეების კუთვნილი ტაქსონების აღსანიშნავად;
- იმ ტერიტორიების აღსანიშნავად, რომლებიც თავიანთი თვისებებით არ განეკუთვნებიან ტერიტორიული დაყოფის მიღებულ სისტემას და შეუძლებელია მათი სხვა ტერმინებით აღნიშვნა.

რეგიონების არსისა და შიდა სტრუქტურის შინაარსის მიხედვით მსოფლიო რეგიონულ მეცნიერებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია რეგიონების ოთხი პარადიგმა:რეგიონი როგორც კვაზისახელმწიფო;რეგიონი როგორც კვაზიკორპორაცია;რეგიონი როგორც ბაზარი; და რეგიონი როგორც სოციუმი.ამ პარადიგმებს დაემატა და პოპულარული გახდა ნ. პორტერის მიერ შემოთავაზებული რეგიონის როგორც ეკონო-

მიკური კლასტერის აღქმა. კლასტერი - გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფებია (მათ შორის სპეციალიზებული მიმწოდებლები, მომსახურებათა მიმწოდებლები, მომიჯნავე დარგების ფირმები, უნივერსიტეტები, სტანდარტიზაციის სააგენტოები, სავაჭრო გაერთიანებები და სხვა), რომლებიც კონკურირებენ ერთმანეთში, თუმცა იმავდროულად ერთად საქმიანობენ.

რეგიონი არ არის მხოლოდ გეოგრაფიული ან ეკონომიკური კატეგორია. ყოველი რეგიონისათვის არსებითია მისი „ტერიტორიული" შემადგენელი, რადგანაც მისი ფორმირებისა და არსებობის ბაზისია. ყოველი რეგიონი ტერიტორიას წარმოადგენს, თუმცა მხოლოდ ტერიტორიული კომპონენტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ტერიტორიას რეგიონი ვუწოდოთ. გარკვეულ ტერიტორიაზე რეგიონის ფორმირებისათვის აუცილებელია ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, კონფესიური, სოციალურ-კულტურული ელემენტების ერთობლიობა და საზოგადოებისა და სახელისუფლო ელიტების პოლიტიკური ორგანიზების სპეციფიკური თანაფარდობის არსებობა. ტერიტორიული კავშირების კვლევის პროცესში რეგიონი შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით: პირველი - როგორც ქვეყნის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ნაწილი; და მეორე - როგორც დამოუკიდებელი მთლიანი წარმონაქმნი, საკუთარი სარესურსო პოტენციალით, საწარმოო ფაქტორების დაკავშირების საკუთარი საშუალებებით.

თუ „რეგიონის" ცნებას განვიხილავთ არა როგორც სტრუქტურული, არამედ ფუნქციონალური ბაზისის მხრივ, მაშინ ამ ცნების ფორმირებისათვის ხშირად შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენება: გეოგრაფიული (განლაგება, ტერიტორიის სიდიდე, მოსახლეობის რაოდენობა), საწარმოო-ფუნქციონალური (წამყვანი საქმიანობის სპეციფიკა), სოციალური (ქცევისა და ურთიერთობის ნორმები). კრიტერიუმების ამგვარი მრავალფეროვნება ართულებს რეგიონის არსის ერთ განმარტებაში სრულ გახსნას. რეგიონი ერთდროულად განხილული

უნდა იქნას როგორც ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის ელემენტი, ასევე როგორც განსახლების სისტემის ელემენტი, ან კიდევ საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის - ადამიანთა საქმიანობისა და უზრუნველყოფის ყველა სფეროს ადგილის ელემენტი.

რეგიონი მთლიანი სისტემაა საკუთარი სტრუქტურით, ფუნქციებით, გარე კავშირებით, ისტორიით, კულტურით, მოსახლეობის ცხოვრების პირობებით. მას ახასიათებს დიდი ზომა, ლოკალური მიზნების მქონე სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების დიდი რაოდენობა, სტრუქტურის იერარქიულობა, ელემენტთა მაღალი დინამიურობის პირობებში მაკოორდინირებელი ზემოქმედებების მნიშვნელოვანი დაგვიანება, ელემენტთა მდგომარეობის არასრული განსაზღვრულობა. რეგიონის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან როლს მოსახლეობა თამაშობს. რეგიონის ეფექტური მართვა პრინციპულად შეუძლებელია სოციალური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. რეგიონის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ სტრუქტურიზაციის საფუძველზე, ანუ იმ ქვესისტემების გამოყოფით, რომელთა ერთობლივი ფუნქციონირება განსაზღვრავს რეგიონის განვითარების დინამიკას. როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რეგიონი შეიძლება წარმოდგენილი იქნას ხუთი ძირითად ქვესისტემის ერთობლიობით: სისტემის შემქმნელი ბაზა, სისტემის მომსახურე კომპლექსი, ეკოლოგია, მოსახლეობა, ბაზრის ინფრასტრუქტურა. მთავარი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ქვესისტემების ურთიერთკავშირს და ურთიერთქმედებას, ახდენს მათ ინტეგრირებას ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, არის ადამიანთა საქმიანობა. ადამიანი - ყოველი ქვესისტემის ორგანული ნაწილია, ეროვნული მეურნეობის მწარმოებლური ძალების ძირითადი კომპონენტია, რომელიც სხვებთან კავშირში სოციალურ-ტერიტორიულ ერთიანობას ქმნის. რეგიონის მნიშვნელოვან ნიშანთვისებას მართვადობა წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთანაა უშუალოდ დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ მართვადობას, გარკვეულწილად, რეგიონის მთლიანობა უწყობს ხელს, რადგანაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა ელემენტის (მატერიალური წარმოების, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, ინფრასტრუქტურის, შრომითი რესურსების) კოორდინაცია-მართვა და გარკვეული სივრცითი და დროითი სტაბილურობის მქონე სავაჭრო, ფინანსური, სოციალური, ეკოლოგიური და საწარმოო კავშირების მრავალფეროვნება. რეგიონის ეკონომიკური სტაბილურობა გამოიხატება მისი ეკონომიკური (და პირველ ყოვლისა საფინანსო) რესურსებით უზრუნველყოფაში, რაც რეგიონული დონის მეურნეობრიობის კომპეტენციაში შემავალი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დამოუკიდებელი გადაწყვეტისთვისაა საჭირო.

თუმცა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა დამოკიდებულია ქვეყანაში ჩამოყალიბებული ხელისუფლების ხასიათსა და სახელმწიფო მართვის სისტემაზე. ეს პროცესი სუბიექტურია. ხოლო ეკონომიკური რეგიონების ფორმირების პროცესი ობიექტურია, ის ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობს. შედეგად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და ეკონომიკური რეგიონების (რაიონების) საზღვრები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ეკონომიკური რეგიონების გამოყოფა - არა მხოლოდ თეორიული კვლევების საჭიროებების დაკმაყოფილებებსთვისაა, არამედ ის პრაქტიკულ ამოცანასაც ასრულებს - რეგიონების განვითარების მართვის სრულყოფის გადაწყვეტილებათა ძიებას ემსახურება. ამიტომაც, მოქმედი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სრული იგნორირებაც ვერ ხერხდება და ეკონომიკური რაიონირების პროცესში ამ მიდგომების ნაწილობრივი შერწყმა-გათვალისწინება ხდება. იდეალურ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და ეკონომიკური რაიონირება ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. ამ შემთხვევაშია მხოლოდ შესაძლებელი რეგი-

ონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური ორგანიზება. აშშ-ს გამოცდილებით, ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების პროგრამების შესასრულებლად ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას არ ცვლიან, თუმცა ქმნიან სახელისუფლებო ძალაუფლებით აღჭურვილ სპეციალურ ორგანოებს (პროგრამის განმხორციელებელ ადმინისტრაციებს). ამის კლასიკური მაგალითია ფ. რუზველტის მმართველობის ხანაში შექმნილი და დღესაც მოქმედი „მდინარე ტენესის ხეობის რესურსების განვითარებისა და ათვისების“ პროგრამა, რომელიც აღიარებული და შეფასებულია როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ეფექტური რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის მაგალითი.

ამდენად, წარმოდგენილი პოზიციების შეჯამებით შესაძლებელია რეგიონალისტიკის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების როგორებიცაა „ტერიტორია“ და „რეგიონი“ უზოგადესი განმარტებების გაკეთება.

„ტერიტორია“ - ერთ-ერთი ყველაზე აბსტრაქტული ცნებაა, რომელიც განსაზღვრავს გარკვეული საზღვრებით მკაცრად გამიჯნულ მიწისზედა, მიწისქვეშა, საჰაერო, წყალზედა და სხვა სივრცეებს.

„რეგიონი“ - ტერიტორიაა, რომელიც გამოყოფილია რაიმე ურთიერთდაკავშირებული ნიშნების ან მოვლენების ერთობლიობით, გამოირჩევა ერთგვაროვნებით, ერთიანობით, მთლიანობით და შესაძლებელია წარმოადგენდეს ტერიტორიული დანაწევრების სისტემაში ტაქსონომიურ ერთეულს. „რაიონის“ განმარტება ხშირ შემთხვევაში იდენტურია „რეგიონის“ განმარტებისა. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ რეგიონალისტიკის დასავლურ ინგლისურენოვან სამეცნიერო დისკურსში „რაიონის“ ცნება არ არსებობს, გამოიყენება მხოლოდ „რეგიონის“ ცნება. ყოფილ საბჭოთა და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში „რაიონის“ ზოგადი ცნება „რეგიონის“ ცნების ანალოგიურია, დამატებით გაითვალისწინება ტერიტორიის შედარებითი სიდიდის ფაქტორი.

„რაიონი" - რეგიონთან შედარებით ტერიტორიულად მცირეა და ხშირად მის შემადგენლობაში მოიაზრება, ან მის ფარგლებში განიხილება.

ამდენად, დღევანდელ ქართულ სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკურსში ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკის სუბიექტებად ხშირ შემთხვევაში ორი დონე გამოიყოფა. მიუხედავათ ქვეყანაში არსებული ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხისა პირობითად მათ შეიძლება ვუწოდოთ: ქვედა - თვითმმართველი ერთეულების, მუნიციპალიტეტების დონე (რომელიც დასახლებებსაც მოიცავს) და ზედა - ავტონომიური ერთეულების და არაფორმალური, საკონსტიტუციო დეფინიციის არმქონე, თუმცა აქტიური რეალური როლის მქონე - რეგიონების (მხარეების) დონე. ცალკე აღსანიშნავია დედაქალაქის მდგომარეობა. მართალია ის თვითმმართველი ერთეულია და პირველ, ქვედა დონეს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა მისი განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე მისი ამგვარ ტიპიზაციაში მოცემა არამართებული იქნებოდა. ასევე აღნიშნული კლასიფიკაციის მიღმა რჩება ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის სხვა გარკვეული ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიები, რომელთაც შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა გააჩნდეთ (მაგალითად: მთის კურორტების, ზღვისპირა სარეკრეაციო ზოლის ან ბალნეოლოგიური კურორტების განვითარების კომპანიები). თვითმმართველ ერთეულებს მართალია გააჩნიათ არჩევითი ორგანოები, მწირი, თუმცა საკუთარი ქონება და ფინანსური რესურსები, თუმცა საგრძნობლად უთმობენ მეორე დონის ტერიტორიულ ერთეულებს - რეგიონებს, მმართველობის ეფექტურობის, კადრების პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის, გამოცდილების, მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპერატიულობის, აღწარმოებითი პროცესების ციკლის დასრულებულობის, ტერიტორიულ-სამეურნეო სისტემის კომპლექსურობის, თვითკმარი რესურსული უზრუნველყოფის

მხრივ. საქართველოში ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საკითხების შესასწავლად, კვლევის მიზნებისთვის, ამგვარი ორდონიანი რეგლამენტაციით (რეგიონი - რაიონი) ვიხელმძღვანელებთ შემდგომში, მათ შორის ინდუქციური დასკვნების, სახეობრივი თუ გვაროობითი კრიტერიუმების, მახასიათებლების ფორმირების და კომპარატივისტული ანალიზის ჩატარების დროს.

განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების ცნება. ამ მხრივ მეცნიერებაში ჩამოყალიბებულია მეტ-ნაკლებად ერთიანი მიდგომა ტერმინისადმი. **ეკონომიკური განვითარება** - გაფართოებული აღწარმოებაა და თანდათანობითი ხარისხობრივი და სტრუქტურული დადებითი ცვლილებები ეკონომიკაში, განათლებაში, მეცნიერებაში კულტურაში, მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხში. ეს არის ყველა ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების და ცხოვრების დონის, თვითპატივისცემის და თავისუფლების შესაძლებლობათა ზრდის პროცესი. ეკონომიკური განვითარება არ მოიცავს მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას. მათ შორის სხვაობა ჯერ კიდევი. შუმპეტერის მიერ იქნა გამოკვეთილი. ის ზრდას - ეკონომიკაში რაოდენობრივ ცვლილებებს უკავშირებდა, ხოლო განვითარებას კი - მის ხარისხობრივ ტრანსფორმაციას. თუმცა ეკონომიკური ზრდის ცნება მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური განვითარების ცნებასთან. ეკონომიკური განვითარება გრძელვადიანი ზრდის საფუძველს, ბაზისს წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლებია ადამიანური განვითარების ინდექსი და მშპ ერთ სულ მოსახლეზე. განვითარების პროცესის ანალიზისა და შედარებისათვის ასევე გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელთა კომპლექსები, ისეთები როგორიცაა: მშპ და მეპ ერთ სულ მოსახლეზე; მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი; ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა; შრომის მწარმოებლურობა; ერთ სულ მოსახლეობაზე ადამიანური კაპიტალის ღირებულება და ხარისხი; კორუფციის დონე; ერთ სულ მოსახლეზე ძირითადი პროდუქციის სახეობების წა-

რმოება; ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა და სხვა. ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული ქვეყნის ტერიტორიულ ჭრილში ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების და სხვადასხვა მიზნობრივი თუ მიმდინარე მაჩვენებლების არსი და სტრუქტურა.

1.2 სტრატეგიული დაგეგმვის განვითარების ეტაპები და უცხოური გამოცდილება

ისტორიულად, სტრატეგიული აზროვნების აქტიური განვითარება გასული საუკუნის 50-იან წლებში საწარმოების დონეზე იღებს საფუძველს, რაც შემდგომში ეკონომიკის სხვა დონეებზეც გავრცელდა. სტრატეგიული დაგეგმვის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს მრავალი სპეციალური კვლევა და სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. ამ მიმართულების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ფ. აბრამსმა, რ. აკოფმა, ი. ანსოფმა, ჯ. კუინიმ, კ. ენდრიუსმა, მ. პორტერმა, ჰ. მინცბერგმა, ჩ. ჰოფერმა, ჯ. სტაინერმა, ა. ტომპსონმა და სხვებმა.

ტერმინი „სტრატეგიული დაგეგმვა“ პირველად გამოყენებულ იქნა გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს. მისი პირვანდელი დანიშნულება იყო მიმდინარე დაგეგმვისა და მართვის მაღალ დონეებზე განხორციელებული დაგეგმვისაგან გამიჯვნა. პირველად, თავისი არსით, სტრატეგიული დაგეგმვა გრძელვადიან დაგეგმვას წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა დაგეგმვის ობიექტის განვითარების ტენდენციების მომავალზე გადატანა. ამ მიდგომით, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები მიიღწეოდა ეკონომიკური ზრდის ეტაპზე, როცა ზრდის ტენდენციების პროგნოზირება პერსპექტივით ხდებოდა. თუმცა, 1960-იანი წლების მიწურულს საქმიანი გარემო არასაკმარისად სტაბილური გახდა და გრძელვადიან დაგეგმვაში გამოყენებული ექსტრაპოლირების მეთოდები

პრაქტიკაში გამოუყენებლად იქცა.

მოკლედ განვიხილოთ უცხო ქვეყნების გამოცდილება ტერიტორიული სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის სფეროში, დავაკვირდეთ მათ გავლილ გზას ამ მიმართულებით და გავაანალიზოთ მიღწეული შედეგები. საინტერესოა შევადაროთ სხვადასხვა განვითარების დონის, საბაზრო მექნიზმების ჩამოყალიბების და სხვა მრავალი სხვაობების მქონე ქვეყნების გამოცდილება. კომპარატივისტული მეთოდებით, რა თქმა უნდა თითოეული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, შევეცადოთ გამოვყოთ ტერტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის ის დადებითი მხარეები, რომლებმაც ამ ქვეყნების ამა თუ იმ სფეროში მოპოვებული წარმატებები განაპირობა.

გარკვეული თავისებურებები და უპირატოსებები გააჩნია **გერმანიის** ზოგადსამეურნეო მექანიზმს. მისი ფორმირება 1960-იანი წლებიდან დაიწყო. ეკონომიკური პროგნოზირებისა და დაგეგმვის მთავარ ორგანოებს - ეკონომიკის და ფინანსთა ფედერალური სამინისტროები წარმოადგენენ. ეკონომიკის სამინისტრო რეგულარულად ამუშავებს საშუალოვადიანი მიზნობრივი პროექტების (აგრეგირებული მაჩვენებლების) რამოდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს, რომელთა საფუძველზეც მუშავდება რეგიონალური, ტერიტორიული და სხვა (მათ შორის დარგობრივი, სტრუქტურულად-კრიზისული დარგობრივი) განვითარებისა და სტრუქტურული პოლიტიკის გეგმები. ამ გეგმების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო შეიმუშავებს ფედერალური ბიუჯეტის საფინანსო გეგმებს. სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებსა და დონეებს შორის გეგმების შეთანხმებისათვის შექმნილია ორი სტრუქტურა - ფინანსების დაგეგმვის საბჭო და კონიუნქტურული საბჭო. ტერიტორიული დაგეგმვის საკითხებით დაკავებულია რეგიონული სამეურნეო სტრუქტურის საკითხთა საგეგმო კომიტეტი. ეკონომიკური პროგნოზირებისა და დაგეგმვის საკითხებში გერმანიაში აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო დაწესებულებები, სამეცნიერო

საბჭოები, სამეცნიერო-კვლევითი ეკონომიკური ინსტიტუტები, რომელთაც კონსულტაციური, დამხმარე ფუნქცია გააჩნიათ.

საფრანგეთის პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის სახელმწიფო სისტემა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბდა. დღეისათვის საფრანგეთში აქტუალური სამეურნეო და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად პერიოდულად მუშავდება პოლიტიკური ელიტის ფარგლებში შეთანხმებული კონცეპტუალური მიდგომები. პერმანენტულად ზუსტდება განვითარების ეროვნული სტრატეგია, შენარჩუნებულია რეგიონული დაგეგმვა, რომელსაც კოორდინირებას უწევს ეროვნული ტერიტორიის კეთილმოწყობის დარგთაშორისი კომიტეტი. კანონმდებლობით დადგენილ 22 ეკონომიკურ რაიონში ამ ფუნქციით დაკავებულია ეკონომიკური განვითარების სპეციალური რეგიონული კომიტეტები, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ადგილობრივი და ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, რეგიონული „საქმიანი წრეების" წარმომადგენლები, მეწარმეები, ეკონომისტები, დარგის სპეციალისტები.კომიტეტების დასკვნების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი პოლიტიკა, ფორმდება კონტრაქტები ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ჯერ კიდევ შარლ დე გოლის პრეზიდენტობიდანაა დადგენილი, რომ საფრანგეთში სტრატეგიული დაგეგმვა არა მხოლოდ ადმინისტრირების ეფექტური მექანიზმის ფორმირებას უნდა ეხმარებოდეს, არამედ ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული ერთიანობისა და თვითშეგნების გაძლიერებას.

სკანდინავიის ქვეყნებში სახელმწიფო იდეოლოგია, რომელიც ხალხისთვის სოციალური შეღავათების შექმნასა და მიწოდებაში აისახება, მრავალი წლის განმავლობაში საშუალებას აძლევს ამ ქვეყნებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის თვალსაზრისით დარჩეს მსოფლიო ლიდერებს შორის. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ფორმირების პროცესში სახელმწიფო

მექანიზმის ყველა ელემენტი უშუალოდ არის ჩართული. ამავდროულად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ამ პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რადგან სწორედ მის მხრებზეა სოციალური შეღავათების უზრუნველყოფის უდიდესი ტვირთი. **ნორვეგიის** დაგეგმვის კანონის თანახმად, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს და ერთდროულად განახორციელოს სამი ურთიერთდაკავშირებული გეგმა: 12-წლიანი მუნიციპალური განვითარების გეგმა, 4-წლიანი ეკონომიკური გეგმა და წლიური ბიუჯეტი. ამასთან, 4-წლიანი ეკონომიკური გეგმა უკავშირდება საარჩევნო ციკლს. ნორვეგიაში მიზნების დასახვის აუცილებლობა აღიარებულია ეროვნულ დონეზე. ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ძირითადი მიზანი მდგომარეობს დასახლების ტრადიციული მოდელის შენარჩუნების აუცილებლობაში, თანაბარი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფაში. საერთო მიზანი ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში, ბიუჯეტის გათანაბრების სამართლიანი ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა, აერთიანებს ადგილობრივი მერების, საკრებულოებისა და ადმინისტრაციების მუშაობას, ქმნის ორგანიზაციულ წინაპირობებს სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისთვის. სივრცითი დაგეგმარების სისტემა **შვედეთში** მოიცავს ხუთი სახის გეგმას: გენერალურ გეგმას, დეტალური განვითარების გეგმას, მიწათსარგებლობისა და სამშენებლო რეგულაციების, ქონების გეგმას და რეგიონულ გეგმას. ეროვნულ დონეზე სივრცითი დაგეგმარების პასუხისმგებლობა ეკისრება გარემოს დაცვის სამინისტროს. ისაა მწვანე კეთილდღეობის სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. რეგიონულ დონეზე სივრცითი დაგეგმარება ნაკლებადაა განვითარებული: მხოლოდ სტოკჰოლმს აქვს რეგიონული გეგმა. რეგიონული ადმინისტრაციები კოორდინაციას უწევენ სხვადასხვა ორგანოების საქმიანობას, აკონტროლებენ ეროვნული ინტერესებისა და სამთავრობო დირექტივების დაცვას,

ახორციელებენ საკონსულტაციო ფუნქციებს რეგიონულ და მუნიციპალურ დაგეგმარებაში, ასევე ანვითარებენ რეგიონების სატრანსპორტო სისტემას. შვედეთში დამყარდა ევრეთ წოდებული მუნიციპალური დაგეგმარების მონოპოლია, ანუ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მიწისა და წყლის რესურსებით სარგებლობის დაგეგმვა. მუნიციპალიტეტები თავიანთ განვითარების მიზნებს გამოხატავენ გენერალურ გეგმებში და განვითარების დეტალურ გეგმებში. მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ ერთმანეთთან მიწათსარგებლობის, რესურსების მართვისა და ენერგომომარაგების სფეროებში.

ეკონომიკური დაგეგმვა **იაპონიაში** ატარებს საბაზიო ხასიათს და წარმოადგენს საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა კრებულს. თავისი არსით ის მასტიმულირებელი, ინდიკატიურია. დაგეგმვის იაპონურ პრაქტიკაშიშესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარების კონკრეტული მიზნების დასაშვებობის და რეალიზაციის განსაზღვრა;
- საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის მრთვის ძირითადი მიმართულებების დადგენა, მათი განხორციელებისათვის მიზნობრივი ღონისძიებების და სახსრების განსაზღვრა;
- საწარმოთა საქმიანობის მიმართულებების მონიშვნა და საოჯახო სამეურნეო სექტორის განვითარების პერსპექტივების გამოვლენა.

დაგეგმვის მექანიზმიც გამარტივებულია და შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

1. ახალი გეგმის დამუშავების დასაწყებად პრემიერ-მინისტრის მიერ გამართული კონსულტაციები;
2. საპროგნოზო მაჩვენებლების და გეგმების ეკონომიკურ საბჭოში განხილვა;
3. მინისტრთა კაბინეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

4. ეკონომიკური დაგეგმვის სამმართველოს კოორდინირებით სამინისტროებთან, უწყებებთან, მინისტრთა კაბინეტთან და ეკონომიკურ საკითხთა კომისიასთან გეგმაზე მუშაობა;
5. პრემიერ-მინისტრისათვის ანგარიშის წარდგენა.

გეგმის დამტკიცების შემდეგ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები ატარებენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათ განსახორციელებლად.

გაშლილი და დეტალიზებულია დაგეგმვითი საქმიანობა **ჩინეთში,** სადაც პერიოდულად მუშავდება გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მიმდინარე გეგმები. დაგეგმვა მოიცავს ოთხ დონეს: ზოგადსახელმწიფოს, დარგობრივს, ტერიტორიულს და საწარმოოს. ყველა გეგმა ურთიერთდაკავშირებულია. დაგეგმვითი საქმიანობის მაკოორდინირებელი და ხელმძღვანელი ორგაანოა - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი. ამდენად, ჩინეთში დღესაც შენარჩუნებულია ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემა, რომელიც დირექტიული, ყოვლისმომცველი, დეტალიზებული და მასშტაბურია, რითაც გარკვეულწილად საბჭოთა დაგეგმვის სისტემას მოგვაგონებს. თუმცა რიგი განსხვავებებიც არის: ადგილობრივი ხელმძღვანელები ჩინეთში საგეგმო დავალებათა რეალიზებისას მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, სულ უფრო მეტი როლი საბაზრო კრიტერიუმებს ენიჭება, რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხობრივზე გადასვლის ტენდენცია ჭარბობს, შეინიშნება სვლა დირექტიული დაგეგმვიდან მაკროეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური დაგეგმვისაკენ. რეგიონული დაგეგმვის ფარგლებში ჯერ პროვინციის სახალხო მეურნეობის გეგმა დგება, რომელიც უნდა ეთანადებოდეს სახელმწიფო განვითარების პროგრამებს. ასევე, ეს გეგმა ძირიტადი ობიექტების გეგმებთან, დარგობრივ გეგმებთან და მეზობელი პროვინციების გეგმებთანაც უნდა იყოს კოორდინირებული. შემდგომ ხდება ამ გეგმების ჩაშლა და დეტალიზება პროვინციაში შემავალ ტერიტორიულ ერთე-

ულებში. გამოიყოფა დაგეგმვის ხუთი ეტაპი:

1. გეგმის შედგენა - სახელმწიფო საბჭოს პროექტს ამტკიცებს სახალხო დაგეგმვის საბჭო;
2. ძირითადი ობიექტების მიხედვით გეგმების შედგენა - სახელმწიფო განვიტარების დაგეგმვის დაწესებულებები ადგილობრივი ხელისუფლბის ორგანოებთან ერთობლივად, ფართო კონსენსუსის საფუძველზე, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ადგენენ აღნიშნულ გეგმებს;
3. დარგობრივი პროგრამების შედგენა - სახელმწიფო საბჭოს დარგობრივი დაწესებულებები ადგენენ ძირითად გეგმებთან შეთანხმებულ დარგობრივ გეგმებს;
4. რეგიონული პროგრამების შედგენა - პროვინციების დონეზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პრეროგატივაა;
5. პროგრამებში შესწორებების შეტანა - დამტკიცების შემდეგ გეგმებში თავისუფალი, სურვილისამებრ შესწორებების შეტანა აკრძალულია, ნებისმიერი ცვლილების გატარების პროცედურა მკაცრად რეგლამენტირებულია.

ამდენად, სტრატეგიული დაგეგმვა ჩინეთში ბოლო წლებში სერიოზულად შეიცვალა, დაიხვეწა რათა უპასუხოს ქვეყნის წინაშე მდგომი საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს. ქვეყნის ეკონომიკური რეფორმირებასახელმწიფოს ხელმძღვანელობით ხორციელდება, რომლის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უმტავრეს ინსტრუმენტად კვლავაც სტრატეგიული დაგეგმვა რჩება. (Островский, 2009)

გრძელვადიანი დაგეგმვა **ინდოეთში** მსოფლიო ეკონომიკის უნიკალურ მიღწევად განიხილება. ის ერთიან სისტემას წარმოადგენს, რომლიც ცენტრშიც ინდოეთის საგეგმო კომისიაა. მის უნიკალურობას - განვლილი გზა, განვიტარების ისტორია,არატრივიალური გადაწყვეტილებები და მიღწეული შედეგები განაპირობებს. დაგეგმვის პროცესი ინდოეთში, თავისი არსითა და ფორმით, საკმაოდ დემოკრატიულია. საგეგმო კომისია თავის საქმიანობაში ეყრდნობა რამოდენიმე ადგილობრივ ავტო-

რიტეტულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. გეგმის წინასწარი სქემა და მონახაზი განსახილველად ეგზავნებათ შტატების ადგილობრივ საგეგმო ორგანოებს, ეცნობება ინდოეთის სამეწარმეო წრეებს, ინდოეთის სავაჭრო პალატას. მათი შენიშვნების მოსმენის შემდგომ ხდება საბოლოო სახით გეგმის ჩამოყალიბება. ის, ძირითადად, ინდიკაიურ ხასიათს ატარებს. ეროვნული გეგმის საფუძველზე ხორციელდება შტატებში ადგილობრივი დაგეგმვა. თანამედროვე საზოგადოების შენება ინდოეთში განიხილება როგორც სახელმწიფო ინტერვენციონიზმის და პირადი ინიციატივის პრინციების ურთიერთქმედება, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატის ამარტია სენის „არაკლასიკური ეკონომიკის" კონცეფციას ეფუძნება. კონცეფციის უმთავრესი ელემენტი - სიღარიბის დაძლევა და თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფაა.

რუსეთში, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდამდე სხვადასხვა პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით, მე-19 საუკუნიდან ვითარდებოდა ტერიტორიული დაგეგმვა. აქტიური განვითარება მან საბჭოთა კავშირის დროს ჰპოვა. იმ დროს, აღნიშნული მიმართულების ძირითთად საქმიანობად რაიონული დაგეგმვა იქცა, რომლის ძირითადი ამოცანა იყო რაიონის კომპლექსური ტერიტორიულ-სამეურნეო მოწყობა, მისი ფუნქციურ-გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება, რომელიც საწარმოო ძალთა რაციონალურ განთავსებას უზრუნველყოფდა და მოსახლეობას შრომითი საქმიანობისა და დასვენების კომფორტულ პირობებს შეუქმნიდა. რაიონული დაგეგმვის აუცილებლობა 1930-იან წლებში ქვეყნის უმაღლესი მმართველობითი ორგანოების დირექტივებში იქნა დამტკიცებული. 60-იან წლებში დაგეგმვასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევებისა და ნაშრომების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა. განვითარეების გენერალური კონცეფციების დამუშავება უკვე არა მხოლოდ საერთო და რესპუბლიკურ დონეებზე, არამედ ეკონომიკური რაიონების დონეებზეც მიმდინარეობდა. 90-იანების დასაწყი-

სისათვის ქვეყნის მასშტაბით 3 ათასამდე ადმინისტრაციული ერთეულის განვიტარების რაიონული გეგმები მუშავდებოდა. იმავდროულად იქმნებოდა მსხვილი რეგიონული პროგრამებიც. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ ტერიტორიული ორგანიზაციისა და დაგეგმვის ერთიანმა სისტემამ დაასრულა არსებობა. ამ პროცესების შემდგომი განვითარება საბაზრო ურთიერთობებისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პირობებში უნდა გაგრძელებულიყო. 2000-იანი წლებიდან დაწყებული რუსეთში სხვადასხვა დონეებზე თანდათანობით გაიშალა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაოები. ტერიტორიული ეკონომიკური განვიტარების სტრატეგიული დაგეგმვა რუსეთში პირველად იქნა გამოყენებული სანქტ-პეტერბურგის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიურ დახმარებას სოციალურ-ეკონომიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი - „ლეონტიევის ცენტრი" აწარმოებდა. სულ რამოდენიმე წელიწადში პროცესმა რუსეთის ფედერაციის მრავალი ტერიტორიული ერთეული და ადმინისტრაციული წარმონაქმნი მოიცვა. უცხოური გამოცდილების გაზიარებითსამეცნიერო საზოგადოების მიერ გააზრებული იქნა ტერიტორიული სტრატეგიული დაგეგმვის საკითხები, დაინერგა უმაღლესი სასწავლებლების პროფილურ სპეციალობებზე შესაბამისი სასწავლო პროგრამები, დამუშავდა და ტექნოლოგიურ დონემდე იქნა მიყვანილი განვითარებული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიუმი (КРЭП, ლეონტიევის ცენტრი), ჩამოყალიბდა კონსულტანტთა კორპუსი, სხვადასხვა მიდგომები და სკოლები, შეიქმნა მეთოდოლოგიური და საინფორმაციო მხარდაჭერის ქსელური ინფრასტრუქტურა (ლეონტიევის ცენტრის რესურსული ბაზა, სპეციალიზებული ინტერნეტ-პორტალი), ყოველწლიური ფორუმების ფარგლებში ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. 2005 წლიდან პროცესის სპონტანური განვიტარება ჩაანაცვლა მისმა ფედერალური დონიდან მართვამ და ორგანიზებამ. ცენტრალური ხელისუფლების მიერ განისაზღვრა გარკვეული მეთოდოლოგიური

ჩარჩოები. დაიწყო სტრატეგიული დაგეგმვის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფორმირება, რომლის ფარგლებშიც აუცილებელი გახდა პროცესის კოორდინირება და იერარქიულობის დაცვა. ფედერეალურ დონეზე მიღებული ეკონომიკის დარგების განვიტარების საპროგრამო დოკუმენტები განსაზღვრავს ტერიტორიული ერთეულების შესაბამისი საპროგრამო დოკუმენტების მომზადების ვექტორს. იმავდროულად, რეგიონული დონის დოკუმნტების მომზადების პროცესში უნდა იქნას გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის პოზიციები და წინადადებები. 2014 წელს საკანონმდებლო დონეზე იქნა რეგლამენტირებული სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაოების წარმოება, როდესაც ხელი მოეწერა „რუსეთის ფედერაციაში სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ" ფედერალურ კანონს. კანონმა განსაზღვრა სტრატეგიული დაგეგმვის მთლიანი სისტემა, პრინციპები, ამოცანები, მონაწილეები და დოკუმენტები.

რუსეთში, ბოლო ეტაპზე, დაგეგმვის მეთოდების გამოყენების სირთულეები ძირითადად ახალ იდეებსა და ხელისუფლების ორგანოებში ჯერ კიდევ დომინირებად ძველ ადმინისტრაციულ-იერარქიულ მიდგომებს შორის კონფლიქტს უკავშირდებოდა. თანდათანობით გამოიკვეთა ორი მიდგომა. პირველი - სტრატეგირება - გეოპოლიტიკური მასშტაბის განვიტარების ახალი მიმართულებების ძიებაა, ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების მისიის პოვნაა. მეორე - მართვის იმ პრაქტიკული მოდელების შექმნაა, რომლებიც სტრატეგიული ამოცანების რეალიზებას და ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს. თავიდან ჭარბობდა პირველი მიმართულება, რაც სტრუქტურული და ინსტიტუციური გარდაქმნების დაუსრულებლობით იყო ობიექტურად განპირობებული . შემდგომ გამოიკვეთა მეორე მიმართულება, რაც ხელისუფლების კონცენტრაციას და ცენტრალიზებას, შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემების დანერგვას, რაოდენობრივი მაჩვენებლების მიღწევაზე კონტროლის გამკაცრებას, სტრატეგიათა

იერარქიის ფორმირებას უკავშირდებოდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფორმალურად ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიული გეგმები არ მუშავდება. ეკონომიკის განვითარების ეროვნული პრიორიტეტები თავის ასახვას სახელმწიფოს მეთაურის მოხსენებებში ჰპოვებს. თუმცა სხვადასხვა დონეზე მუშავდება და რეალიზდება მრავალი პროგრამა თუ გეგმა. ასე, მაგალითად, მხოლოდ შტატების დონეზე ეკონომიკური განვითარების 6 ათასზე მეტი პროგრამა ხორციელდება. ცალკეულ შტატებში ფუნქციონირებს სპეციალიზებული კომისიები და ცენტრები, რომლებიც გრძელვადიან პროგნოზებს ამუშავებენ. რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება ქვეყნის ცხრა ეკონომიკური რაიონის ერთიანი ბადის საფუძველზე. რეგიონული განვითარების კომპლექსური მიდგომების რეალიზებაზე პასუხისმგებელია ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაცია.ეროვნული პრიორიტეტების რეალიზაცია უზრუნველყოფილია მიზნობრივი პროგრამების, სახელმწიფო შესყიდვების, განვითარების ინსტიტუტების ურთიერთქმედების ერთიანი შეთანხმებული მექანიზმის მოქმედებით. სტრატეგიული გადაწყვეტილებებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, კლასიფიცირება, დაჯგუფება, პირველადი დამუშავება, შენხვა და გადაცემა ტოტალურად კომპიუტერიზებულია. ამგვარი მიდგომა ცენტრალიზებული დაგეგმვის ინდუსტრიალიზების მაღალი დონის ნათელი დადასტურებაა.

ჩვენს მიერ ჩატარებული უცხოური გამოცდილების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ განვითარებულ ქვეყნებში, განვითარების სვადასხვა ეტაპებზე, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესების ძირითადი მიდგომები. ერთ-ერთი, მარტივი მიდგომით, ხორციელდება გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკის ფუნქციონირების პროგნოზების დამუშავება, დარგებისა და სფეროების მიხედვით მათი მაკროეკონომიკური დეტალიზებით. პროგნო-

ზების გათვალისწინებით დაისახება მიზნები. ხოლო მიზნების მიღწევის საშუალებები სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული არ არის. ასეთი გეგმა საინფორმაციო ფუნქციის მატარებელია, ის უფრო განვითარების ორიენტირს წარმოადგენს. უფრო ეფექტური, მეორე მიდგომა, უკავშირდება განვითარების მიზნების განსაზღვრას და მათი მიღწევის საშუალებათა დამუშავების საფუძველზე რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფორმირებას. ამ შემთხვევაში სტრატეგია ინსტრუმენტული მოდელია. ასეთივე კომპლექსური და რთულია განვითარების სტრატეგიული გეგმის ფორმირების მექანიზმიც. ძირითადი პარამეტრები დაინტერესებული მხარეების საინფორმაციო კონტაქტის, მათ შორის ფართო კონსენსუსის საფუძველზე ყალიბდება. ეს უფრო რთული და შრომატევადი პროცესია. ოპტიმალური ვარიანტი რაციონალური განსჯის საფუძველზე აირჩევა. ამ შემთხვევაში სტრატეგიული გეგმა - არა მხოლოდ მაორიენტირებელი, არამედ მაკოორდინირებელ ფუნქციასაც ასრულებს. თუმცა, მას მაინც სარეკომენდაციო ხასიათი რჩება, ის არ უზღუდავს განვითარების გზების არჩევანს ეკონომიკის სუბიექტებს. ამგვარი მექანიზმი უზრუნველყოფს პროცესის მთავარი მეთოდოლოგიური პრინციპების კომპლექსურ შესრულებას. მათ შორის: სისტემურობას, კომპლექსურობას, ოპტიმალურობას, ადაპტირებულობას, რესურსული უზრუნველყოფის შეზღუდულობას. ამგვარ მიდგომას ახასიათებს პროცესის რეგიონულ დონეზე მონაცვლება, რაც გაცილებით ამარტივებს ფართო კონსენსუსის მიღწევას.

ამგვარად, გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღება, რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიათა ფორმირება ძალიან ვარირებს სხვადასხვა ქვეყნებში. მიდგომები განსხვავდება როგორც გეგმისადმი წაყენებული მოთხოვნებით, ასევე თავად პროცესში ჩართული სუბიექტების რაოდენობითა და შემადგენლობით, საგეგმო-ანალიტიკური ინფორმაციის აგრეგირების დონით, შეთანხმებით და სხვა პარამეტრების მიხედვით.

სტრატეგიული დაგეგმვის სფეროში არსებული მრავალი კვლევის შედეგების გააზრებისა და განზოგადებისათვის-ბოლო პერიოდში დაისახა გარკვეული ტენდენციები. ამგვარი მცდელობა თავიანთ ნაშრომში „სტრატეგიების სკოლები" განახორციელეს ჰ. მინცბერგმა, ბ. ალსტრენდმა და ჯ. ლემპელმა. მათი მოსაზრებით, სტრატეგიული აზრის განვითარების პერიოდში ჩამოყალიბდა რამოდენიმე მიმართულება, რომლებიც გარკვეული ნიშნების მიხედვით ათ ძირითად სკოლად იქნა დაჯგუფებული: დიზაინის, დაგეგმვის, პოზიციონირების, მეწარმეობის, კოგნიტური, სწავლების, ხელისუფლების, კულტურის, გარემოს და კონფიგურაციის სკოლები.

დიზაინის სკოლის (ფ. სლეზნიკი, ა. ჩანდლერი, ს. კრისტენსენი, კ. ენდრიუსი, ჯ. ბიუერი, რ. ჰამერმეში, მ. პორტერი) დებულებები ეფუძნება მტკიცებას, რომ სტრატეგია არის გააზრებული გონებრივი პროცესის შედეგი. ეს პროცესი მოიცავს მიმდინარე მიზნების და ამოცანების განსაზღვრას, მათ გადამოწმებას SWOT-ანალიზით; სტრატეგიული ალტერნატივების დამუშავებას; ფორმატირებული ალტერნატივების შეფასებას ხელმძღვანელობის ღირებულებებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით; სტრატეგიის საუკეთესო ვარიანტის შერჩევას. ამ სკოლის იდეებით,ხელმძღვანელობას ეკისრება არა მხოლოდ კონტროლის, არამედ სტრატეგიის დამუშავების ფუნქციაც. მინცბერგის აზრით, მოდელი ხასიათდება მრავალი შინაგანი შეზღუდვით, რადგანაც სტრატეგიის თავშივე უნდა იქნას გათვალისწინებული, გაგებული და სწორად შეფასებული გარემოს შიდა და გარე მრავალრიცხოვანი ფაქტორი. მინცბერგის მტკიცებით, ეს აქტუალური მხოლოდ მარტივი სქემებისათვის იქნება.

დაგეგმვის სკოლის წარმომადგენელთა (ი. ანსოფი, პ. ლორანჟი, დ. შტაინერი, დ.შენდელი, ს. ჰოფერი, რ. აკოფი) მოსაზრებით სტრატეგიის ფორმირება დაგეგმვის პროცესის განუყოფელი ნაწილია, ამდენად ის ფორმალიზებულია და შედგება რამოდენიმე ნაბიჯისაგან. ყოველი ნაბიჯი კონკრეტიზებული

და გამოყოფილია, რომლებსაც თან ანალიტიკური საქმიანობა სდევს, შედეგები კი ერთი სტრატეგიის ფარგლებში ერთიანდება. სტრატეგია არია ერთგვარი „ნახაზი", რომელიც შეიცავს მიზნებს, ბიუჯეტებს, პროგრამებს და გეგმებს. სტრატეგიაზე მუშაობას უშუალოდ მგეგმავების ახორციელებენ, ხოლო ხელმძღვანელობა მხოლოდ საკონტროლო ფუნქციებს ასრულებს.

პოზიცირების სკოლის (მ. პორტერი, რ. კაცი, ბ. ჯეიმსი, ჯ. კუინი) ძირითადი დებულებები ამტკიცებს, რომ ყოველ დარგს სტრატეგიების შეზღუდული რაოდენობა გააჩნია. მათი აზრით, სტრატეგიები წარმოადგენს დაგეგმვის ობიექტის პოზიციაზე დამოკიდებულ ანალიტიკური გაანგარიშებების შედეგს. მ. პორტერის მთავარი ამოცანა იყო სტრატეგიათა ერთობლიობის აღწერა, რომელიც ყველაზე ეფექტურად მუშაობს გარკვეულ პირობებში. ანუ, პრაქტიკაში სტრატეგიისდამმუშავებელი, ანალიზის გამოყენებით, ირჩევს მისი ობიექტისათვის შესაძლო სტრატეგიებიდან საუკეთესოს, რათა შემდგომში მენეჯერებმა ის დანერგონ. მინცბერგის აზრით, ეს მოდელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნასმხოლოდ ტრადიციული დარგებისათვის, რადგანაც მხოლოდ ისინია იმდენად სტაბილურები, რომ ძალუძთ მიაწოდონ საჭირო მოცულობის ინფორმაცია. ასევე, აღნიშნული სკოლა ზღუდავს სტრატეგიების არჩევანს მოცემული სიით, რომლიდანაც ვარჩევთ საჭიროს, ხოლო თავად სტრატეგია არსებობსროგორც განზოგადებული ფორმულა.

მეწარმეობის სკოლის (პ. დრუკერი, ი. შუმპეტერი, ა. კოულა, კ. ნაიტი) წარმომადგენელთა შეხედულებები ეფუძნება იდეას, რომ სტრატეგია პერსექტივის სახით არსებობს ხელმძღვანელის გონებაში. ანუ, სტრატეგიული არჩევანი და სტრატეგიის რეალიზების წარმატება ეფუძნება მხოლოდ ხელმძღვანელის ინტუიციასა და მეწარმეობის ნიჭს, ხოლო სტრატეგიის ფორმირების პროცესი წრიმართება მისი წარსული გამოცდილების ანალიზსა და უპირატესობებზე დაყრდნობით. მინცბერგის აზრით, სწორედ ეს მტკიცებაა ყველაზე სუსტი რგოლი ამ მიმდი-

ნარეობის დებულებებში.

კოგნიტიური სკოლის მიმდევრები (მ. ლაილსი, რ. რეგესი, ე. ჰაფი, გ. ტომსი, გ. საიმონი, ს. მაკრიდაკისი)წარმოადგენენ სტრატეგიის გამომუშავებას როგორც მენტალურ პროცესს. ეს ყოველივე გულისხმობს, რომ თვით სტრატეგია - ინდივიდუალური ან კოლექტიური ადამიანური გონის პროდუქტია. მინცბერგი აცხადებს, რომ აუცილებელია გავიაზროთ ადამიანის გონის მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და სტრატეგიის შემუშავების სპეციფიკა, საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების კაცობრიობის შეზღუდული შესაძლებლობების თვალსაწიერიდან, რამაც შეიძლება სუბიექტურ ან დამახინჯებულ დასკვნებამდე მიგვიყვანოს.

განათლების სკოლის მიმდევართა მიერ (გ. მინცბერგი, რ. ლაპიერი, ჩ. ლინდბლომი, გ.რეპი, ჯ. კუინი, რ. ნელსონი, ს. უინტერი) სტრატეგიის შემუშავება განიხილებოდა როგორც თანმიმდევრული, განვითარებადო პროცესი. ეს ნიშნავს, რომ „სტრატეგია ვითარდება შიდა გადაწყვეტილებებისა და გარე მოვლენების გაერთიანების კვალდაკვალ, რათა შეიქმნას კონსესუსი უმაღლეს მმართველებს შორის“. სტრატეგიების ფორმულირება და დანერგვა ერთდროულად ხორციელდება, ხოლო სტრატეგიული ინიციატივები შეიძლება გაჩნდეს დაბალ დონეებზეც და შემდგომ შუა რგოლის მენეჯერთა მეშვეობით უმაღლეს მმართველობაში გადავიდეს.

ხელისუფლების სკოლის იდეები (ა. მაკმილანი, დ. სარაზინი, ე. პეტიგრუ, ჯ.ბოუერი, ი. დოზა) ეფუძნება დებულებებს, რომ სტრატეგიის ფორმირების პროცესი - მოლაპარაკებათა წარმოების პროცესია, ხოლო პოლიტიკა - სტრატეგიული პროცესის ნაწილია. პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვის მიხედვით გამოიკვეთა ორი მიმართულება. პირველი ამტკიცებს, რომ მიკროდონეზე შიდა პოლიტიკა იქმნება როდესაც გავლენიანი ინდივიდები იყენებენ პოლიტიკურ საშუალებებს თავიანთი მიზნების მისაღწევად. მეორე მიმართულება პოლიტიკას იხილავს სტრატეგიისაგან განცალკევებულად, როდე-

სავ პოლიტიკური გაჯლენა გამოიყენება გარე ორგანიზაციებთან საკუთარი მიზნების მისაღწევად. ეს სკოლა შესაძლოა კი ასახავდეს რეალობას,მაგრამ სტრატეგიის ფორმირების საიმედო საშუალებას არ იძლევა.

კულტურის სკოლის მომხრეები (დ. ჯონსონი, ჯ. სპენდერი, კ. როტი, დ. რიკსი, ფ. რიგერი) სტრატეგიის დამუშავების პროცესსაკუთვნებენ კოლექტიურ პროცესებს, რადგანაც სტრატეგია - მრავალი ადამიანის ერთობლივი საქმიანობის შედეგია. მათი თვალთახედვით კულტურა, ტრადიციები, ისტორია ქმნიან ერთგვარ მოლოდინებს, რომლებიც საზოგადოებრივ ქცევას აყალიბებენ. ამას თაის მხრივ მივყავართ საზოგადოებაში გარკვეული შეხედულებების ერთობლიობამდე და შედეგად სტრატეგიის ფორმირებია პროცესზე ზეგავლენამდე.

გარემოს სკოლის იდეები (მ. ჰანანი, ჯ. ფრიმენი, უ. ესტლი, კ. ოლივერი) ეფუძნება მტკიცებას, რომ სწორედ გარე პირობები კარნახობს სტრატეგიას, ხოლო გარემო თავს ახვევს დაგეგმვის ობიექტს კონკრეტულ მახასიათებლებს. ანუ დროდადრო გარემოს მდგომარეობა არა მარტო ზღუდავს, არამედ ართმევს კიდეც სტრატეგიულ არჩევანს, ამიტომ გადარჩენისათვის აუცილებელია მისადმი ადაპტირება.

კონფიგურაციის სკოლის წარმომადგენლები (პ. ჰანდავალა, დ. მილერი, ჰ. ფრიზენი, რ. მაილსი, კ. სნოუ) თვლიან, რომ სტრატეგიული პროცესის გადამწყვეტი მომენტია - პერსპექტივა, დაგეგმვის ობიექტის განვითარებს ისტორიის, ტრანსფორმაციის პროცესის მიმოხილვა და აღქმა. ამ მიმართულების იდეები სტრატეგიის შემუშავებას იხილავს როგორც დროით ან გარემოებებით განსაზღვრულ ერთგავრ პროცესს. თუმცა დაგეგმვის ობიექტის არსის და ზომის დროის კონკრეტულ მომენტში გარე ფაქტორებთან ერთობლიობაში განხილვა განაპირობებს თუ რომელი სტრატეგიის ფორმირების გზა იქნება არჩეული. რაც ნიშნავს, რომ დაგეგმვის ობიექტის არსებობის ციკლის სხვადასხვა ისტორიულ ფაზაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას სტრატეგიის ფორმირების სხვადსხავა მიმართულება,

ხოლო სტრატეგიული ანალიზის პროცესში გათვალისწინებული იქნას როგორც ობიექტის განვითარების ისტორიის გარკვეული პერიოდები (ზრდა, ცვლილება, სტაბილურობა), ასევე მისი ტიპი და ფორმა.

ამდენად, დღეისათვის სტრატეგიული აზრის განვითარების არსებულ ეტაპზე უცხოურ თეორიაში ჩამოყალიბდა სტრატეგიის დამუშავების პროცესის რამოდენიმე მნიშვნელოვანი მოდელი, რომელთაც ერთდროულად როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგებიც ჰყავს. თვალნათელია, რომ ზემოთ აღნიშნულ სტრატეგიულ სკოლების, მიმართულებების ჩამოყალიბება ძირითადად შესაძლებელია დავუკავშიროთ სტრატეგიული დაგეგმვის ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა პერიოდებს.

სტრატეგიული დაგეგმვის თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ მისი განვითარების თანამედროვე ეტაპის რამოდენიმე ძირეული პერიოდი:

1) სტრატეგიული დაგეგმვის პოპულარობის დინამიური ზრდის ეტაპი, პერიოდი როდესაც ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სუბიექტი აქტიურად იყენებდა მას (1960-იანი წლების ბოლო პერიოდი - 1978 წ.);
2) სტრატეგიულ დაგეგმვაზე თითქმის სრული უარის გაცხადების პერიოდი (გასული საუკუნის 80-იანი წლები), გამოწვეული იყო ეკონომიკაში კრიზისულიმოვლენების პროგნოზირების შეუძლებლობით;
3) სტრატეგიული დაგეგმვის თანდათანობითი დაბრუნების ეტაპი, მაგრამ უკვე სრულიად ახალ თვისობრივ დონეზე, როცა გათვალისწინებულ იქნა განვლილი პერიოდის ნაკლოვანებები;
4) გრძელვადიანი სტრატეგიებიდან მოკლევადიანზე გადასვლის ეტაპი, საწარმოთა რეინჟინირინგისა რეკონსტრუქციების მოცულობების შემცირება (1980-იანების ბოლო);
5) სრულყოფილ სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაბრუნების

პერიოდი (1990-იანი წლების შუახანებიდან თანამედროვეობამდე).

ნაშრომში, შემდგომ, უცხოური გამოცდილებისა და ამ სფეროში დაგროვილი თეორიული ცოდნის ორგანული შერწყმითა და შემოქმედებითი გააზრებით შევეცდებით ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის შემდგომი სრულყოფისათვის შევიმუშავოთ ადგილობრივი პირობებისათვის მისაღები მიდგომები და არსებული მექანიზმების დახვეწის გზები.

1.3 ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა ეკონომიკური განვითარების რეგულირების კონტექსტში

მიმოვიხილოთ არსებული თეორიული მასალა ეკონომიკური განვითარების რეგულირების და რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის კონტექსტში სტრატეგიული დაგეგმვის გამოყენების რამოდენიმე აქტუალური კონცეფციის კუთხით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **„განვითარების დერეფნების"** კონცეფცია. ფრიდმანის მიხედვით, განვითარების დერეფანი მოიცავს მცირე ზონებს რეგიონული ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა კვანძების დამაკავშირებელი მაგისტრალების გასწვრივ. ამ რეგიონების შიგნით ეკონომიკური საქმიანობა ნაკლებად კონცენტრირებულია. თუმცა გააჩნია განვითარების შესაძლებლობა.

მეორე კონცეფციაა - ჰეიერის **„განვითარების ღერძი"**, რომლის წარმოშობას ხუთ წინაპირობას უკავშირებს ის;

1. ორი განვითარების ცენტრი ერთმანეთთან კომუნიკაციის მეშვეობით უნდა იყოს დაკავშირებული;
2. ეს ორი განვითარების ცენტრი ურთიერთდამოკიდებული უნდა იყოს;
3. ცენტრების ურთიერთქმედებას განვითარების შემ-

დგომი პოტენციალი უნდა გააჩნდეს;

4. განვითარების ღერძი შესაძლოა გაიზარდოს როგორც ეკონომიკურ, ასევე სივრცით კონტექსტში;
5. განვითარების ღერძი წარმოიშობა ორი განვითარების ცენტრის ურთიერთქმედებისას მათი კომუნიკაციური ღრძის გასწვრივ, შემდგომი ეკონომიკური განვითარების მიზნით.

შემდეგი კონცეფცია -**„სატრანსპორტო დერეფანი"** - განისაზღვრება როგორც მრავალკვანძოვანი დერეფანი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ორ წერტილს აკავშირებს. ის მდგრადი უნდა იყოს და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე ეფექტური. ამ სივრცეში რესურსებისა და საქონლის გადაადგილება ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. შტაინისა და ბარინარდის მიხედვით ამ ურთიერთქმედებას შემდგომ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებამდე მივყავართ.

რეგიონული დაგეგმვისადმი სხვადასხვა მიდგომებს სხვადასხვა ეკონომიკური მოძღვრება თუ შეხედულებები განაპირობებს. ერთ-ერთი მათგანია - **„ზრდის პოლუსების თეორია".** ბოტის ნაშრომების მიხედვით, ზრდის პოლუსი - ეკონომიკური საქმიანობის ცენტრია, რომელსაც შეუძლია განახორციელოს თვითკმარი ეკონომიკური განვითარება იმ დონემდე, ვიდრე ზრდა თანდათანობით ნაკლებგანვითარებულ რეგიონებზე გავრცელდებოდეს.

კრისტალერის **„ცენტრალური ადგილების თეორია"** ეფუძნება წარმოდგნებს, რომ რეგიონი განთავსების სპეციფიკური შაბლონების მიხედვით ვითარდება. გლასონის მიხედვით, ეს იმითაა განპირობებული, რომ ადამიანის მოთხოვნილებები თანაეწყობა გეოგრაფიულ გარემოცვას. მოდელი ეფუძნება შემდეგ დაშვებებს: არსებობს ერთგვაროვანი სივრცითი დონე, რომელშიც სასოფლო სავარგულების და ბუნებრივი რესურსების ხარისხი თანაბარია, მოსახლეობა თანაბრადაა გადანაწილებული და სამომხმარებლო მოთხოვნილებები და ტექნიკური

პროგრესი ერთნაირია.

შემდეგი მოდელია ვებერის **„დანახარჯების მინიმიზების მოდელი“**, რომელიც სამ ფაქტორს ითვალისწინებს: სატრანსპორტო დანახარჯებს, შრომის ანაზღაურების დანახარჯებს და აგლომერაციისა და დეგლომერაციის ძალების მოქმედებას, რომელთაც წარმოების განთავსებაზე აქვთ ზეგავლენა. ამ მიდგომის მიხედვით ახალი წარმოების განთავსების ადგილსამყოფელი იმ რეგიონში შეირჩევა, სადაც დანახარჯები მინიმალურია.

ფრიდმანი თავის **„რეგიონული ეკონომიკური განვითარების თეორიაში“** ეფუძნება რეგიონული ეკონომიკური დისბალანსის მდგომარეობას. ის შეეცადა შეეკრიბა რეგიონული განვიითარების მიღწევის საშუალებები ერთიან რთულ სისტემაში, რომლის შიგნითაც ეკონომიკური კვანძები დასაგეგმი სივრცითი სისტემის საშუალებებით არის დაკავშირებული ერთმანეთთან. რეგიონს შიგნით განვითარების მისაღწევად გასაკეთებელია არჩევანი წმინდა ეკონომიკურ ზრდასა და სხვადასხვა ფაქტორებთან დაკავშირებულ ეკონომიკურ ზრდას შორის. ფრიდმანი რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემდეგ ორიენტირებს გამოყოფს: ზრდა თუ ეკონომიკური კეთილდღობა; დაბალანსებული თუ დაუბალანსებელი ზრდა; კონცენტრაცია თუ განაწილება.

დღესდღეობით ამ არჩევანის გაკეთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ეროვნული პროდუქტის მაქსიმალურ ზრდას, მაშინ როცა ეკონომიკური კეთილდღეობა ქვეყნის ღარიბი რეგიონების მოსახლეობის სასარგებლოდ შემოსავლების გადანაწილებას უჭერს მხარს. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ორი მიდგომის შერწყმა: რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის გაწეული ძალისხმევის და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვას.

წარმოდგენილი რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომების კონცეფციების ჩვენს

მიერ ჩატარებული ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. დაგეგმვის დროს აქცენტები რეგიონის (ტერიტორიის) ფუნქციონირებაზე კი არა, არამედ მისი როგორც ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნების მიღწევის ინსტრუმენტზე უნდა გაკეთდეს;
2. ტერიტორიული დაგეგმვის მთავარი ამოცანაა ტერიტორიის სტრუქტურის ტიპის განსაზღვრა;
3. ტერიტორიის შიდა ფუნქციონირებაში და განვითარებაში არსებული განსხვავებები საჭიროებს სხვადასხვა თეორიული მიდგომისა თუ კონცეფციის კომპლექსურ, ერთიან ბაზაზე ანალიზსა და დასაბუთებას;
4. თეორიული კონცეფციების გამოყენება უნდა ეთანადებოდეს განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
5. ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის მიღწევაზე ბაზირებულ მიდგომებს შორის გონივრული და ზუსტი ბალანსის პოვნა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ხელოვნებაა.

ეკონომიკური განვითარების ზოგად კონტექსტში ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის განხილვის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ისეთ ასპექტზე, როგორიცაა **მდგრადი განვითარება.** სტრატეგიულ დაგეგმვასთან მიმართებაში ეს ტერმინი განვითარებისა და გარემოს დაცვის გაეროს კომისიის 1987 წლის ანგარიშის პუბლიკაციას უკავშირდება. მდგრადი განვითარება განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გაეროს კონფერენციის შემდგომ. კონფერენციის მონაწილეებმა ეკონომიკურ ეფექტიანობას, სოციალურ სამართლიანობას და ეკოლოგიურ რაციონალობას შორის ურთიერთკავშირის დეკლარირება მოახდინეს. მდგრადი განვითარების ცნება თავის თავში მოიცავს სარგებლისა და დანახარჯების განაწილების ეთიკას როგორც დროში (თაობებს შორის), ასევე სივრცეშიც (ერთი თაობის ფარგლებში). აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგად, მდგრადი განვითარე-

ბის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოვყოთ ხუთი შემადგენელი ელემენტი:

1. მოსახლეობის ერთ სულ ენერგიის დანახარჯების შემცირება, გლობალურ მასშტაბში მდგრადი განვითარების ეკოლოგიური კრიტერიუმების შესაბამის დონემდე;
2. საკვების წარმოებისათვის ბუნებრივი გარემოს, ეკოსისტემის და ნიადაგის გამოყენების მინიმიზება;
3. წარმოებაში გარემოსათვის მავნე კონსტრუქციული მასალების გამოყენების შემცირება;
4. ნარჩენების მაქსიმალურად შესაძლებელი გადამუშავება, უპირატესად ადგილობრივ დონეზე;
5. ქალაქის მოსახლეობისათვის ცხოვრების სასიკეთო პირობების უზრუნველყოფა - ჯანმრთელობისათვის მავნე ხმაურის და დაბინძურების გარეშე გარემო, საკმარისი რეკრეაციული ზონების თანხლებით.

მდგრადი განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც გეგმის შემადგენელ ნაწილად განიხილება, უნდა მოიცავდეს ბუნების, მოსახლეობის და ეკონომიკის ურთიერთშემავსებელ, კომპრომისულ და დაბალანსებულ განვითარებას. რესურსების ნაკლებობის პირობებში დაუბალანსებულობის და დისპროპორციულობის რისკები ქმნიან დიდ საფრთხეებს განვითარების სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. ამდენად, განვითარების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აქტუალურია ინდიკატორების ზღვრული მაჩვენებლების სისტემის შემუშავება, რომელთა დაუცველობაც მიჩნეული იქნება უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოზიციებიდან კრიტიკულ გადაცდომათ. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ცივილიზაციის მიღწევათა და მათზე ბუნების მხრიდან საპასუხო რეაქციის თანაგანზომვადობას, განვითარების ჰარმონიულობას, ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის ბალანსის დაცვას.

რაც შეეხება ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცედურული რეალიზაციის თე-

ორიული საწყისების საკითხს, თანამედროვე მიდგომებით, ის ხორციელდება **სოციალური პარტნიორობის მექანიზმის** მეშვეობით, რომელიც არის სტრატეგიის დამუშავებისა და რეალიზების მნიშვნელოვანი გზა. ამ პრინციპით ფორმირებული სახელმწიფო პოლიტიკა განაპირობებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის მიზნით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებით წარმოდგენილი მოქალაქეების ურთიერთქმედებას. ევროპულ პრაქტიკაში ფართოდაა დანერგილი ამგვარი ინტეგრირებული მიდგომის შედეგად, ხელისუფლების სხადასხვა დონეების დიალოგით, ე.წ. „ქვემოდან-ზემოთ" პრინციპის გამოყენებით, კონსენსუსის საფუძველზე მონაწილე მხარეთა ინტერესების გათვალისწინება.

ჩვენს რეალობაში, ტერიტორიული ერთეულებისათვის კვლავაც დიდ პრობლემად რჩება დაინტერესებული მხარეების სოციალური პარტნიორობის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღებათა პროცესში ჩართვის ფორმების, მეთოდების და გზების არ ცოდნა და გამუცდელობა. თუ უცხოელთათვის დამახასაიათებელია დაგეგმვის პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართულობა, მათ ინიციატივებზე დაყრდნობა, ჩვენს შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი და მონანილეობა ამ პროცესებში შეზღუდულია და ის ძირითადად დასახლების სივრცით-ტერიტორიული განაშენიანების გეგმისადმი ზოგადი ყურადღებით შემოიფარგლება. ასევე უმნიშვნელო ინტერესს იჩენენ ბიზნეს-სტრუქტურებიც - ტერიტორიული განვითარებისათვის დარგთაშორისი და სექტორთაშორისი თანამშრომლობა, მათი წარმოდგენით, ნაკლებად მიმზიდველი თემაა. ადგილობრივი ხელისუფლებაც ხშირად ვერ აიგივებს სექტორთაშორისი თანამშრომლობის, საზოგადოებისა და ბიზნესის წარმომადგენელთა აქტიურობის როლს, მათ მნიშვნელობას სტრატეგიული ინიციატივების, პროგრამებისა და პოლიტიკის ფორმირების, რეალიზებისა და შეფასების საქმეში.

თანამედროვე მენეჯმენტის ამ გამოცდილი მეთოდის მაღალი ეფექტურობა პრაქტიკითაა დადასტურებული. სტრატეგიული დაგეგმვის ყველა პროცედურა, შესაბამისი ადაპტაციის პირობებში, შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების დამუშავებისას, არამედ ანტიკრიზისული ზომების გატარებისას, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში და განვითარების სხვა მიმართულებებშიც. ანუ, სტრატეგიათა შემუშავების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ბოლო დროს გამძაფრებული კონკურენცია, მათ შორის საერთაშორისო მასშტაბებითაც, მართვის მექანიზმების შემდგომი გართულება და ტიპური ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისათვის მუდმივი სწრაფვა.

ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მათ წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემების სიმწვავის გათვალისწინებით, გასააზრებელია სტრატეგიათა განსაზღვრის და დამუშავების აუცილებლობა, რომელიც ორიენტირებული იქნება უმუშევრობის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების საკითხებზე. ამ საქმიანობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების გააზრება და მათ მიმართ ერთიანი მიდგომების ფორმირება;
- განვითარების მიმართულების განსაზღვრა;
- ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მოღვაწე ძირითადი აქტორების - ხელისუფლების, ბიზნესისა და საზოგადოების სავარაუდო ქცევის წინასწარი განსაზღვრა, რაც მსჯელობის და მათთან ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე ხორციელდება;
- ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის საერთო ხედვებისა და მიდგომების ჩამოყალიბება;
- ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტებისათვის, მათი მოქმედებების მიზანმიმართულობის და კოორდინირე-

ბის ზრდის მეშვეობით, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ხელის შეწყობა.

სტრატეგიის ფორმირების მოტივაცია ძირითადად ორ მნიშვნელოვან მიმართულებას მოიცავს. პირველი - ადგილობრივი ბიზნესისათვის ინფორმაციის მიწოდება, თუ რა საქმიანობას ეწევა ხელისუფლება ეკონომიკის სფეროში, იმ პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა, რომელთა სტიმულირებასა და მხარდაჭერას განახორციელებს იგი. მეორე - ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზებაშირაც შეიძლება მეტი მონაწილის ჩართვა. ამით სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდი განიხილება როგორც ურთიერთგაგების მიღწევისა დაქმედებათა კოორდინაციის მძლავრი საშუალება.

სტრატეგიული დაგეგმვის დანერგვა საშუალებას იძლევა:

- წინასწარ განისაზღვროს განვითარების პირობები, რათა შესაძლო მოვლენებზე მოქმედებები იმგვარად დაიგეგმოს, რომ მოხდეს ნეგატიური ეფექტების მინიმიზება და პოზიტიური ეფექტების მაქსიმიზება;
- განხორციელდეს არსებული პოტენციალის წინასწარი კომპლექსური შეფასება;
- დაისახოს საერთო მიზნები და მიღწეული იქნას კონსენსუსი - განვითარების მიზნებზე საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძლიერსი მხარეა;
- მოხდეს რესურსების ოპტიმალურად და ეფექტიანად განაწილება, მათი მთავარ მიმართულებაზე კონცენტრირება;
- კოორდინირებაში იქნას მოყვანილი განვითარების სხვა ადგილობრივი პროგრამები;
- მიზნებისა და ამოცანების დასახვის გზით შეიქმნას მოძრაობის მიმართულების განსაზღვრის, შედეგების გაზომვის და შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი.

თავი 2. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება

2.1 ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა: პრინციპები, სტრუქტურა, პროცედურები

სტრატეგიული დაგეგმვის ერთიანი მეთოდური და მეთოდოლოგიური ბაზის არარსებობა აიძულებს მკვლევარებს მიმართონ თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ნეოკლასიკურ, ინსტიტუციონალურ და ევოლუციურ პარადიგმებს. თუმცა სტრატეგიული პროცესის ელემენტების ჰეტეროგენულობა ართულებს მისი კომპონენტების აღწერას სტრატეგიული დაგეგმვის რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი თეორიული მოდელის ფარგლებში. ყოველივე ეს წარმოშობს წინაპირობებს ეკონომიკური თეორიის, როგორც სტრატეგიული პროცესის ერთიანი თეორიის ბაზისის, სისტემურ პარადიგმაზე გადასვლისთვის. სისტემური მიდგომის ევოლუციამ, რომელმაც განსაზღვრა სისტემის ენდოგენურიდან ეგზოგენურ ინტერპრეტაციაზე გადასვლა, შესაძლებელი გახადა სტრატეგიული პროცესის, როგორც განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის ერთიანი შეხედულების ჩამოყალიბება.

ვინაიდან გარე სამყაროს დინამიზმი მუდმივად იზრდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრატეგიამ, როგორც დოკუმენტმა, რომელიც ასახავს ქმედებებს გრძელვადიან პერსპექტივაში, შეიძლება დაკარგოს აქტუალობა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ დღეს, ძალიან არასტაბილური გარემოს პირობებში, სტრატეგიული გეგმის შემუშავება ზოგადად შეუსაბამოა. როგორც ჩანს, ეს მცდარი წარმოდგენაა. სტრატეგიული გეგმა აუცილებელია და მისი განხორციელება

შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ფაქტორების ერთობლიობითა და ნაბიჯების თანმიმდევრობითობით. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავად სტრატეგია დიდწილად დამოკიდებულია მეთოდოლოგიურ მიდგომაზე, რომლის საფუძველზეც იგი ჩამოყალიბდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოვლენილია დაგეგმვის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავების შემდეგი ეტაპები: ფუნქციური; რაციონალურ-კომპლექსური; ეტაპობრივი; სტრატეგიული; სოციალურ კომუნიკაციასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული დაგეგმვა; პოსტთანამედროვე მოდერნიზმის დაგეგმვა.

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიის ცნების არსისა და შინაარსის განსაზღვრას, დაგეგმვის დოკუმენტაციის შინაარსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, დაგეგმვის პროცესის პრინციპებისა და ლოგიკის დადგენას. სტრატეგია თავისი არსით სამ ძირითად მიდგომას აერთიანებს:

- სტრატეგია, როგორც გეგმა, ღონისძიებათა სისტემა;
- სტრატეგია, როგორც დოკუმენტი;
- სტრატეგია, როგორც ხედვა, განვითარების მიმართულება.

გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგია უნდა გაფორმდეს, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, რადგანაც სტრატეგიული განვითარების მიზნების ეფექტური რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დამტკიცებული ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის ფარგლებში, რომლის დებულებებიც შემდგომ რეალიზებადი პოლიტიკის საფუძვლად იქცევა.

ნათელია, რომ განვითარების სტრატეგიის დამუშაების პროცესში, პირველ ყოვლისა განვითარების მიზნების განსაზღვრაა აუცილებელი. მიზნის დასახვის პროცესი კი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარების კომპლექსურ ანალიზს ეფუძნება. გარდა ამისა, დაგეგმვის ფარგლებში უნდა დამუშავდეს მიზნების მისაღწევად დასახული ღონისძიებების სისტემა, ანუ განისაზღვროს სტრატეგიის რეალიზაციის მექა-

ნიზმები. ამდენად, სტრატეგია- გრძელვადიანი პროგნოზულ-ანალიტიკური დოკუმენტია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების სისტემას, განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და მათი რეალიზაციის მექანიზმებს, დამუშავებულია არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე და მიმართულია ტერიტორიის კოპლექსური განვითარების ამოცანათა გადასაჭრელად.

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის ძირითად მახასიათებლებს განეკუთვნებიან:

- გეგმა გამოყოფს ტერიტორიის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ცდილობს რა გააძლიეროს, განავითაროს, ჩამოაყალიბოს სუბიექტის კონკურენტული უპირატესობები;
- გეგმა მოიცავს მოკლე მიზნებსა და პრინციპებს, რომლებიც ახდენენ მწარმოებლების, ინვესტორების, ადმინისტრაციისა და მოსახლეობის ორიენტირებას, ეხმარებიან მათ მომავალი განვითარების ხედვაზე ბაზირებული გადაწყვეტილებების გამომუშავებაში და მათ რეალიზაციაში;
- გეგმა ფორმირდება არსებულ ძალთა პარტნიორული ურთიერთქმედების საფუძველზე. ის არა დირექტივა, არამედ გააზრებული რეკომენდაციების კომპილაციაა. გეგმა სტრატეგიული ხასიათის სპეციფიურ ღონისძიებათა ერთგვარ შეთანხმებად უნდა იქცეს, რომელიც აქტუალური და მნიშვნელოვანი იქნება როგორც კერძო სფეროსათვის, ასევე მოსახლეობისათვის;
- გეგმა გრძელვადიანი ხედვისა და დღევანდელ ღონისძიებათა კომბინაციაა. განვითარების სტრატეგიის განხორციელების ყველა ძირითადი მიმართულებით მიზანშეწონილია ქვემიზნებისა და მათი მიღწევის მექანიზმების შემუშავება, საჭირო რესურსების, სავარაუდო ეფექტის, კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრით.

ტერიტორიული სუბიექტის ეკონომიკური განვითარების საკვანძო საკითხებია:

- ახალი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ახალი წარმოებების მოზიდვა;
- არსებული წარმოებების განვითარება;
- წარმოების სტრუქტურის განახლება;
- წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის გზებისა და მეთოდების განვითარება.

ეკონომიკური განვითარების დამახასიათებელი პრობლემებია - არა მხოლოდ ახალი ეკონომიკური აგენტების მოზიდვა, არამედ საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, მიწათსარგებლობის მოწესრიგება, დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნება, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა უწყვეტი პროცესია, ის აყალიბებს ჩარჩოებს ნებისმიერი გადაწყვეტილების, მათ შორის მიმდინარე ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის არსებობა საშუალებას იძლევა მიმდინარე გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამუშავებული ბაზისის საფუძველზე იქნას მიღებული და გატარებული. თავად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შედეად გეგმას კი არ იძლევა, არამედ თავად სუბიექტის ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც თავის მხრივ სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული მმართველობითი მოქმედებების შედეგია.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცედურები არ უშვებს აბსოლუტურად ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას, რადგანაც ტერიტორიული ერთეულები სხვადასხვა მრავალი პარამეტრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორებიცაა:

- ეკონომიკური აქტივობის დონე;
- გეოგრაფიული მახასიათებლები და ბუნებრივი რესურსები;
- ეკონომიკური პირობები, ეკონომიკური აქტივობის სუ-

ბიექტების საქმიანობის მახასიათებლებითა და შედეგებით;

- სოციალურ-პოლიტიკური პირობებით და ადგილობრივი მმართველობის საქმიანობის ეფექტურობთ.

ყოველი ტერიტორიული ერთეული საკუთარი პრობლემების ჭრილში, მათ თავისებურად გადაწყვეტს, თუმცა არსებობს საერთო მიდგომები და პრობლემათა დაძლევის გზები.

სტრატეგიის შინაარსისადმი წაყენებული მოთხოვნების თეორიული ანალიზის და მიღებული პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შევიმუშავეთ ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის **სამოდელო სტრუქტურა.** (იხ. ნახ. 2.1)

სტრატეგიის პირველი თავი - *„ტერიტორიის შიგა და გარე პირობების კომპლექსური ანალიზი"* - მოიცავს გარე ფაქტორებისა და პირობების, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის, მენარმეობის, ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიის, საზოგადოებისა და სოციალური სფეროს, საგარეო კავშირების კომპლექსურ კვლევას. ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების ანალიზი რეგიონული ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი და ტრადიციული მეთოდია. იგი ეფუძნება სტატისტიკური ინდიკატორების სისტემის გამოყენებას, რომელიც ახასიათებს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში არსებულ ძირითად მოვლენებსა და პროპორციებს და, შესაბამისად, ეკუთვნის სტატისტიკური მეთოდების ჯგუფს. ამ ანალიზის მიზანია გამოავლინოს დისბალანსი და ეკონომიკური ზრდის გამოუყენებელი შესაძლებლობები რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ვარიანტების შემდგომი დასაბუთებისთვის. რეგიონული ეკონომიკური განვითარების რესურსული და დემოგრაფიული წინაპირობების ანალიზის პროცესში ტარდება რეგიონის მინერალური რესურსების, საწვავის და ენერგიის, მიწის, წყლის და ტყის რესურსების ინვენტარიზაცია; შეისწავლება შრომითი რესურსების სტრუქტურა, ქალაქებისა და სოფლის მაცხოვრებლების რაოდენობა და თანაფარდობა, ძირითადი ასაკობრივი და გენდერული ჯგუფები, სიცოცხლის საშუალო ხანგრ-

ძლიერობა, გაბატონებული მიგრაციული ნაკადები, უმუშევრობის დონე, შობადობათა და გარდაცვალების თანაფარდობა და ამ ინდიკატორის დინამიკა რამდენიმე წლის განმავლობაში. ტერიტორიული სუბიექტის ინფორმაციის ყოვლისმომცველი ანალიზი, როგორც წესი, იწყება ისტორიული (ისტორიულ-გეოგრაფიული) მიდგომის გამოყენებით. ის გეგმის (პროგრამის) შემქმნელებს საშუალებას აძლევს გაიაზრონ პროცესის ისტორიული ლოგიკა, სუბიექტის მოცემულ გეოგრაფიულ წერტილში წარმოშობის, ფორმირებისა და განვითარების შიდა კანონზომიერება, გამოკვეთონ მამოძრავებელი ძალები და წყაროები, რომლებიც განსაზღვრავენ სივრცით, სტრუქტურულ, დემოგრაფიულ ძვრებს, გაანალიზონ მის ისტორიულ მისიაში დროის სხვადასხვა პერიოდში მომხდარი თვისობრივი ცვლილებები. განვითარების ამ ასპექტების შესწავლა შესაძლებელს ხდის სასიცოცხლო ციკლის გარკვეული პროცესების ექსტრაპოლაციას მომავალ პერიოდებზე. შემდგომ, ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ფუნქციური ანალიზის ჩატარებისას შესასწავლია:

- ეკონომიკის წამყვანი სექტორების განვითარების დინამიკა ბოლო 3-5 წლის განმავლობაში (გამოვლინდება წამყვანი ეკონომიკური სუბიექტები, საერთო საწარმოო და ტექნოლოგიური ჯაჭვებით გაერთიანებული ეკონომიკური სუბიექტების ჯგუფები და მათ ირგვლივ ფორმირებული კლასტერები; განისაზღვრება ეკონომიკის „ზრდის პოლუსები“);
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე, მისი განვითარების შემაკავებელი მიზეზები;
- ბუნებრივი რესურსების პოტენციალის ანალიზი და შეფასება;
- ტერიტორიის მაკროეკონომიკური მახასიათებლები;
- ეკონომიკის რეალური სექტორის, საბაზრო ინფრასტრუქტურის ტოპ და საშუალო მენეჯმენტის სპეციალისტებით, ძირითადი სამუშაო პროფესიების კადრე-

ბით უზრუნველყოფის დონე;
- საინვესტიციო აქტივობა, მისი საინვესტიციო პოტენციალი, ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, საწარმოების ძირითად აქტივებში;
- საექსპორტო პოტენციალის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი და შეფასება;
- სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობა და მისი პოტენციალი;
- საფინანსო და საბიუჯეტო სფეროს მდგომარეობა, საგადასახადო პოტენციალი, ძირითადი საწარმოების ფინანსური მდგომარეობა;
- სოციალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, მისი შესაბამისობა ნორმებთან და სტანდარტებთან;
- სოფლის მეურნეობის და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების მიღწეული დონის შეფასება;
- უმუშევრობის დონე და მის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტურობა;
- გარემოს მდგომარეობისა და მისი დაბინძურების მიზეზების ანალიზი;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მდგომარეობა;
- სხვა საკითხები.

რიგ შემთხვევებში, სტრუქტურული და ფუნქციური ანალიზის ფარგლებში, ტარდება ტერიტორიული სუბიექტის ეკონომიკური სექტორების განვითარების საწყისი მდგომარეობის ინტეგრალური შეფასება. ზოგადად, ინტეგრალური შეფასება მოიცავს:

- ინდიკატორების დაჯგუფებას შერჩეული მახასიათებლების მიხედვით;
- საკვლევი ობიექტის მდგომარეობის ინტეგრალურ შეფასებაზე მათი გავლენის (კუთრი წონის) ექსპერტულ შეფასებას;
- ფუნქციის შერჩევას, რომელიც რამდენიმე ინდიკა-

ტორს ერთ ინტეგრალურ მაჩვენებლამდე დაიყვანს;
- ინტეგრალური ინდიკატორის გაანგარიშებას.

ტერიტორიული სუბიექტის განვითარების შესაფასებლად გამოიყენება ინდიკატორების მთელი სისტემა, რომელთა მთლიანობა კლასიფიცირებულია სხვადასხვა ჯგუფებად:

1. ეკონომიკური მაჩვენებლები:
   - რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი და მისი გამოყენება;
   - ძირითადი მაკროეკონომიკური მახასიათებლები;
   - რეგიონული ბაზრების მდგომარეობა;
   - საინვესტიციო საქმიანობა;
   - ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოება;
   - რეგიონის ფინანსური მდგომარეობა;
   - საგადასახადო ტვირთი და დამოუკიდებელი საგადასახადო ბაზის არსებობა ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისთვის;
   - ტერიტორიული სტრუქტურის მაჩვენებლები;
   - ეკონომიკური აქტივობის კონცენტრაცია;
   - დივერსიფიკაციის დონე.
2. ცალკეული დარგების განვითარების მახასიათებელი კერძო ინდიკატორები:
   - სამრეწველო წარმოების მოცულობა;
   - სამომხმარებლო საქონლის წარმოება;
   - საცალო და საბითუმო ვაჭრობის საქონელბრუნვა;
   - მომსახურების სფეროს ბრუნვა;
   - სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთლიანი მოსავალი;
   - საკონტრაქტო სამშენებლო სამუშაოების მოცულობები.
3. სოციალური ინდიკატორები:
   - უმუშევრობისა და დასაქმების დონე რეგიონში; ნომინალური და რეალური შემოსავლების დინა-

მიკა; შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა;
- საშუალო თვიური შემოსავლისა და ცხოვრების ღირებულების თანაფარდობა; მატერიალური საქონლისა და მომსახურების მოხმარება; ინფრასტრუქტურის განვითარების დონე.

4. ეკოლოგიური მაჩვენებლები:
   - ანთროპოგენური დატვირთვა ტერიტორიაზე, ატმოსფეროში დამაბინძურებლების ემისიების დონე;
   - ზედაპირული წყლის ობიექტების მდგომარეობა და ჩამდინარე წყლების რეზერვები და ა.შ.
5. დემოგრაფიული მაჩვენებლები:
   - მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი სტრუქტურა, სამუშაო ასაკის მოსახლეობა, განათლების დონე, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიგრაციის ბალანსი და ა.შ.

რეგიონის ეკონომიკური დონის შეფასების პროცესში ვეყრდნობით შეფასების შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- კომპლექსურობა - ეკონომიკური განვითარების დონის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტის გათვალისწინების უზრუნველყოფა;
- სისტემურობა - ძირითადი ინდიკატორების ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი და რეგიონული განვითარების კერძო და ინტეგრალური მახასიათებლების მოწესრიგებული სტრუქტურის გამოყენება;
- რეპრეზენტაციულობა - ეკონომიკური განვითარების ძირითადი ასპექტების შეფასების ინდიკატორების რეპრეზენტაციულობის უზრუნველყოფა;
- ადაპტიურობა - გამოყენებული ინდიკატორების სისტემის ადაპტაცია არსებული სტატისტიკური ანგარიშგების შესაძლებლობებთან;
- მიზნობრიობა - ინდიკატორების სისტემის შესაბამისობა ეკონომიკური განვითარების მონიტორინგისა

და პროგნოზირების ამოცანებთან.

ტერიტორიის ყოვლისმომცველი შეფასება, მათ შორის ბუნებრივი გარემოს ანალიზი, ყველა რეზერვის და რესურსის აღნუსხვა, მოქმედი ფაქტორების იდენტიფიკაცია და ანალიზი, წინ უძღვის ტერიტორიის კონკურენტული პოზიციებისა და სტრატეგიული გამოწვევების განსაზღვრას და შემდგომ დაგეგმვითი გადაწყვეტილებების მიღებას, მათ ვარიანტების შესწავლას და, საბოლოო ჯამში, სტრატეგიული გეგმის ფორმირებას.

მეორე თავში - *„კონკურენტული პოზიციები და სტრატეგიული გამოწვევები"* - აღიწერება კომპლექსური ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი პოზიციები და გამოწვევები. აქვე განვიხილავთ სუბიექტის განვითარების ალტერნატიულ სცენარებს.

კონკურენტული პოზიციების და სტრატეგიული გამოწვევების შეფასების პროცესში კვლევის შედეგები მიზანშეწონილია SWOT-ანალიზის სახით იქნას წარმოდგენილი, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ რეგიონის ეკონომიკური კომპლექსის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე მისი განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლებიც შექმნილია გარე გარემოდან, განვსაზღვროთ განვითარების უმთავრესი მიმართულებები. ეს მეთოდოლოგია გულისხმობს კვლევის ობიექტის აღმწერი ფაქტორების ოთხ კატეგორიად დაყოფას: ძლიერი მხარეები (Strengths), სუსტი მხარეები (Weaknesses), შესაძლებლობები (Opportunities), საფრთხეები (Threats). ძლიერი და სუსტი მხარეები ობიექტის შიდა გარემოს ფაქტორებია (ანუ რაზეც თავად ობიექტს შეუძლია გავლენა მოახდინოს); შესაძლებლობები და საფრთხეები კი გარე გარემოს ფაქტორებია (ანუ ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ობიექტზე გარედან და მათ ობიექტი ვერ აკონტროლებს). SWOT-ანალიზის ჩატარების კლასიკური მეთოდოლოგია ლიტერატურაში საკმაოდ სრულად არის აღწერილი. SWOT-ანალიზი ეფექტურია არსებული სიტუაციის პირველადი შეფა-

სებისთვის, მაგრამ ის ვერ ჩაანაცვლებს სტრატეგიის შემუშავებას ან დინამიკის ხარისხობრივ ანალიზს. SWOT-ანალიზს შემდეგი ძლიერი მხარეები აქვს: ის არის უნივერსალური მეთოდი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკისა და მენეჯმენტის მრავალფეროვან სფეროებში, მისი ადაპტირება შესაძლებელია ნებისმიერი დონის კვლევის ობიექტზე; ის მოქნილია, დასახული მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გასაანალიზებელი ელემენტების თავისუფალი არჩევა; მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ოპერატიული შეფასებისთვის, ასევე სტრატეგიული დაგეგმვისთვის; მეთოდის გამოყენება, როგორც წესი, არ საჭიროებს სპეციალურ ცოდნას და ვიწრო პროფილის განათლებას. აქვე აღსანიშნავია ამ მეთოდის რიგი ნაკლოვანებებიც: SWOT-ანალიზი მხოლოდ ზოგად ფაქტორებს გვაჩვენებს, დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტული ღონისძიებები ცალკე უნდა შემუშავდეს; ანალიზში ფაქტორების მხოლოდ ჩამოთვლა ხდება, მათი ძირითად და მეორეხარისხოვანზე გამიჯვნის გარეშე, არ ტარდება მათ შორის ურთიერთკავშირების დეტალური ანალიზი; ანალიზი იძლევა უფრო სტატიკურ სურათს, ვიდრე განვითარების ხედვას დინამიკაში; შედეგები, როგორც წესი, წარმოდგენილია თვისებრივი აღწერის სახით, მაშინ როცა სიტუაციის შესაფასებლად ხშირად საჭიროა რაოდენობრივი პარამეტრები; ის საკმაოდ სუბიექტურია და დიდად არის დამოკიდებული იმ პირის პოზიციაზე და ცოდნაზე, ვინც მას ასრულებს; მაღალი ხარისხის SWOT-ანალიზისთვის საჭიროა სხვადასხვა სფეროდან დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოძიება, რაც მნიშვნელოვან ძალისხმევასა და ხარჯებს მოითხოვს.

მიუხედავათ იმისა, რომ SWOT-ანალიზი დღესდღეობით უფრო გავრცელებული მეთოდია გეგმების, პროგრამების თუ სხვადასხვა ანალიტიკური მასალის მომზადების პროცესში, მოკლედ მიმოვიხილოთ სტრატეგიული დაგეგმვის სხვა ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტებიც, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. საკმაოდ პოპულარულია და ხშირად გვხვდება

PEST-ანალიზის მეთოდი. PEST ანალიზი არის სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება მაკროგარემოს ფაქტორების ანალიზისა და მონიტორინგისთვის, რომლებიც გავლენას ახდენენ სუბიექტზე. PEST წარმოადგენს მაკროგარემოს ფაქტორების ოთხი ჯგუფის აბრევიატურას: პოლიტიკური (political), ეკონომიკური (economic), სოციალური (social) და ტექნოლოგიური (technological). ავტორის მიერ მისი პირველად გამოყენების (აგილარი, 1967) შემდგომ თავდაპირველ მოდელს დაემატა გავლენის ფაქტორების ორი ჯგუფი: გარემოსდაცვითი (environmental) და სამართლებრივი (legal). შედეგად მიღებული იქნა PESTLE ანალიზი, რომელიც დღეს ფართოდ გამოიყენება. მაკროგარემოს შეფასებისას მნიშვნელოვანია ისეთი პრობლემების თავიდან აცილება, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოყენებული მონაცემების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება, დიდი რაოდენობით მონაცემების გაშუქებისას ყველაზე გავლენიანი ფაქტორების გამოვლენის სირთულე, ანალიზის შედეგების არასწორი ინტერპრეტაცია და უზუსტობები. საჭიროა მაკროგარემოს მუდმივი ანალიზი, გარემო ფაქტორების ურთიერთგავლენის გათვალისწინება, შეფასებისას რამდენიმე ექსპერტის თვალსაზრისის გათვალისწინება, რათა თავიდან იქნას აცილებული აზრის სუბიექტურობა.

კონკურენტული ანალიზი მაიკლ პორტერის მიხედვით (პორტერის კონკურენტულ ძალთა მოდელი, პორტერის ხუთი კონკურენტული ძალის მოდელი) გვეხმარება კონკურენტული ძალების ინტენსივობისა და სიმძიმის დადგენაში, იმ პოზიციის პოვნაში, რომელშიც სუბიექტი მაქსიმალურად იქნება დაცული კონკურენტული ძალების გავლენისგან და, თავის მხრივ, შეუძლია გავლენა მოახდინოს მათზე. მაიკლ პორტერის თეორიის ოქროს წესი ისაა, რომ რაც უფრო სუსტია კონკურენტული ძალების გავლენა, მით მეტი შესაძლებლობა აქვს სუბიექტს მაღალი მოგების გამომუშავებისთვის. პირიქით, რაც უფრო დიდია კონკურენტული ძალების გავლენა, მით მე-

ტია იმის ალბათობა, რომ ვერც ერთი სუბიექტი ვერ შეძლებს ინვესტიციებზე მაღალი უკუგების მიღებას. ხოლო საშუალო მომგებიანობა განისაზღვრება ყველაზე ძლიერი, გავლენიანი კონკურენტული ძალებით.

ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფის მატრიცა (BCG Matrix) არის სტრატეგიული ანალიზისა და დაგეგმვის ინსტრუმენტი. შექმნილია Boston Consulting Group-ის დამფუძნებლის, ბრიუს დ. ჰენდერსონის მიერ (1970), კომპანიის პროდუქტების საბაზრო პოზიციიდან გამომდინარე აქტუალობის გასაანალიზებლად, ამ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდისა და საბაზრო წილის გათვალისწინებით, რომელიც ანალიზისათვის შერჩეულ კომპანიას უკავია. BCG მატრიცაში მოცემული კომპანიის პროდუქციის პორტფელის კლასიფიკაციის პრინციპები შესაძლებელია გამოვიყენოთ რეგიონის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის დაბალანსებულობის ანალიზისათვის. BCG მატრიცის გამოყენება საშუალებას მოგვცემს რეგიონის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის მთლიანი სურათი შევქმნათ და, შესაბამისად, რეგიონის დარგობრივი პორტფელის შემოსავლების ზრდის პერსპექტივების დასაბუთებული თვისებრივი პროგნოზი მივიღოთ. მისი დივერსიფიკაციის ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლებელია მომგებიანობის პროგნოზის გაკეთება: დისბალანსის შემთხვევაში შემოსავალი ნელა გაიზრდება და მოცულობითი თვალსაზრისით, სავარაუდოდ, რეგიონის მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფ დასაშვებ ზღვარზე დაბლა იქნება. ამ მოდელს გარკვეული დადებითი მხარეები გააჩნია: მარტივი ფორმა - თავდაპირველად, მატრიცა თითქოს გაუგებარია, მაგრამ ადვილია გრაფიკის სტრუქტურის გაგება და მისი წაკითხვის სწავლა; ობიექტურობა - ყველა დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს გრაფიკის ანალიზით, დაფუძნებული იქნება გაანგარიშებებზე და მოკლებული იქნება სუბიექტურობასა და ვარაუდებს; ფოკუსირება ფულად ნაკადებზე. აღსანიშნავია ასევე რიგი ნაკლოვანებებიც: ერთი კრიტერიუმი - სიტუაციის ანალიზზე გავლენის ერთადერთი ფაქტორი

ბაზრის ზრდის ტემპია; მითითებათა არ არსებობა - მოდელი არ ითვალისწინებს კონკრეტულ ნაბიჯებს შემდგომი მოქმედებისთვის; დასკვნების ორაზროვნება - ბაზრის წილის შემცირება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ პროდუქტმა დაასრულა თავისი ციკლი.

მატრიცები სტრატეგიულ დაგეგმვასა და ანალიზში ალბათ, ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, სიტუაციის შეფასების სიჩქარის თვალსაზრისით. მატრიცების დახმარებით შესაძლოა საკმაოდ სწრაფი დასკვნების გამოტანა კონკრეტული განვითარების ვექტორთან დაკავშირებული მოქმედებების შესახებ. გარდა განხილული ანალიტიკური მატრიცებისა, შედარებით იშვიათად, თუმცა შესაძლოა შევხვდეთ ანსოფის მატრიცას, ჯენერალ ელექტრიკის ან მაკინსის (GE/Mckinsey) მატრიცას, არტურ ლიტლის (ADL) მატრიცას.

მეოცე საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა და ავტორის - პროფესორ იშიკავას სახელი ეწოდა მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების დიაგრამას - <u>იშიკავას დიაგრამა.</u> მისი მთელი არსი მდგომარეობს იმ მიზეზების გამოთვლაში, რომელთა აღმოფხვრითაც შეგვიძლია პრობლემის (ეფექტის) თვალსაჩინო გამოვლინების მოცილება. მეთოდი შესაძლოა გამოყენებულ იქნას: მიზნის დასახვის პროცესში - პრობლემებიდან გამომდინარე დასახული მიზნების დეკომპოზიციის დროს; ღონისძიებათა გეგმის აგებისას - მიზნების ღონისძიებებად დაშლის დროს, როდესაც პროცესი რთულია ან პრობლემებიდან გამომდინარე მიზნებთან გვიწევს მუშაობა; სტრატეგიის დანერგვის ანალიზის დროს - მიზნების მისაღწევად გარკვეული აქტივობების განხორციელების შეფასებისას.

<u>დელფის მეთოდი</u> - კოლექტიური ინტელექტის ორგანიზების, ექსპერტული შეფასების მეთოდია, რომელიც დამუშავდა გასული საუკუნის 50-60-იანებში აშშ-ში (კორპორაცია RAND) და რიგი თავისებურებებით ხასიათდება: დაუსწრებლობა, სტრუქტურულობა, რეგულარული უკუკავშირი, მრავალდო-

ნიანობა, ანონიმურობა. მეთოდის საწყისი წინაპირობაა ის, რომ თუ სწორად შეაჯამებთ და დაამუშავებთ კვალიფიციური ექსპერტების ინდივიდუალურ შეფასებებს, მაშინ შეძლებთ მიიღოთ კოლექტიური აზრი, რომელსაც აქვს სანდოობის და საიმედოობის საკმარისი ხარისხი. ამ მეთოდის არსი არის მაქსიმალური კონსენსუსის მიღწევა სწორი გადაწყვეტილების დადგენაში რიგი თანმიმდევრული მოქმედებების - გამოკითხვების, ინტერვიუების, ბრეინსტორმინგის სესიების მეშვეობით. ანალიზი ტარდება რამდენიმე ეტაპად, შედეგები მუშავდება სტატისტიკური მეთოდებით. მეთოდს რიგი ნაკლოვანებები ახასიათებს: კოლექტიური აზრი ყველა შემთხვევაში არ არის მაქსიმალურად ობიექტური; ანალიტიკოსთა გუნდმა შესაძლოა უკუაგდოს პრობლემის გადაჭრის ყველაზე კრეატიული გზები, როგორც არაპოპულარული; ექსპერტთა ჯგუფი შეიძლება გადაიხაროს უმრავლესობის აზრისაკენ.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდიკის განვითარების მანძილზე სტრატეგირების საკმაო გამოცდილება დაგროვდა, დამუშავდა მრავალგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა, პრაქტიკაში დაინერგა სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტი. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა SWOT და PEST ანალიზები, ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფის მატრიცა, პორტერის კონკურენტულ ძალთა მოდელი, დელფის მეთოდი, იშიკავას დიაგრამა და სხვა. ყველა ეს ინსტრუმენტი, ისევე როგორც ტრადიციული დაგეგმვის პარადიგმა რიგ ნაკლოვანებებს შეიცავს. მათ შორისაა ნაწილობრივი პერსპექტივა (სხვა ვარიანტების თანაბარი შესაძლებლობა); არადინამიური, სტაბილური სტრუქტურული კავშირურთიერთობები; ნაცვლად კროსფატორულ და სისტემურ ანალიზზე დაფუძნებული ხარისხობრივი, სტოქასტიკური მოდელებისა, დეტერმინისტულ-რაოდენობრივ მოდელებზე აქცენტირება. ჩამოთვლილ პრობლემებთან ერთად თუ გავითვალისწინებთ განუსაზღვრელობის მაღალ დონეს, ცვლილებათა არაწრფივ ხასიათს, მოვლენათა აღქმის ილუზორულობის დაძლევის აუ-

ცილებლობას ნათელი ხდება ბოლო დროს სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომებში სცენარული დაგეგმვის მეთოდებისა და ინსტრუმენტების როლის და გამოყენების სიხშირის ზრდის აუცილებლობა.

სცენარული დაგეგმვა - სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილია, რომელიც მომავალი განუსაზღვრელობის მართვის ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებს განეკუთვნება. სუბიექტის გარემოს წინასწარ განსაზღვრული ელემენტებისა და ძირითადი განუსაზღვრელობების არსებობის კვლევა და მათი კომბინირება მომავლის ალტერნატიული სცენარების ფორმულირებისათვის საშუალებას იძლევა ისინი განხილულ იქნან როგორც მომავალში თანაბრად შესაძლო პოტენციური რეალიზაციები.

სცენარული მიდგომები ეფუძნება ღიაობისა და მრავალფეროვნების პრინციპებს, რომელთა დახმარებითაც სპეციალისტები ცდილობენ გაიგონ, როგორი იქნება გარე ძირითადი ძალების მომავალი ევოლუცია:

- ღიაობა ამ შემთხვევაში ნიშნავს აშკარა დაშვებების არსებობას ძირითადი მამოძრავებელი ძალების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ;
- მრავალფეროვნება ვარაუდობს, რომ არ არსებობს ერთი «საუკეთესო» სცენარი ან «ზუსტი» ან «არაზუსტი» პროგნოზი მიმდინარე სიტუაციისთვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სცენარული დაგეგმვის ოთხ სახეს:

1. არსის გარკვევა: რთული სიტუაციების არსის გასაგებად კვლევითი ხასიათის სცენარული დაგეგმვის ერთჯერადი განხორციელება;
2. სტრატეგიის შემუშავება: სცენარების გამოყენება მომავალში რეალიზებადი წინადადებების, შესაბამისი სცენარებით აღწერილ, სხვადასხვა პირობებში შესამოწმებლად;
3. წინსწრება: სუბიექტის უნარი დაინახოს, აღიქვას და გაიგოს თუ რა ხდება გარემოში. გარემო მოითხოვს მო-

ვლენებზე დაკვირვების, გამოცდილების, რეფლექსიის, რაციონალიზაციისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის მაქსიმალური რესურსების მობილიზებას;

4. ადაპტური ორგანიზაციული სწავლება: ამ მიზნის მისაღწევად, სუბიექტმა უნდა გადადგას კიდევ ერთი ნაბიჯი - ჩართოს მოქმედებები პროცესში. შინაარსის თვალსაზრისით, ეს მიზანი შედარებულია ლ.ფეის და რ. რანდალის (1998) მიერ შემოთავაზებული სცენარული სწავლების აღწერასთან, რომლებმაც აჩვენეს, რომ სცენარები უნდა იყოს ინტეგრირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს მიდგომა ვარაუდობს, რომ ადაპტური ორგანიზაციული სწავლის მოდელის გამოყენებისას ხდება გადასვლა ერთჯერადი სტრატეგიის შემუშავებიდან მუდმივ სტრატეგიულ დაგეგმვაზე და გამოცდილების დაგროვებაზე.

სცენარული დაგეგმვა თანამედროვე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სტრატეგიების შემუშავებისთვის, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- ურთიერთგამომრიცხავი ვარაუდების არსებობა - ამ მახასიათებლის გათვალისწინება ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად მკაცრად უნდა იქნას გამოყენებული არჩეული მოდელი. მომავლის მიმართ დაშვებების ახსნა, რომლებსაც ინდივიდები და ჯგუფები აკეთებენ, ეხმარება სუბიექტს მოცემულ მომენტში უფრო ეფექტურად იმოქმედოს;
- იმის აღიარება, რომ გაურკვევლობის ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს - სცენარული დაგეგმვის გამოყენებით საშუალება გვეძლევა გავიგოთ, თუ რა არ ვიცით და როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში;
- პერსპექტივების გაფართოება - სცენარები ასევე მოიცავს ე.წ. „თეთრ ლაქებს", რომელთა აღმოფხვრას ვახდენთ ვარაუდების შესწავლით, ხედვის გაფართოებით

და სხვადასხვა სფეროებიდან ინფორმაციის შეგროვებით;

- დილემებისა და კონფლიქტების მოგვარება - სცენარები გვეხმარება მოდელის მომხმარებლების წინაშე არსებული კონფლიქტებისა და დილემების არსის გაგებაში, მათ აღმოფხვრაში.

მიუხედავათ სცენარული დაგეგმვის ეფექტურობისა ამ მეთოდს გარკვეული ნაკლოვანებებიც ახასიათებს, რაც ზღუდავს მის პრაქტიკაში ყოველმხრივ, ხშირ გამოყენებას. მათ შორისაა:

- დაურწმუნებლობა დასკვნებში - სცენარული დაგეგმვა არ იძლევა ერთ კონკრეყულ პასუხს მომავლის შესახებ. ამიტომ, ის არ იძლევა გარანტიას საიმედოობაზე, რომელიც ხშირად საჭიროა გადაწყვეტილების მიღებისათვის. სცენარული დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც მოითხოვს უფრო მეტ ძალისხმევას და ხარჯებს, ვიდრე ტრადიციული დაგეგმვა;
- წინააღმდეგობა კონტროლის სიმარტივის პრინციპთან - მართვის სიმარტივის პრინციპის მიხედვით, თითოეულ კითხვას მხოლოდ ერთი სწორი პასუხი აქვს, თითოეული პრობლემა შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად, რომლებიც შეიძლება ცალ-ცალკე გადაწყდეს. სცენარული დაგეგმვა არ ეთანადება ამ პრინციპს, მას უფრო მთლიანობითი, სისტემატური მიდგომა გააჩნია დაგეგმვისადმი;
- „რბილი" მეთოდები და „რბილი" პასუხები - სცენარული მეთოდები, როგორც წესი, თვისობრივია და ეფუძნება ლოგიკური მსჯელობისა და ინტუიციური აზროვნების აღიარებას, თუმცა სკრუპულოზური ანალიზი ხშირად პროცესის ნაწილია. სცენარის შედეგები ხშირად წარმოდგენილია როგორც თვისებითი მახასიათებლები, რომლებიც ცუდად შეეფერება ტრადიციულ, მონაცემებზე ორიენტირებულ კულტურებს;

- დროითი დანახარჯები - კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მენეჯმენტი იშვიათად მიმართავს სცენარულ პროექტებს. გუნდზე დაფუძნებული მეთოდები შრომატევადია, რადგან მონაწილეებს უწევთ საათების ან თუნდაც დღეების დახარჯვა სანდო შედეგების მისაღებად.

დაგეგმვის ციკლში - მდგომარეობის ანალიზიდან (დაკვირვებიდან) შესრულებამდე (მოქმედებამდე) - სცენარული დაგეგმვის ტექნიკა გამოიყენება რამდენიმე მიმართულებით. ეს მეთოდები ეფექტური ინსტრუმენტებია გარემოსა და შესაძლებლობების ცვლილებების დასადგენად. ტენდენციებზე ორიენტირებული სცენარები, ისევე როგორც კონტრასტული და ალტერნატიული სცენარები, შესაძლოა გამოყენებულ იქნან სტრატეგიული კითხვების ჩამოყალიბებისა და შერჩევის საფუძვლად. შერჩეული საკითხები და გარემოში ცვლილებების გამოვლენილი ზემოქმედებების შედეგები გამოიყენება სტრატეგიული ალტერნატივების შესამუშავებლად. სტრატეგიულ ალტერნატივებზე დაფუძნებული კომპოზიციური სტრატეგიების აგებისას, არ შეიძლება დავეყრდნოთ უშუალოდ სცენარებს, მაგრამ სცენარები და სცენარული ტექნიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი ან არსებული სტრატეგიების შესარჩევად და შესაფასებლად. ყოველივე ეს ეხება მისიის, ხედვის საკითხების დამუშავებასაც. სტრატეგირებისათვის ფუნდამენტურია ხედვის, მიზნების, რესურსებისა და კომპეტენციების შესაბამისობა. სცენარიული ტექნიკა სასარგებლოა სტრატეგიული ხედვის ფორმულირებისათვის, რომელიც მომავალ პერსპექტივას ქმნის.

მესამე თავი - *„მისია, ხედვა“* - ეძღვნება სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარ მიზანს, სასურველი მომავლის ხედვას. მისიის ჩამოყალიბების საკითხი დიდი მნიშვნელობის მქონეა. მისია, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კონცეფციას, სტრატეგიული მენეჯმენტის მიზნების იერარქიაში უნდა გა-

ნიხილებოდეს, როგორც უმაღლესი კონცეფცია, რომელიც ახასიათებს მართვის ობიექტის მიზანს. რეგიონის სწორად განსაზღვრული მისია, მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის აქვს ფილოსოფიური კონოტაცია, მაინც აუცილებლად ატარებს რაღაც ისეთ ნიშანთვისებას, რომელიც მას თავისებურად უნიკალურს ხდის და ახასიათებს სწორედ იმ ობიექტს, რომლისთვისაც ის შეიქმნა. მას უნდა ჰქონდეს სამიზნე ორიენტაცია და ასახავდეს ობიექტის სპეციფიკურ (უნიკალურ) თავისებურებებს. მისია გარე სუბიექტებს უქმნის წარმოდგენას ტერიტორიის, მისი ფილოსოფიის, დანიშნულების შესახებ, ხელს უწყობს მისი იმიჯის ჩამოყალიბებას, ასევე დაინტერესებული მხარეების გაერთიანებას სტრატეგიული მიზნების ერთობლივად მისაღწევად. თუმცა, მისია არ უნდა შეიცავდეს კონკრეტულ მითითებებს, თუ რა, როგორ და რა ვადებში უნდა გაკეთდეს. მნიშვნელოვანია, რომ ის მაქსიმალურად იყოს ჩამოყალიბებული ნათლად, მკაფიოდ და გასაგებად. მისია არის მომავლის, სტრატეგიული ხედვის ყველაზე ზოგადი ფორმალიზებული წარმოდგენა. ამ თვალსაზრისით, მისია არის ის, თუ როგორ სურს საზოგადოებას (სტრატეგიული მართვის სუბიექტები, მაცხოვრებლები, დაინტერესებული მხარეები) იხილონ მომავალში თავიანთი რეგიონი. ამასთან, მნიშვნელოვანია ინტერესთა ჰარმონიზაციის მიღწევა, ხედვათა ერთიანობა განვითარების პრიორიტეტებსა და მიმართულებებზე. მისია რამოდენიმე ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

- მისია არ უნდა დავიდეს მიზნებამდე ან ამოცანებამდე;
- მისია უნიკალურია, თავიდან უნდა იქნას აცილებული კლიშეები;
- მისია პიროვნული, პირადი ინტერესების მიღმა უნდა იდგას;
- მისიაში უნდა იყოს გათვალისწინებული კულტურული და ეთიკური (ღირებულებითი) კომპონენტები;
- მისია უნდა იყოს რეალისტური;
- მისია უნდა იყოს მკაფიო და არაორაზროვანი.

მეოთხე თავი - *„განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნების სისტემა"* - მოიცავს ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა განვითარების პრიორიტეტებსა და მიზნებს. განვითარების მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სისტემას, რომელიც აკმაყოფილების განზომადობის, დროში ორიენტირებულობის და არანინააღმდეგობრიობის სტანდარტულ მოთხოვნებს, დიდი სარგებელი შეუძლია მოუტანოს ტერიტორიულ სუბიექტს. განასხვავებენ განვითარების ზოგად მიზნებს, ანუ მისიას და მისგან გამომდინარე კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს. ზოგადი მიზნები უნდა ახასიათებდენ მომავალში განვითარების საჭირო მდგომარეობას, იყოს მკაფიოდ და მოკლედ ჩამოყალიბებულნი, განსაზღვრონ ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ორიენტირები. ზოგადი მიზნები, თუ ისინი სათანადოდ ფორმულირებული არიან, შემდგომ ტრანსფორმირდებიან კერძო, კონკრეტულ მიზნებად, ვრცელი რაოდენობრივი მჩვენებლებითა და შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ეკონომიკური განვითარების პროცესის მონიტორინგი და კონტროლი. მიზნების განსაზღვრისას, თითოეულ მათგანთან მიმართებაში, დაცული უნდა იქნას შემდეგი კონკრეტული მოთხოვნები:

- მიღწევადობა - მიზნები არ უნდა იყოს ძალიან ადვილი მისაღწევი, მაგრამ ასევე არ იყოს არარეალური, გასცდეს შემსრულებელთა შესაძლებლობების საზღვრებს;
- მოქნილობა - მიზნები იმგვარად უნდა დაისახოს, რომ დარჩეს გარემო ცვლილებების შესაბამისად მათი კორექტირების საშუალება;
- გაზომვადობა - მიზნები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ იყოს შესაძლებელი მათი გაზომვა ან შეფასება, რათა გაირკვეს მიღწეულია თუ არა ისინი;
- კონკრეტულობა - მიზნებს უნდა გააჩნდეთ საჭირო მახასიათებლები, რათა შესაძლო იყოს იმის ცალსახა დადგენა, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციე-

ლდეს შემდგომი განვითარება;

- თავსებადობა - გრძელვადიანი მიზნები უნდა შეესაბამებოდეს მისიას, ხოლო საშუალოვადიანი და მოკლევადიანი (ოპერატიული, ტაქტიკური) – გრძელვადიან მიზნებს;
- მისაღებადობა - ისინი მისაღები უნდა იყოს აქტორთა ძირითადი ჯგუფებისთვის, რომლებიც განსაზღვრავენ განვითარების მიმართულებებს და პირველ რიგში მათთვის, ვინც უნდა იღვაწოს მათი შესრულებისათვის;
- თანამედროვეობა - ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ გლობალური განვითარების ტენდენციების გათვალისწინებას.

მეხუთე თავში - *„მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის ღონისძიებათა სისტემა“* - სუბიექტის განვითარების ყველა მიმართულებით მოცემულია კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი შესაბამისი საკონტროლო ვადების მითითებით. ღონისძიებათა სისტემა ღონისძიებათა (მოქმედებათა) გეგმის სახით რეალიზდება, რომელიც სტრატეგიული გეგმის დეკომპოზიციის შედეგად მიიღება. სამოქმედო გეგმა არის პროგრამის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოლოდინებს მათი განხორციელების ვადებთან, საჭირო რესურსებთან და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით. კარგად გააზრებული და სტრუქტურირებული გეგმა აუცილებელია სტრატეგიის წარმატებული რეალიზაციისათვის. ღონისძიების გეგმის უმარტივესი სტრუქტურა მოცავს შემდეგ მონაცემებს:

- ღონისძიების დასახელება;
- ღონისძიების მიზნები და ამოცანები;
- ღონისძიების ხანგრძლივობა და ჩატარების დრო;
- ღონისძიების საფუძველი;
- ღონისძიების შემსრულებლები;
- ღონისძიების ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები;
- მოსალოდნელი შედეგები (ინდიკატორები);
- დანართები.

ღონისძიებათა გეგმა რიგი პრინციპების დაცვის მოთხოვნებს ეფუძნება:

- კონკრეტულობა - ღონისძიების შინაარსის კონკრეტული ფორმულირება და მისი მიზნის დასახვისას მისაღწევი შედეგის ზუსტად განსაზღვრა;
- მიღებული შედეგის გაზომვადობა;
- მიღწევადობა - ღონისძიების მიზნები უნდა იყოს მიღწევადი, ვინაიდან დავალების რეალისტური შესრულება გავლენას ახდენს შემსრულებლის მოტივაციაზე;
- მნიშვნელობა - ღონისძიების და მისი მიზნის მნიშვნელობის დასადგენად აუცილებელია იმის გაგება, თუ რა წვლილს შეიტანს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა გლობალური სტრატეგიული მიზნების მიღწევაში;
- დროის შეზღუდვა - ღონისძიება უნდა იყოს შეზღუდული დროში, რაც ნიშნავს, რომ უნდა განისაზღვროს საბოლოო ვადა, რომლის გადაჭარბება მიუთითებს მიზნის მიუღწევლობაზე. მიზნის მიღწევის ვადების და საზღვრების დაყენება საშუალებას გვაძლევს გავხადოთ მართვის პროცესი კონტროლირებადი.

მეექვსე თავში - *„სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმები“* - განისაზღვრება სტრატეგიული გეგმის დამტკიცებისა და რეალიზაციის პროცედურული საკითხები. აქვე მოცემულია საშუალო და მოკლევადიანი საპროგნოზო-ანალიტიკური დოკუმენტების სისტემა. ყოველი სოციალურ-ეკონომიკური პროექტი, მიზნობრივი პროგრამა თუ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან კავშირში მყოფი მმართველობითი გადაწყვეტილება უნდა შემოწმდეს განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებთან მის შესაბამისობაზე. ამ დირექტივების მთავარი მიზანია შემდგომი გადაწყვეტილებების წარმართვა და ალტერნატივების განხორციელების ინიცირება, რომლებიც, სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, მიზნების მისაღწევად ხელსაყრელად მიიჩნევა. ფორმალური დაგეგმვის ძირითადი კომპონენტებია ტაქტიკა, პოლიტიკა, პროცედურები და წესები.

იმის გამო, რომ სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში საჭირო ხდება გრძელვადიან მიზნებთან შეთანხმებით მოკლევადიანი მიმდინარე მიზნების გამოკვეთა, ხშირად წარმოიქმნება მოკლევადიანი გეგმების ჩამოყალიბების აუცილებლობაც. ასეთ მოკლევადიან სტრატეგიებს ტაქტიკა ეწოდება, რომელსაც რიგი თავისებურებები გააჩნია:

1. სტრატეგიის შემუშავების დროს მუშავდება ტაქტიკის საკითხებიც;
2. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია შემუშავებულია უმაღლეს მმართველობით დონეზე, ტაქტიკის დამუშავება ხშირად საშუალო რგოლის მენეჯმენტის დონეზე ხდება;
3. ტაქტიკა უფრო ხანმოკლე დროზეა გათვლილი, ვიდრე სტრატეგია;
4. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის შედეგები შეიძლება ბოლომდე არ გამოვლინდეს რამდენიმე წლის განმავლობაში, ტაქტიკური შედეგები ძალიან სწრაფად ჩნდება და ადვილად უკავშირდება კონკრეტულ ქმედებებს.

გრძელვადიანი და ტაქტიკური გეგმების შედგენის შემდეგ მიზანშეწონილია დაიწყოს დამატებითი გაიდლაინების შემუშავება, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ გეგმების დეზორიენტაცია და არასწორი ინტერპრეტაცია. სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში ამ ნაბიჯს პოლიტიკის შემუშავება ეწოდება. პოლიტიკა წარმოადგენს მოქმედებების და გადაწყვეტილებათა მიღების ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც ხელს უწყობს მიზნების მიღწევას. პოლიტიკა მიმართავს მოქმედებას მიზნის მისაღწევად ან ამოცანის შესრულებისკენ. ის განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული მიზნები, ადგენს ეტაპებს. პოლიტიკა იქმნება მიზნების თანმიმდევრულობის შესანარჩუნებლად და ასევე იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მიმდინარე მომენტის მოთხოვნილებებზე დაყრდნობილი უეცარი მცდარი გადაწყვეტილებები.

მხოლოდ პოლიტიკა ხშირად არ არის საკმარისი მმართველობითი მოქმედებების წარმართვისთვის. ამ შემთხვევაში

მენეჯმენტი ამუშავებს პროცედურებს. წარსული გამოცდილების მომავალი გადაწყვეტილებებისთვის გამოყენება გვეხმარება შეცდომების თავიდან აცილებაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ არ არის იმ ანალიზის ხელახლა გამეორების საჭიროება, რომელმაც ადრე დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა; ეს ზოგავს დროს და თავიდან გვაცილებს შეცდომებს. ამრიგად, როდესაც ერთი და იმავე გადაწყვეტილების მიღების სიტუაცია ხშირად მეორდება, მიზანშეწონილია დროში გამოცდილი მეთოდების ხელახლა გამოყენება. ფორმალურად გამოხატულ ამ ინსტრუქციებს - პროცედურა ეწოდება. პროცედურა აღწერს კონკრეტულ სიტუაციაში განსახორციელებელ მოქმედებებს. პროცედურები ჩვეულებრივ აღწერს მოქმედებების თანმიმდევრობას, რომელიც უნდა განხორციელდეს კონკრეტულ სიტუაციაში. ზოგადად, პროცედურის მიხედვით მოქმედ ინდივიდს აქვს მოქმედების მცირე თავისუფლება და ალტერნატივების მცირე რაოდენობა.

როდესაც გეგმების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია დავალების ზუსტ შესრულებაზე, მენეჯმენტმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს არჩევანის თავისუფლების მთლიანად აღმოფხვრა. ამ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად, როდესაც მიზნების მისაღწევად საჭიროა დაქვემდებარების მაღალი ხარისხი, მმართველი რგოლი იყენებს წესებს. როდესაც მენეჯმენტს სურს შეზღუდოს თანამშრომლების ქმედებები, რათა უზრუნველყოს კონკრეტული ქმედებების განხორციელება კონკრეტული გზებით, ისინი ადგენენ წესებს. წესი - ზუსტად განსაზღვრავს რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულ სიტუაციაში. წესი განსხვავდება პროცედურისგან იმით, რომ ის მორგებულია კონკრეტულ და განსაზღვრულ საკითხზე.

გარდა აღნიშნული რეალიზაციის ნორმატიული მექანიზმებისა, სტრატეგიის წარმატებითი რეალიზაციის პირობაა სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების კომპლექსური, სისტემატური და სინქრონული ურთიერთქმედება სახელმწი-

ფო-კერძო პარტნიორობის პრინციპებზე ძირითადი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში კი მისი რეალიზაციის ძირითადი მექანიზმებია მიზნობრივი და სხვა პროგრამები, რომლებიც მიმართულია ყოვლისმომცველი განვითარებისაკენ. ასევე, მნიშვნელოვანი მექანიზმია სამოდელო მენეჯმენტი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესთან, შრომის ბაზართან მიმართებაში. სტრატეგიის განხორციელების ქმედითი ღონისძიებებია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის სპეციალური პირობების მქონე ზონების შექმნა, მათ შორის ტერიტორიული განვითარების ზონების, სპეციალური ეკონომიკური ზონების, აგრეთვე ტერიტორიული საწარმოო კომპლექსების, ტექნოლოგიური პარკების, ბიზნეს ინკუბატორების განვითარება.

მეშვიდე თავში - *„სტრატეგიის რეალიზაციის მართვა"* - მოცემულია ღონისძიებათა შემსრულებელი პასუხისმგებელი სუბიექტების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სტრატეგიის ეფექტური რეალიზაციის ხელშემწყობი ზომების გატარებაზე იქნება მიმართული. სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში ჩართული უნდა იყოს დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციათა (კერძო, არაკომერციული, სახელმწიფო) მაქსიმალური რაოდენობა. სტრატეგიის რეალიზაციის კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის ორგანიზება გულისხმობს სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკის ზოგადი მონიტორინგის პარალელურად, განვითარების შედეგების სტრატეგიული პრიორიტეტებისადმი შესაბამისობის თვალის დევნებას. სტრატეგიის რეალიზაციის საერთო მდგომარეობა კონტროლდება და კოორდინირდება საზოგადოების ფართო ჩართულობითა და წარმომადგენლობით შექმნილი ორგანიზაციის მიერ (საბჭო, კომისია და ა. შ.). აქვე, დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიის რეალიზაციის მთელ პერიოდზე გათვლილ მიზნობრივ, საპროგნოზო მაჩვენებლებს, რაც გაამარტივებს სტრატეგიის რეალიზაციის კონტროლს - ფაქტიური მონაცემების დასახულ მიზნობრივ მაჩვენებლებ-

თან შედარების გზით.

განვიხილოთ სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის პროცესის მართვის ძირითადი ეტაპები და მათ ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

1. სტრატეგიებისა და გეგმების განხორციელების ოპერატიულ მენეჯმენტზე მუშაობის ორგანიზება უნდა ითვალისწინებდეს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას, სამუშაოების თანმიმდევრობისა და შინაარსის განსაზღვრას. აქედან გამომდინარე, შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა შეიმუშაონ პირდაპირი მართვის ინსტრუმენტები: შესრულების შემაჯამებელი მონაცემების ცხრილები, კალენდარული გეგმები, ქსელური მოდელები და გრაფიკები, დებულებები, რომლებიც ადგენენ პასუხისმგებელ შემსრულებლებს, თანაშემსრულებლებსა და სამუშაოს შემსრულებლებს შორის ურთიერთქმედების წესს, სხვა საჭირო დოკუმენტები.
2. ხარჯებიდან გათვალისწინებული უნდა იქნას პერსონალის მოტივაციისა და წახალისების უზრუნველყოფა. მოტივაცია და წახალისება უნდა მოიცავდეს სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავების და განხორციელების ყველა ეტაპს და აქტივობას.
3. რეგულარული, სრული და ხარისხიანი აღრიცხვის წარმოება და სტრატეგიებისა და გეგმების განხორციელების კონტროლი ეფექტური სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. აღრიცხვა უნდა წარმოებდეს სტრატეგიის, გეგმის, პროგრამის, პროექტის, ბიუჯეტის, ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორებიცაა: რაოდენობა, ხარისხი, დრო, ხარჯები, შემსრულებლების მუშაობა. მიღებული სააღრიცხვო მონაცემების საფუძველზე აღსრულების კონტროლი, შესამოწმებელი პროცესების მნიშვნელობიდან და მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლია წარიმართოს სხვადასხვა ფორმისა და ტიპის მიხედვით: ეტაპობრივი კონტროლი; ობი-

ექტის კონტროლი; პროცესის კონტროლი; აღმასრულებელი კონტროლი; ერთიანი და შერჩევითი კონტროლი; უწყვეტი და პერიოდული მონიტორინგი და ა.შ.

4. სტრატეგიებისა და გეგმების განხორციელების ეფექტიანობის ანალიზი რეკომენდებულია განხორციელდეს მათი ძირითადი ეტაპების შესრულების მიხედვით. ამ შემთხვევაში ეფექტურობის შეფასება შეიძლება დაიყოს წინასწარ (პროგნოზულ), საბოლოო (განხორციელების პერიოდის ბოლოს) და შუალედურ შეფასებებად. ეფექტურობის წინასწარი ანუ პროგნოზული შეფასება ხორციელდება მისაღები სტრატეგიის საბოლოო შერჩევის, სტრატეგიული დაგეგმვის შინაარსის, დროისა და თანმიმდევრობის დადგენის, ოპერატიული მართვის ორგანიზების, შუალედურ ეტაპებზე და საბოლოო შესრულების შედეგების შეჯამების დროს კონტროლისათვის შესრულების ნორმატიული ინდიკატორების განსაზღვრის მიზნით. ეფექტურობის საბოლოო შეფასება ხორციელდება დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის დონის ანალიზის საფუძველზე, რათა ჩამოყალიბდეს საბოლოო დასკვნა და შემუშავდეს წინადადებები შემდგომი განვითარებისთვის. ეფექტურობის შუალედური შეფასება ხორციელდება დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულების დონისა და ვადების გასაკონტროლებლად, დროული კორექტივების შესატანად, განვითარების ზოგადი მიმართულებიდან შესაძლო გადახრების გამოსასწორებლად.
5. გეგმების განხორციელების მართვის პროცესების რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ აქტივობებს: დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებისა და მათი შესრულების შესახებ მიმდინარე ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას; დაინტერესებული მხარეებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას; გაანგარიშებული მოდელების და ამოცანების განახლებას; საჭიროების შემთხვევაში საგეგმო დოკუმენტაციის ხელახალი გადაანგარიშების

განხორციელებას; ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზს და შემდგომი მოქმედებების შესახებ გადაწყვეტილებების მომზადებას; მიმდინარე კალენდარული გეგმების შემუშავებას და შესაბამის ხელმძღვანელებთან და აღმასრულებლებთან შეთანხმებას; სტრატეგიებისა და გეგმების შემდგომი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებას. კორექტივების უშუალო განხორციელება როგორც წესი, გულისხმობს: კორექტივების რიგის, ვადების და ადრესატთა განსაზღვრას; კორექტირებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირების დანიშვნას; რეალურ დროში დაგეგმვის დოკუმენტებში ცვლილებების შეტანას; შეტყობინებას შეტანილი შესწორებების შესახებ.

6. საგანგებო სიტუაციებში ოპერატიული მართვის საჭიროება განპირობებულია იმით, რომ სრული, დეტალური დაგეგმვის შემთხვევაშიც კი, შეიძლება წარმოიშვას მოულოდნელი პრობლემები ან ცვლილებები, რომლებსაც ძალუძთ არასტაბილურობის, კრიზისის ან „სტრატეგიული სიურპრიზების“ გამოწვევა .

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიების, გეგმების, პროექტების განხორციელების პროცესი საკმაოდ რთული, მრავალმხრივი, მაგრამ მართვადია. სტრატეგიის, სტრატეგიული გეგმებისა და პროექტების წარმატებით განხორციელების მთავარი წინაპირობაა ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის, ეფექტური მართვის სისტემის, მაღალპროფესიონალური და კრეატიული კადრების არსებობა და მაღალი ორგანიზაციული კულტურა. ამავდროულად, რომელიმე ამ პირობის არარსებობა ან არასაკმარისი განვითარება შეიძლება იქცეს იმ ფაქტორად, რომელიც გამოიწვევს სტრატეგიული მიზნების მიღწევის წარუმატებლობას, ფუნქციონირების დესტაბილიზაციას, არჩეული სტრატეგიის სრულად განხორციელების შეუძლებლობას და, საბოლოო ჯამში, სტაგნაციას.

ამდენად, სტრატეგიული დაგეგმვა არის სტრატეგიული გეგ-

მის შემუშავების პროცესი მიზნების და მართვის კრიტერიუმების ჩამოყალიბებით, პრობლემებისა და განვითარების გარემოს ანალიზით, სტრატეგიული იდეებისა და კონკურენტული უპირატესობების შემუშავებით, სცენარებისა და განვითარების ძირითადი სტრატეგიების არჩევით, ეკონომიკური განვითარების პროგნოზით, რესურსების და საინვესტიციო მოთხოვნების გაანგარიშებით, ბიუჯეტის შედგენით, ტერიტორიული სუბიექტის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავებითა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა დაგეგმვით. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება კომპლექსური სამეცნიერო და პრაქტიკული ამოცანაა, რომელიც შეიძლება გადაწყდეს მრავალი აქტორის, მათ შორის სახელმწიფოს, ბიზნესის, მოსახლეობის, მეცნიერ-სპეციალისტთა წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივი ძალისხმევით (იხ. ნახ. 2.1).

მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის **პრინციპები** წარმოადგენს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნან ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფორმირების პროცესში. არსებულ სამეცნიერო ნაშრომებში ამ მხრივ მოცემული მასალის განზოგადებისა და კლასიფიკაციის შედეგებზე დაყრდნობით, გამოვყოფდით შემდეგ პრინციპებს:

კომპლექსურობის - მიზნებმა უნდა მოიცვას სუბიექტის სტრატეგიული განვითარების ყველა მნიშვნელოვანი სფერო: ცხოვრების ხარისხი, ეკონომიკური განვითარება, გარემოს მდგომარეობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფერო და სხვა;

სისტემურობის - სუბიექტის განვითარების სხვადასხვა იერარქიულ დონეზე (ლოკალური, ადგილობრივი, რეგიონული, რეგიონთაშორისი, საქვეყნო) ფორმირებული წინაპირობები და შეზღუდვები;

ადაპტურობის - შესაძლო გარე ცვლილებების გათვალისწი-

ნახაზი 2.1

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოდელო სტრუქტურა

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა (სამოდელო სტრუქტურა)	ტერიტორიის შიგა და გარე პირობების კომპლექსური ანალიზი
	კონკურენტული პოზიციები და სტრატეგიული გამოწვევები
	მისია, ხედვა
	განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნების სისტემა
	მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის ღონისძიებათა სისტემა
	სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმები
	სტრატეგიის რეალიზაციის მართვა

ნებით განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნების კორექტირების პროცედურების დამუშავება, რომლებიც უკუკავშირის მექანიზმებისა და მონიტორინგის სისტემების გამოყენებით ფორმულირებული იქნებიან სტრატეგიულ კონცეფციებსა და გეგმებში;

ვარიანტულობის - სტრატეგიის ვარიანტების დამუშავება, შეფასება და შეთანხმება, იმ ვარიანტთა შერჩევა, რომლებიც განვითარების შიდა და გარე ხასიათის პირობების შესაძლო ცვლილებისას საუკეთესოა;

მემკვიდრეობითობის - ტერიტორიის განვითარების, მისი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელი საპროგნოზო დოკუმენტების რეტროსპექტიული ანალიზის შედეგების გამოყენება;

ინტერესთა ბალანსის - ეკონომიკური განვითარების მიზნების ფორმირება და რეალიზაცია გრძელვადიან ასპექტში სახე-

ლმწიფო, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების და პირების ინტერესთა შეთანხმების პრინციპის დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ლეგიტიმურობის - მართვის სუბიექტის მიერ დეკლარირებული განვითარების სტრატეგიის მოსახლეობის ფართო ფენების მიერ მიღებულობა;

საჯაროობის - დოკუმენტთა პროექტების განხილვაში დაინტერესებულ პირთა და მოსახლეობის ფართო ჩართულობა, მათი ექსპერტიზისათვის დამოუკიდებელ ექსპერტთა მოწვევა;

მმართველობითობის - სპეციალური საორგანიზაციო აპარატის და ორგანიზაციულ-მმართველობითი დოკუმენტების შექმნა, ტექნოლოგიური პროცედურის დადგენა, მონაწილეთა პერსონალური პასუხისმგებლობის ზონების განსაზღვრა;

პროფესიონალიზმის - მეთოდური და საინფორმაციო ბაზის შექმნა, ადმინისტრაციული და საექსპერტო ორგანიზაციების პროფესიონალი კადრების მონაწილეობა დამუშავების პროცესში.


აღნიშნული პრინციპების გამოყენება გაზრდის როგორც ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტების ხარისხს, ასევე მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტურობის დონეს.

მეთოდოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო შემადგენელია ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის **პროცესის ლოგიკა.** (იხ. ნახ. 2.2) ის ექვს ძირითად ეტაპს მოიცავს.

პირველი ეტაპი *„სიტუაციისა და განვითარების ფაქტორების ანალიზი"* საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რა სტადიაზე იმყოფება დაგეგმვის ობიექტი, რის საფუძველზეც შესაძლებელია მისი განვითარების შემდგომი მიმართულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.ანალიზის საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სტატისტიკური სამსახურის მონაცემები, დარგობრივი მმართველობითი ორგანოების დოკუმენტები, საპროგნოზო-ანალიტი-

ნახაზი 2.2

ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ლოგიკა



კური და საპროექტო მასალები, მოსახლეობის გამოკითხვის და ექსპერტული შეფასებების მონაცემები.

„მიზნების ფორმირებისა და სტრატეგიული არჩევანის დასაბუთების" ეტაპზე ფორმირდება სუბიექტის მისია, რომლის საფუძველზეც შემდგომში განისაზღვრება სტრატეგიული არჩევანი. მიზანთა სისტემის ფორმირება ეფუძნება მღწევადობის, მოქნილობის, განზომადობის, იერარქიულობის და მიზნობრიობის პრინციპებს. ყოველი მიზნისათვის ისახება რამოდენიმე ამოცანა, რომლებიც შესაძლოა იყოს როგორც მოკლევადიანი, ასევე საშუალოვადიანიც.

სტრატეგიული არჩევანის რეალიზაცია მოითხოვს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და შინაარსის კონკრეტიზაციას, რაც შემდგომ, მესამე - *„პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დამუშავების"* ეტაპზე ხორციელდება. ამ ეტაპზე უპირველეს ამოცანებად ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და დასაბუთების, მისი რაოდენობრივი პარამეტრების გაანგარიშების და ამ პარამეტრებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენის მეთოდების დადგენა და განსაზღვრა, მათი ანალიზი და შეფასება არის.

შემდგომი ეტაპია *„რეალიზაციის მექანიზმის ფორმირება"*, რომლის არსიც განვითარების დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის ინტერესებში, ნებისმიერი საკუთრების ფორმის სამეურნეო სუბიექტზე, მმართველობითი ორგანოების მიერ მიზანმიმართულ ზემოქმედებაში მდგომარეობს. სტრატეგიის რეალიზაციის ღონისძიებათა კონკრეტიზება შემდგომი პროგრამების, პროექტების, მიმდინარე და ინდიკატიური გეგმების და სხვა გეგმარებით-ანალიტიკური დოკუმენტების დამუშავებით ხორციელდება.

„სტრატეგიული არჩევანის რეალიზაციის" ეტაპს თან ახლავს ისეთი პროცესები, როგორიცაა საჭირო რესურსების კონცენტრაცია და გადანაწილება, საორგანიზაციო სტრუქტურის ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობის განაწილება მონაწილეთა შორის, შესრულების დეტალური დოკუმენტების და-

ბუშავება, სტრატეგიული არჩევანის რეალიზაციის მიმდინარეობის მონიტორინგი.

„შედეგების შეფასება და უკუკავშირის უზრუნველყოფა“ პროცესის დასკვნითი ეტაპია. ამ ეტაპზე იქმნება მონიტორინგის სისტემა, რომლის ძირითადი ფუნქციებია: დაკვირვება, ცვლილებათა შეფასება და ანალიზი, სიტუაციის პროგნოზირება და მოსახლებისა და მმართველი ორგანოების ინფორმაციით უზრუნველყოფა. მონიტორინგის პროცესი მოიცავს ფაქტიური მონაცემების დაგეგმის მაჩვენებლებთან შედარებას, დროისა და ფინანსური რესურსების გამოყენების ანალიზს, დასახული ღონისძიებების რეალიზებაზე ზეგავლენის მქონე შიდა და გარე ფაქტორების ცვლილებების ანალიზსა და შეფასებას.

სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავება და რეალიზაცია ხდება ადრე მიღებული სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების განხორციელების შედეგების გათვალისწინებით. ამ პრინციპის შესაბამისად, ლოგიკურია სტრატეგიის შემუშავების დაწყება ადრე მიღებული სტრატეგიული დოკუმენტების განხორციელების შედეგების ანალიზით და შეფასებით. ამ ანალიზისა და შეფასების შედეგების პრეზენტაცია შეიძლება წინ უსწრებდეს სტრატეგიის ანალიტიკურ ნაწილს. შეფასების შედეგი შეიძლება იყოს უარყოფითი (წინა გამოცდილების სრული წარუმატებლობის აღიარებამდეც კი), ეს გავლენას მოახდენს როგორც სტრატეგიის შემუშავების გადაწყვეტილებაზე (ახალი დოკუმენტის შემუშავება თუ საკმარისია მიმდინარეს «განახლება»), ასევე სამომავლო სტრატეგიის სტრუქტურასა და შინაარსზე (თუ რამდენად დაეფუძნება ის წინა სტრატეგიის სტრუქტურასა და შინაარსს).

აშკარაა მმართველობის იერარქიის სხვადასხვა დონეების ორგანოთა შორის მჭიდრო ურთიერთქმედების აუცილებლობა, თუნდაც იმიტომ, რომ სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს ისეთ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა მიღწევა, ნაწილობრივ ან მთლიანად, სხვა დონის ორგანოების საქმიანობის არეალში შე-

დის. უფრო მეტიც, ეს ურთიერთქმედება უნდა იწყებოდეს არა დასრულებული დოკუმენტის საბოლოო შეთანხმების ეტაპზე, არამედ სტრატეგიის შემუშავების პროცესის დასაწყისიდანვე, როდესაც არსებობს შედეგზე ზემოქმედების რეალური შესაძლებლობები. და ამ ურთიერთქმედების ცხადი ფორმაა სხვადასხვა მმართველობითი რგოლის წარმომადგენლების ჩართვა სტრატეგიის შემუშავებაში, სხვა ორგანიზაციების, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად. პრაქტიკაში, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ყველაზე ინსტიტუციონალიზებული ფორმებია:

- სტრატეგიის შემმუშავებელ და განმახორციელებელ სტრუქტურებში საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა;
- დამოუკიდებელი სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის, კონტროლის და შეფასების უფლეებამოსილებების მინიჭება.

საგრძნობი დადებითი შედეგის მომტანია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დოკუმენტების მომზადებასა და განხორციელებაში დაინტერესებულ მხარეთა ნებაყოფლობითი ურთიერთქმედების ინსტიტუტის დანერგვა. ეს ურთიერთქმედება შეიძლება განხორციელდეს:

- წარმომადგენელთა მიერ საკოორდინაციო საბჭოს შექმნით;
- საბჭოს მიერ სტრატეგიული გეგმის კონცეფციის მომზადების უზრუნველყოფით, რომელიც დამტკიცების შემდეგ სავალდებულო ხდება ყველა მონაწილისათვის;
- დებულების შემოღება, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული გეგმის დოკუმენტები არ იქნება წარდგენილი დასამტკიცებლად პროცესის ყველა მონაწილის თანხმობის გარეშე (ამ შემთხვევაში, უარყოფითი აზრი არ ბლოკავს დოკუმენტის მიღებას, არამედ ხდება დამატებითი განხილვის მიზეზი);

- დებულების შემოღება, რომლის მიხედვითაც საბჭო მონაწილეობს სტრატეგიული გეგმის და მისგან გამომდინარე კომპლექსური პროექტების, მიზნობრივი პროგრამების და სხვა დოკუმენტების განხილვასა და მომზადებაში.

საკოორდინაციო საბჭო - სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. ის არის ორგანო, რომლის ფუნქციებში შედის სტრატეგიის შემუშავების პროცესის კოორდინაცია, პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი, ასევე გარე აგენტებთან, ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან კომუნიკაცია. მიზანშეწონილია ოფიციალური წარმომადგენლების სახით მასში შევიდნენ საჯარო მმართველობითი ორგანოების ხელმძღვანელი რგოლის მაღალი და საშუალო რანგის წარმომადგენლები, ასევე ორგანოს საქმიანობაში ჩართული იქნან გარე აქტორები - მსხვილი საწარმოების, ბიზნეს ასოციაციების და კერძო სექტორის სხვა წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსახლეობის და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები, მომიჯნავე სუბიექტების ადმინისტრაციები. თუ მენეჯმენტი დამოუკიდებლად არ შეიმუშავებს სტრატეგიას, არამედ ჩართავს ამ სამუშაოში გარე შემსრულებლებს, მაშინ ლოგიკურია მათი წარმომადგენლების ჩართვა საკოორდინაციო საბჭოში. ეს ორგანო შეიძლება შეიქმნას ექსკლუზიურად სტრატეგიის შემუშავების პერიოდისთვის და მისი დამტკიცებისთანავე შეწყვიტოს საქმიანობა, მაგრამ მიზანშეწონილია მისი შენარჩუნება სტრატეგიის განხორციელების პერიოდისთვის. ამ შემთხვევაში მისი ფუნქციები გარდაიქმნება დოკუმენტის განხორციელების პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქციებად. სტრატეგიის უშუალო შემმუშავებელი ორგანოებია - სამუშაო ჯგუფები, რომელთა რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს. როგორც წესი, გამოიყოფა ძირითადი სამუშაო ჯგუფი, რომელიც აგროვებს დანარჩენების - ე.წ. „თემატური" ჯგუფების მიერ დამუშავებულ მასალებს და ახდენს მათი საქმიანობის კოორდინაციას. თემატური სამუშაო ჯგუფები ხშირად ყალიბდებიან

დარგობრივი პრინციპით, თუმცა ასეთი მიდგომა არ არის სავალდებულო, ზოგიერთ შემთხვევაში კი ის არაოპტიმალურიცაა. სამუშაო ჯგუფებში, ისევე როგორც საკოორდინაციო საბჭოში, უნდა შედიოდნენ ძირითადი მონაწილეებისა და ჩართული სტრუქტურების წარმომადგენლები, მაგრამ ამჯერად არა ხელმძღვანელი რგოლის, არამედ დარგის სპეციალისტების დონეზე.

სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულ საჯარო და დამოუკიდებელ სამოქალაქო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება ორმხრივ ინტერესზე დაფუძნებულ შეთანხმებების სისტემას. გარდა ამისა, სტრატეგიის ამოცანების გადაწყვეტაში (სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის აქტივობების ფარგლებში) საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიძლება უშუალოდ იყვნენ ჩართულნი. ასეთი შემთხვევები საჯარო-კერძო პარტნიორობას მიეკუთვნება. საყურადღებოა, ასევე, მომიჯნავე ტერიტორიულ სუბიექტებთან ერთობლივი თანამშრომლობის ორგანიზებაც. მათთან ურთიერთქმედების საფუძველი შეიძლება იყოს ფინანსური და ორგანიზაციული ძალისხმევის გაერთიანების საჭიროება ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. ამდენად, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ფორმირება საშუალებას იძლევა ამ პროცესის მეცნიერული დასაბუთებულობის უზრუნველყოფისათვის, რაც შედეგად, მკვეთრად აამაღლებს მმართველობითი გადაწყვეტილებების ხარისხს და შესაბამისად, მმართველობით ეფექტურობასაც.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები - გლობალიზაცია, დეცენტრალიზაცია, ლიბერალიზაცია, გაზრდილი კონკურენცია, ინოვაციური მიმართულება, სოციალური საჭიროებების ცვლილებები ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის მაკროეკონომიკურ დინამიკას. სახელმწიფო პოლიტიკის ინოვაციური ორიენტაცია მოითხოვს მე-

თოდოლოგიურ მხარდაჭერას გრძელვადიანი ტერიტორიული გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებაში. მთლიანობაში ეროვნულ ეკონომიკაში ეფექტური ცვლილებების მიღწევა დამოკიდებულია ტერიტორიების სტრატეგიული მართვისთვის გამოყენებული მეთოდების სრულყოფის ხარისხზე. ამ თვალსაზრისით, რეგიონული ეკონომიკური მეცნიერების ამჟამინდელი მიზანია ტერიტორიული განვითარების სტრატეგიების, გეგმებისა და პროგრამების შემუშავება და მუდმივი ოპერატიული გადახედვა, მათი განხორციელების ალგორითმების და მექანიზმების, ახალი, უნივერსალური ინდიკატორების შექმნა, რომლებიც მიმართული იქნება წინანდელი განვითარების ტრაექტორიაზე დამოკიდებულების დაძლევაზე. ამავდროულად, არსებული ტერიტორიული სტრატეგიების ანალიზი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გვაქვს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები, რომლებიც ადეკვატურად არ პასუხობენ ტერიტორიების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებსა და პირობებს. კონკრეტული ტერიტორიების მდგრადი განვითარების დეტალური გეგმების არარსებობა სტრატეგიების განხორციელების მექანიზმის შემუშავების აუცილებლობაზე მიუთითებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განახლებული უნივერსალური ინსტრუმენტარიუმის საფუძველზე შემუშავებული სტრატეგიული გეგმების დინამიზმსა და მოქნილობას, მათ შესაძლებლობას ეფექტურად გარდაიქმნან გარე და შიდა პირობების ცვლილებების კვალდაკვალ, ხოლო გეგმის ძირითადი მაჩვენებლების მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი, მისი შემდგომი კორექტირება კი ტერიტორიული განვითარების შემუშავებული სტრატეგიის სტრუქტურაში უმნიშვნელოვანეს ეტაპად იქცევა.

მენეჯმენტის სხვადასხვა დონეზე სტრატეგიული დაგეგმვის პროცესების გააქტიურებისა და გაფართოების მიზანია სწრაფვა კარგად კოორდინირებული, ჰარმონიული ეკონომიკური სისტემის აგებისაკენ, ანუ იმ სისტემის, რომლის შემადგენელი ელემენტები დროის სხვადასხვა პერიოდებში ჰარმო-

ნიული სტრუქტურული პროპორციებით და ერთმანეთთან კოორდინირებული ურთიერთქმედებით იქნებოდენ კავშირში. დღეისათვის, გადაუდებელი აუცილებლობაა ფრაგმენტული ეკონომიკიდან, რომელიც ხასიათდება დისბალანსით თითქმის ყველა სფეროში, სტრუქტურით დაბალანსებულ, ინტერესებსა და ურთიერთქმედების ტიპებში ჰარმონიზებულ ეკონომიკაზე გადასვლა.

2.2 სტრატეგიული დაგეგმვის მაჩვენებელთა სისტემა და პარამეტრების პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება

ტერიტორიული ეკონომიკური სისტემის წარმატებული სტრატეგიული მართვის განხორციელების აუცილებელი პირობაა მართვის ობიექტის და მისი გარემოს დამახასიათებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების სტანდარტიზებული ნაკრების არსებობა. ამგვარი ინდიკატორების ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს დასახული ტენდენციები, თვალყური ვადევნოთ ცვლილებებს, შეაფასდეს შედეგების მიღწევის დონე, ზოგადი განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისა და დანერგვის დადებითი ან უარყოფითი შედეგები. ამასთან დაკავშირებით ინდიკატორების ნუსხა შედის თითოეულ გრძელვადიან პერსპექტიულ განვითარების გეგმაში, პროგრამაში, ტერიტორიის განვითარების სტრატეგიაში. მაკროეკონომიკური ინდიკატორების გარდა, სტრატეგიული მართვის დოკუმენტები მოიცავს უამრავ უფრო კონკრეტულ სამიზნე ინდიკატორს, რომლებიც ახასიათებენ საჯარო მმართველობის მუშაობის გარკვეულ ასპექტებს, ტერიტორიული სუბიექტის ეკონომიკურ სისტემაში ცვლილების დინამიკას. საკონტროლო ინფორმაციის სწრაფად მოპოვების საჭიროება და ანალიზისთვის მონაცემების ხელმისაწვდომობა - ინდიკატორების რაოდენობის ზრდისა-

გან მთავარი შემაკავებელი ფაქტორებია. არ არსებობს თითოეული დოკუმენტის საფუძველში ჩასართავი ინდიკატორების მკაფიო საორიენტაციო სია. გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მენეჯმენტის სირთულეები წარმოშობს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოთვლადი მაჩვენებლების სიმცირეს. ამ მაჩვენებლების სისტემა, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ინერციულია და არ ითვალისწინებს მენეჯმენტის ეფექტურობის შესაფასებლად აუცილებელ პერსპექტიულ პარამეტრებს. შესაბამისად, საჭირო ხდება ობიექტური სტატისტიკური დაკვირვების ინდიკატორების განახლებული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დაკავშირებული იქნება ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების, გეგმების, პროგრამებისა და კონცეფციების მიზნობრივ ინდიკატორებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზირების თეორიული ასპექტები განუვითარებელია, რაც სერიოზულად ამცირებს მისი ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტურობას. კერძოდ, ინდიკატორების სისტემებში არაა მოცემული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი განვითარების არსებითი უთანასწორობისა და ციკლურობის ამსახველი ინდიკატორები. მართლაც, ყველა განხილული დოკუმენტი მოიცავს ათ წელზე მეტი დროის ინტერვალს, მაგრამ არცერთი მათგანი არ ითვალისწინებს ტალღოვან ცვლილებას ძირითად ინდიკატორებში, ისინი დაფუძნებულია საკმაოდ მარტივ წრფივ ტენდენციებზე. ერთი ან ორი წლის პერიოდის ინდიკატორების პროგნოზირებისა და დაგეგმვისათვის, ეს სრულად მისაღებია, მაგრამ ხანგრძლივი დროის ინტერვალით პროგნოზირებისათვის აუცილებელია უფრო რთული ფუნქციების შერჩევა, რომლებიც საკვანძო ინდიკატორების საპროგნოზო დინამიკის აპროქსიმაციას მოახდენენ. ამდენად, მაჩვენებელთა პროგნოზირების ამოცანის გადასაწყვეტად დღის წესრიგში დგება უფრო რთული ფუნქციების, ალგორითმების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა.

ცენტრალური კონცეფცია - ინდიკატორი - ინტეგრალური მაჩვენებელია, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკურ მოვლენებისა და პროცესების თვისობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს და მნიშვნელოვანია ტერიტორიული განვითარების მიზნების მიღწევისა და ამაცანათა გადაჭრის თვალსაზრისით. ამ მაჩვენებლების ურთიერთდაკავშირებულმა და შინაგანად დაბალანსებულმა სისტემამ უნდა მოგვცეს ეკონომიკური განვითარების თვისებრივი აღწერა. ინდიკატორები განსაზღვრავს საზღვრებს, რომლის კონტექსტშიც უნდა განვითარდეს ტერიტორიული ეკონომიკური სისტემა. „ინდიკატორის" ცნება მჭიდრო კავშირშია „მაჩვენებლის" ცნებასთან. მაგრამ განსხვავებით მაჩვენებლისაგან, რომელიც განსაზღვრავს გარკვეული მოვლენის მხოლოდ რაოდენობრივ მნიშვნელობას, ინდიკატორი ასევე ახასიათებს მის მიმართ დამოკიდებულებას, სიგნალს იძლევა სისტემის მდგომარეობის შესახებ. ასე რომ, შეიძლება გაგვაჩნდეს განგაშის ინდიკატორები, გარემოსთან ურთიერთობის ცვლილების მახასიათებელი ინდიკატორები, ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრების ზღვრული მნიშვნელობების ინდიკატორები და სხვა. ზღვრულ საზღვრებში იქმნება „დერეფანი", რომლის ფარგლებშიც მიიღება გადაწყვეტილებები რეგულატორის შეცვლის შესახებ. რეგულატორი - არის ინდიკატორის მნიშვნელობაზე მენეჯმენტის რეაქციის მექანიზმი. მაჩვენებლისაგან განსხვავებით, რომელიც აფიქსირებს ეკონომიკური პროცესების ობიექტურ მდგომარეობას, ინდიკატორი რეგიონის განვითარების პერსპექტივების გააზრების შედეგია. ამიტომ დაგეგმვის პროცესში აუცილებელია ინდიკატორების სისტემის მიღება, რომელიც ასახავს საკონტროლო ობიექტის სასურველ მდგომარეობას.

ინდიკატორების ტრადიციული კლასიფიკაცია მათ ორ - ზოგად (შედარებად) და სპეციფიკურ (ვარიაციულ) ჯგუფებად ჰყოფს. ზოგადი ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია განვითარების სტრატეგიასთან და წარმოადგენენ ეკონომიკური

განვითარების კლასიკურ მაჩვენებლებს. ისინი სხვადასხვა ტერიტორიული სუბიექტების განვითარების შედარების საშუალებას იძლევა. სპეციფიკური ინდიკატორები ახასიათებენ კონკრეტული სუბიექტების გარკვეული სპეციფიკური ამოცანების განხორციელების შედეგებს. თითოეული ამოცანისთვის შემუშავებულია საკუთარი ინდიკატორი ან რამდენიმე ინდიკატორი. კიდევ ერთი კლასიფიკაცია განასხვავებს მათ ორ ჯგუფს: მიზნობრივ ინდიკატორებს და მართვის ინდიკატორებს. მიზნობრივი ინდიკატორები რაოდენობრივია და ახასიათებს სტრატეგიის მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების განხორციელებას. ისინი იყოფა სტრატეგიული მიზნების ამსახველ ძირითად ინდიკატორებად; კონკრეტული ამოცანების ამსახველ ძირითად ინდიკატორებად; და სამომავლოდ მიზნობრივი პროგრამებისა და აქტივობების განხორციელების მონიტორინგისთვის განკუთვნილი დამხმარე ინდიკატორებად. მიზნობრივი ინდიკატორები, როგორც წესი, ფორმირდება კონცეფციის შემუშავების პარალელურად. მართვის ინდიკატორები ახასიათებენ გეგმის მომზადებისა და განხორციელების ხარისხს, ასახავენ დაგეგმილი ამოცანების განხორციელების მარეგულირებელი და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხასიათს და მასშტაბებს. ისინი იყოფა ორ ჯგუფად: სტრატეგიული დოკუმენტის ხარისხის შეფასების ინდიკატორები, რომლებიც ითვალისწინებენ შესრულებული მოსამზადებელი სამუშაოების სისრულეს და გეგმის განხორციელების მართვის ინდიკატორები. ინდიკატორების ეს ჯგუფი უზრუნველყოფს საფუძვლიან ხარისხობრივ მონიტორინგს, ასევე გარკვეულ სფეროში განხორციელების სირთულეების იდენტიფიცირების საშუალებას. დამუშავების სიღრმის მიხედვით, ინდიკატორები იყოფა სამ ტიპად:

- პირველადი მაჩვენებლები - უშუალოდ აღებულია სტატისტიკიდან, შიდა (საუწყებო) ანგარიშგებიდან, სოციოლოგიური კვლევების შედეგებიდან. ამ ტიპის ინდიკატორები იყოფა ბუნებრივ და ღირებულებით, ობიექტურ და

სუბიექტურებად;

- კუთრი და სტრუქტურული მაჩვენებლები - მიღებულია პირველადი ინდიკატორებიდან გაანგარიშებებით;
- ინდექსური მაჩვენებლები - გამოითვლება სპეციალური ფორმულების მიხედვით, მრავალი მარტივი მაჩვენებლის ინტეგრირებით.

Balanced Score Card (BSC) - დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის კონცეფცია, რომელიც დამუშავებულია ნორტონის და კაპლანის მიერ, არის ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემა, რომელიც ინდიკატორთა ერთობლიობაზე დაყრდნობით მისი ეფექტურობის გაზომვასა და შეფასებაზეა დაფუძნებული. თავდაპირველად სისტემა გამოიყენებოდა ბიზნესში, როგორც ტრადიციული ფინანსური აღრიცხვიანობის ალტერნატივა, მაგრამ მალევე იპოვა გამოყენება საჯარო სფეროში. ფუნქციონალური სტანდარტების მიხედვით, BSC მოიცავს ექვს სავალდებულო ელემენტს: სტრატეგიული მიზნები, რომლებიც განსაზღვრავენ განვითარების მიმართულებას; მიზნების მიღწევის პროგრესის ამსახველი ინდიკატორები (შესრულების ძირითადი ინდიკატორები); სამიზნე მნიშვნელობები - იმ დონის რაოდენობრივი გამოხატულება, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის მაჩვენებელი; სტრატეგიული ინიციატივები - პროექტები ან პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ სტრატეგიული მიზნების მიღწევას; მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და პერსპექტივები, რომელთა დახმარებით ხდება სტრატეგიის დეკომპოზიცია მისი განხორციელების მიზნით.

რეგიონების განვითარების მიზნების შესაბამისად ყალიბდება სტრატეგიული მაჩვენებლებისა და ინდიკატორების სისტემა, რომელიც სტრატეგიის განხორციელების ეფექტიანობის შეფასებას და სტრატეგიული ხარვეზების გამოვლენას ხდის შესაძლებელს. სუბიექტებს შორის დიდი განსხვავებების გათვალისწინებით, შეუძლებელია ინდიკატორთა ერთიანი სისტემის შემუშავება. თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს რამოდენიმე

ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომა მონიტორინგისა და ინდიკატორთა სისტემის შერჩევის მიმართ. კვლევამ აჩვენა, რომ არცერთი მათგანი არ არის უნივერსალური. ამიტომ, კონკრეტული სუბიექტის მიზნობრივი ინდიკატორების სისტემის ფორმირებისას აუცილებელია მისი სტრატეგიის ფაქტორების ერთობლიობის გათვალისწინება (მმართველობის სისტემა; მიზნები და სპეციფიკა, ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები და სხვა), რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული დოკუმენტების მაღალ ეფექტურობას. მიუხედავათ მოსაზრებათა მრავალფეროვნებისა, მიდგომათა ერთიანობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნიაია რეგიონულ დონეზე, საორიენტაციოდ, შემდეგი ინდიკატორების პროგნოზის გაკეთება:

- მოსახლეობის რაოდენობა და სხვა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები;
- მთლიანი შიდა პროდუქტის (დამატებული ღირებულების) მოცულობა და დინამიკა;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით;
- დასაქმების, უმუშევრობის, ხელფასების დინამიკა;
- ფასების ცვლილება სამომხმარებლო ბაზარზე;
- ბიზნეს სუბიექტების მოგება (კონსოლიდირებული ფინანსური შედეგი);
- ეკონომიკის დარგების მიხედვით ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა(დაქირავებულთა) რაოდენობა, შრომითი დანახარჯები, დამატებული ღირებულება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში);
- სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის და სოციალური სფეროს ძირითადი მაჩვენებლები;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი;
- ნაერთი ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები.

სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის მონიტორინგის საკვა-

ნძო ელემენტია შესრულების ინდიკატორი (ეფექტურობის მაჩვენებელი) - ცვლადი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ ცვლილება განვითარებაში ან ვაჩვენოთ შედეგები დაგეგმილთან მიმართებაში. Kusek, Rist (2004) გამოარჩევენ შემდეგი ტიპის შესრულების ინდიკატორებს: შემავალი რესურსების მაჩვენებლები (input measures), პროცესის მაჩვენებლები (process measures), უშუალო შედეგების მაჩვენებლები (output measures), საბოლოო ეფექტების მაჩვენებლები (outcome measures) და გავლენის მაჩვენებლები (impact measures). შემავალი რესურსების მაჩვენებლები ახასიათებენ საქმიანობის განხორციელების ხარჯებს და/ან შემსრულებელთა პროფესიული და პიროვნული უნარებისადმი წაყენებულ მოთხოვნათა ერთობლიობას. პროცესის მაჩვენებლები ახასიათებენ გარკვეული საქმიანობის შესრულების ვადებსა და სტანდარტებს. უშუალო შედეგების მაჩვენებლები ახასიათებენ შესრულებული სამუშაოს მოცულობას. საბოლოო ეფექტის მაჩვენებლები ითვალისწინებენ დასხული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხარისხს და/ან მომსახურების მომხმარებელთა სამიზნე ჯგუფის მდგომარეობის ცვლილებას. გავლენის მაჩვენებლები განსაზღვრავენ მმართველობითი სუბიექტის სამართავ ქვესისტემაზე ზეგავლენის ეფექტს. შესრულების ინდიკატორები უნდა აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ შემდეგ მოთხოვნებს:

- 4C პრინციპი: სიცხადე (clearness), სისრულე(completeness), კომპლექსურობა (complexity), თანმიმდევრულობა(consistency);
- SMART პრინციპი: კონკრეტულობა (specificity), გაზომვადიობა (measurability), მიღწევადობა (achievability), შესაბამისობა (relevance), დროითი განსაზღვრულობა (time-certainty);
- CREAM პრინციპი: ობიექტურობა (clear), შესაბამისობა

(relevance), ეკონომიურობა (economy), ადეკვატურობა (adequate), მონიტორინგის შესაძლებლობა (monitorable).

პროგნოზირება მნიშვნელოვანი კავშირია თეორიასა და პრაქტიკას შორის საზოგადოების ყველა სფეროში. მას აქვს კონკრეტიზაციის ორი განსხვავებული სიბრტყე: პროგნოზული (დესკრიპტული, აღწერითი) და მასთან დაკავშირებული მეორე, რომელიც მიეკუთვნება მმართველობის კატეგორიას - წინასწარ-ინდიკატიური (პრესკრიპტული, წინასწარ აღწერითი). პროგნოზი გულისხმობს შესაძლო ან სასურველი პერსპექტივების, მდგომარეობების აღწერას. ამრიგად, პროგნოზირების პრობლემაში გამოიყოფა ორი ასპექტი: თეორიულ-შემეცნებითი და მმართველობითი, რომელიც მიღებული ცოდნის საფუძველზე მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასთანაა დაკავშირებულია.

რეგიონების ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების პროგნოზირების პრობლემა ლიტერატურაში ვრცლადაა განხილული. კერძოდ, განხილულია პრობლემის ისეთი ასპექტები, როგორიცაა რეგიონების ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების სისტემურ-დინამიური მოდელების შემუშავება, ინდიკატორების ციკლური და კრიზისული დინამიკის პროგნოზირება, რეგიონული განვითარების კონვერგენციის პროგნოზირება. ავტორების მიერ განვითარების სტრატეგიის ფორმირების სისტემებში შემოთავაზებული მიდგომების უპირობო უპირატესობების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემის ისეთი ასპექტები, როგორებიცაა რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის პროგნოზირება, ეკონომიკური ზრდის ტემპების დეკომპოზიცია, რეგიონული განვითარების ტრაექტორიის განსაზღვრისათვის რეგიონის ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების ნორმატიული და საძიებო პროგნოზების დამუშავება, შემდგომ განვითარებას საჭიროებენ.

განვითარების პროგნოზირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა **ეკონომიკური პროგნოზირება** - მეცნიერული

ეკონომიკური დისციპლინა, რომლის ობიექტია კონკრეტული გაფართოებული აღწარმოების პროცესი, ხოლო საგანი - მომავალში ეკონომიკური ობიექტების ფუნქციონირების შესაძლო მდგომარეობების შემეცნება, ეკონომიკური პროგნოზების შემუშავების კანონზომიერებებისა და მეთოდების კვლევა.

ამჟამად, მეცნიერთა შეფასებით, არსებობს 150-ზე მეტი სხვადასხვა პროგნოზირების მეთოდი. თუმცა, პრაქტიკაში, ძირითადად გამოიყენება 15-20. არსებულ წყაროებში წარმოდგენილია პროგნოზირების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციის პრინციპები.

პროგნოზირების მეთოდების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკლასიფიკაციო ნიშანია ფორმალიზების ხარისხი. კლასიფიკაციის სხვა კრიტერიუმებად შეგვიძლია განვიხილოთ პროგნოზირების მეთოდების მოქმედების ზოგადი პრინციპი, საპროგნოზო ინფორმაციის მოპოვების გზები და სხვა. ფორმალიზების ხარისხის მიხედვით, ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდები შეიძლება დაიყოს ინტუიციურ და ფორმალიზებულებად. (ნახ. 2.3) **ინტუიციური პროგნოზირების მეთოდები** გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია მრავალი ფაქტორის გავლენის გათვალისწინება პროგნოზირების ობიექტის მნიშვნელოვანი სირთულის გამო. ამ შემთხვევაში, *ექსპერტების შეფასებები* გამოიყენება. ამავდროულად გამოიყოფა ინდივიდუალური და კოლექტიური საექსპერტო შეფასებები. ინდივიდუალური საექსპერტო შეფასებების შემადგენლობა მოიცავს: „ინტერვიუს" მეთოდს, რომლის დროსაც უშუალო კონტაქტი ექსპერტსა და სპეციალისტს შორის ხორციელდება „კითხვა-პასუხის" სქემის მიხედვით; *ანალიტიკური მეთოდი,* რომლის დროსაც ხდება პროგნოზირებადი სიტუაციის ლოგიკური ანალიზი, დგება ანალიტიკური ანგარიშები; სცენარული მეთოდი, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა პირობებში პროცესის ან ფენომენის ლოგიკის დროში განსაზღვრას. კოლექტიური საექსპერტო შეფასების მეთოდები მოიცავს „კომისიების", „იდეების კოლექტიური გენერირების"

მეთოდებს („ბრენსტორმინგი"), „დელფის" მეთოდს, მატრიცულ მეთოდს. **ფორმალიზებული (დეტერმინისტული) მეთოდების** ჯგუფი მოიცავს ორ ქვეჯგუფს: *ექსტრაპოლაციის* და *მოდელირების* ქვეჯგუფებს. პირველი ქვეჯგუფი მოიცავს უმცირესი კვადრატების, ექსპონენციალური დაგლუვების, მცოცავი საშუალოების, ადაპტიური დაგლუვების, ავტორეგრესული გარდაქმნის, ჰარმონიული წონების მეთოდებს; მეორე კი - სტრუქტურული, ქსელური, მატრიცული და იმიტაციური მოდელირების მეთოდებს. პროგნოზირების საექსპერტო მეთოდების კლასი მოიცავს ევრისტიკული პროგნოზირების მეთოდს. ეს ანალიტიკური მეთოდია, რომლის არსი რომელიმე ევრისტიკის გამოყენებით საექსპერტო შეფასების „ძიების ხის" აგება და შემდგომი შეკვეცაა. ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდების კლასიფიკაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ **კომბინირებულ მეთოდებს,** რომლებიც სხვადასხვა მეთოდებს აერთიანებს. მაგალითად, კოლექტიური საექსპერტო შეფასებების და მოდელირების მეთოდებს ან სტატისტიკურ და ექსპერტთა გამოკითხვის მეთოდებს.

სხვადასხვა პროცესებისა და მოვლენების აღწერის გავრცელებული მეთოდიკა არის **მოდელირება.** პირველად პროგნოზირების მიზნით ოპერაციული მოდელების აგება ეკონომიკაში განხორციელდა. მოდელი აიგება კვლევის სუბიექტის მიერ იმგვარად, რომ ოპერაციები ასახავდეს ობიექტის კვლევის მიზნებისათვის აუცილებელ მახასიათებლებს (ურთიერთობები, სტრუქტურული და ფუნქციური პარამეტრები და ა.შ.). ობიექტის წინასწარ შესწავლაზე დაფუძნებული მოდელის შემუშავება და მისი არსებითი მახასიათებლების გამოკვეთა, მოდელის ექსპერიმენტული და თეორიული ანალიზი, შედეგების შედარება ობიექტის მონაცემებთან, მოდელის კორექტირება - მოდელირების მეთოდის შინაარსს შეადგენენ. სამეცნიერო ლიტერატურაში შესაძლოა მოძიებულ იქნას რეგიონის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მაჩვენებლების პროგნოზირებისას მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენე-

ბას თაობაზე წარმოებული საკმაო რაოდენობის კვლევა. მოდელების აღწერისთვის მათემატიკური აპარატის გამოყენება (მათ შორის, ალგორითმების და მათი მოქმედებების) დაკავშირებულია მრავალსაფეხურიანი ინფორმაციის დამუშავების პროცესებისადმი მათემატიკური მიდგომის უპირატესობებთან, პრობლემების ფორმირების იდენტური საშუალებების გამოყენებასთან, მათი გადაჭრის მეთოდების ძიებასთან, ამ მეთოდების დაფიქსირებასთან და გამოთვლითი ტექნიკის მიერ გამოსაყენებელ პროგრამებად მათ ტრანსფორმაციასთან.

მათემატიკური მეთოდების გამოყენება აუცილებელი პირობაა პროგნოზირების მოდელების შემუშავებისა და გამოყენებისათვის, რაც პროგნოზების დასაბუთებულობის, ეფექტურობისა და დროულობის მაღალ მოთხოვნებს უზრუნველყოფს. ამდენად, ეკონომიკური განვითარების, პროცესების კანონზომიერებების შესწავლის საშუალებაა **ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი.** ეს არის ფორმალიზებული ურთიერთობების სისტემა, რომელიც ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ელემენტების ძირითად ურთიერთკავშირებს აღწერს. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი გაგებული უნდა იქნას, როგორც საწყისი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესის და კონკრეტული შემთხვევების საკმაოდ ფართო კლასში განხილული ამოცანის გადაჭრის წესების ამომწურავ აღწერამდე დაყვანის მეთოდი.


დროის ფაქტორის გათვალისწინებით, მოდელები შეიძლება იყოს **სტატიკური** ანუ, როდესაც მოდელში შეზღუდვები დაგეგმვის პერიოდის ერთი კონკრეტული დროის ინტერვალისთვისაა, ან **დინამიური,** ამ შემთხვევაში, შეზღუდვები დაწესებულია რამოდენიმე დროითი ინტერვალისთვის.

ჩვეულებრივ განასხვავებენ შემდეგი ეკონომეტრიკული მოდელების სახეობებს: ფაქტორულს, სტრუქტურულს და კომბინირებულს. ერთი და იმავე ტიპის მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ეკონომიკურ ობიექტზე. ეკონომიკის განვითარების ინდიკატორების აგრეგაციის დონის მიხედვით

გამოყოფენ მაკროეკონომიკურ, დარგთაშორის, რეგიონალურ მიკროეკონომიკურ მოდელებს. ეკონომიკური განვითარების ასპექტების მიხედვით გამოიყოფა ძირითადი საშუალებების აღწარმოების, შრომითი რესურსების, საფინანსო და ფასების სისტემების მოდელები და სხვა.

ნახაზი 2.3

პროგნოზირების მეთოდების კლასიფიკაცია



ფაქტორული მოდელები აღწერს კონკრეტული ეკონომიკური ინდიკატორის დონისა და დინამიკის დამოკიდებულებას მასზე ზეგავლენის მქონე ეკონომიკური მაჩვენებლების-არ-

გუმენტების დონესა და დინამიკაზე. ფაქტორული მოდელები შეიძლება შეიცავდეს ცვლადების და მათი შესაბამისი პარამეტრების სხვადასხვა რაოდენობას. ფაქტორული მოდელების უმარტივესი ტიპია - ერთფაქტორიანი მოდელები, რომლებშიც ფაქტორი დროის პარამეტრი არის. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ინდიკატორის ანალიზი და პროგნოზი ქრონოლოგიური დროითი რიგის მიხედვით ტარდება, რითაც ვლინდება ტენდენციები (დამოკიდებულებები, რომლებიც ახასიათებს ნებისმიერ დინამიურ მწკრივში ცვლილების ზოგად ტენდენციას). წრფივი, არაწრფივი ტიპის მრავალფაქტორული მოდელები საშუალებას გვაძლევს ერთდროულად გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორის გავლენა პროგნოზირებადი ინდიკატორის დონესა და დინამიკაზე.

სტრუქტურული მოდელები აღწერს ურთიერთობებს, კავშირებს ცალკეულ ელემენტებს შორის, რომლებიც ქმნიან მთლიანობას. ეს მოდელები სტრუქტურულ-ბალანსური ტიპის მოდელებია, რომლებშიც აგრეგატის შემადგენელ ელემენტებად დაყოფასთან ერთად, ამ ელემენტების ურთიერთმიმართებაც განიხილება. ასეთ მოდელებს აქვთ მატრიცული ფორმა და გამოიყენებიან დარგთაშორისი და რაიონთშორისი კავშირების ანალიზისა და პროგნოზირებისთვის. ასევე, ისინი ნაკადების ურთიერთკავშირის აღსაწერად გამოიყენება. სტრუქტურულ-ბალანსური მოდელების ყველაზე გავრცელებული ფორმაა პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსი.

ეკონომიკური განვითარების და სტრატეგიის რეალიზაციის ეფექტურობის ამსახველი მაჩვენებლების ანალიზისა და პროგნოზირების გარდა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ტერიტორიათა შორის ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის დონის გამოკვლევას ენიჭება. საერთაშორისო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ უთანაბრობის ზრდა კორელირებს რეგიონების მწარმოებლური პოტენციალისა და საინვესტიციო აქტივობის ვარდნასთან, ეკონომი-

კური ურთიერთობების შესუსტებასთან, საზოგადოებაში სოციალური არასტაბილობის ზრდასთან.

ამ პირობებში აქტუალობას იძენს რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაში სივრცითი კონტრასტებისა და დისპროპორციების დაძლევის მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპებისა და მიდგომების, ეფექტური მექანიზმების მოძიება. უთანაბრობის კვლევისა და შემდგომ მასზე ზემოქმედების ინსტრუმენტების შემუშავება-გამოყენებისათვის აუცილებელია მისი შეფასების მეთოდოლოგიის დამუშავება.

რეგიონული დისპროპორციების შეფასების არსებული მეთოდები როგორც მიდგომების, ასევე შეფასების მეთოდებისა და შედეგების ინტერპრეტაციის მხრივ, მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. თუმცა, მათი აბსოლუტური უმეტესობა ლოკალური ამოცანების გადაჭრაზეა ორიენტირებული და გარკვეული პარამეტრების მიხედვით სხვაობათა გამოვლენას ემსახურება.

იკვეთება ორი მიდგომა: მაჩვენებელთა ანალიზი, შედარება და რეიტინგული (ქულების ან ინტერვალების მიხედვით) შეფასებები. მაჩვენებელთა ანალიზი საკვლევი პარამეტრის აღწერითი სტატისტიკის (საშუალო, მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, სტანდარტული გადახრა, ფარდობითი გადახრა საშუალო მნიშვნელობიდან, დისპერსია და სხვა) ან სხვადასხვა ინდექსების ან კოეფიციენტების (ჯინის კოეფიციენტი, ასიმეტრიის კოეფიციენტი, ტეილის ინდექსი და სხვა) ანალიზს ეფუძნება.

2.3 ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის და ეკონომიკური სისტემის მდგრადობის შეფასებისა და მოდელირების მეთოდოლოგია

რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში არსებული უთანაბრობის კვლევის ამოცანა მხოლოდ ცალკეული მაჩვენებლების ანალიზით ვერ გადაიჭრება, რადგან ცალკეული პარამეტრებით შეფასებული ვიწრო მხარეები და ასპექტები ვერ ასახავს მონაცემთა მთლიან ერთობლიობას, უთანაბრობის სრულ, რეალურ, ყოველმხრივ, მოცულობით სურათს. მათთვის ნაკლოვან მხარეს მიეკუთვნება ისიც, რომ ცალკეული მაჩვენებლები ვერ ახდენენ ერთიანი აგრეგირებული პარამეტრის წარმოდგენას, სხვადასხვაგვარი მაჩვენებლებისათვის ერთიანი მეტრიკის შემოტანას, რაც ართულებს უთანაბრობის როგორც დინამიური პროცესის შესწავლას, მისი განვითარების სტადიის დადგენას, შედარებითი სხვაობების დაფიქსირებას.

ამდენად, უთანაბრობის აღმწერი აგრეგირებული მაჩვენებლის შემოღება აუცილებელია ამ პროცესზე ზემოქმედების მქონე ფაქტორების და მათი ცვლილებების ტენდენციების დასადგენად, მათი განვითარების დინამიკის კომპლექსური შესწავლისათვის.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული იქნა ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის კვლევისათვის აგრეგირებული მაჩვენებლის გაანგარიშების ახალი მეთოდიკის ალგორითმი. ნოვაციური მიდგომა დამუშავებულ იქნა ქუთაისის უნივერსიტეტის შიდა სამეცნიერო საგრანტო პროექტის „საქართველოს ეკონომიკური განვითარებს COVID-19-ის პირობებში. მაკროეკონომიკური და რეგიონული ასპექტები“ ფარგლებში და შემდგომ აპრობაცია გაიარა საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში პუბლიკაციის სახით.

წარმოდგენილი ალგორითმი მოიცავს ხუთი თანმიმდევრული ეტაპის რეალიზაციას.

პირველ ეტაპზე ხდება მაჩვენებელთა შერჩევა, რომელთა აგრეგირებასაც მოვახდენთ ერთიან მაჩვენებელში. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

- შერჩეული მაჩვენებლები სრულად და ადექვატურად უნდა ასახავდნენ რეგიონის ეკონომიკის სხვადასხვა მხარეებს, შეესაბამებოდნენ წარმოებული კვლევის მიზანსა და ამოცანებს, ჰქონდეთ კომპლექსური ხასიათი, ანუ ასახავდნენ რეგიონის ეკონომიკის განვითარების როგორც ტენდენციებს, ასევე თავისებურებებსაც;
- მაჩვენებელთა ხელმისაწვდომობა, ანუ მათ ოფიციალური ხასიათი უნდა გააჩნდეთ, მათი მოპოვება შესაძლებელი იყოს სტატისტიკის, სამინისტროების, რეგიონული და ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოების ოფიციალური წყაროებიდან.

დასამუშავებლად გამოვყოფთ ორი ტიპის მონაცემს: *აბსოლუტურ და ფარდობით* მაჩვენებლებს. კვლევის მოწყვლადობისათვის აუცილებელია რეგიონის ზომის, მასში მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინება (შესაძლებელია, ანალოგიური კვლევა ტერიტორიის ფართობის მიხედვითაც განხორციელდეს). ამდენად, აბსოლუტურ მაჩვენებელთა პარალელურად, ცალკე ხაზად მოვამზადებთ და გავიანგარიშებთ რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე ფარდობით მაჩვენებლებსაც. ყოველივე შესაძლებლობას მოგვცემს ანალიზი ვაწარმოოთ რეგიონის როგორც აბსოლუტურ პარამეტრებში, ასევე შედარებითი სპეციფიკის გათვალისწინებითაც.

მეორე ეტაპზე ხდება მონაცემთა მასშტაბირება (feature scaling). მთავარ კომპონენტთა მეთოდი მგრძნობიარეა მონაცემთა საზომი ერთეულების მიმართ, მით უფრო როდესაც საქმე გვაქვს სხვადასხვა განზომილების მქონე ცვლადებთან. სტანდარტიზაციის შემთხვევაში მონაცემთა თითოეულ მნიშვნელობას აკლდება შერჩევის საშუალო და შეფარდდება სტანდარტულ გადახრასთან, ანუ მონაცემები გარდაიქმნება სტანდარტული ნორმალური განაწილების მქონე ფორმაში. შედეგად მივიღებთ

მონაცემებს, რომელთა საშუალო ნულის, ხოლო სტანდარტული გადახრა - ერთის ტოლია:

$$x_{std}^{(i)} = \frac{x^{(i)} - \mu_x}{\sigma_x}$$

პრაქტიკაში, მასშტაბირების ალგორითმები პროგრამულ ენაზე დამუშავებულია და მოცემულია მანქანური სწავლების სპეციალიზებულ Python ბიბლიოთეკაში scikit-learn, sklearn.preprocessing მეთოდების MinMaxScaler(), StandardScaler(), RobustScaler() და სხვათა სახით.

მესამე ეტაპზე ვახდენთ მთავარ კომპონენტთა მეთოდის იმპლემენტაციას. მთავარ კომპონენტთა მეთოდი (ანალიზი) - (Principal Component Analysis – PCA, კარჰუნენ-ლოევის გარდაქმნა, ჰოტელინგის გარდაქმნა) - სასარგებლო ინფორმაციის უმცირესი რაოდენობის დანაკარგით მონაცემთა მახასიათებლების სივრცის განზომილების შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია.

მათემატიკური თვალსაზრისით, მთავარ კომპონენტთა მეთოდი ორთოგონალური წრფივი ტრანსფორმაციაა, რომელიც მონაცემებს ორიგინალური მახასიათებლების სივრციდან ახალ, უფრო მცირე განზომილებიან სივრცეში ასახავს. ახალი საკოორდინატო სისტემის პირველი ღერძი აიგება იმგვარად, რომ მონაცემთა დისპერსია მის გასწვრივ მაქსიმალური იყოს. მეორე ღერძი იგება პირველის ორთოგონალურად ისე, რომ მონაცემების დისპერსია მის გასწვრივ იყოს დარჩენილი შესაძლოებიდან მაქსიმალური და ა.შ.

პირველ ღერძს უწოდებენ პირველ მთავარ კომპონენტს, მეორეს - მეორე მთავარ კომპონენტს და ა.შ. ამრიგად, მეთოდის მნიშვნელობა ისაა, რომ საწყისი მონაცემების ნაკადის მთლიანი დისპერსიის გარკვეული ნაწილი ასოცირდება თითოეულ ძირითად კომპონენტთან (მას დატვირთვა ეწოდება). თავის მხრივ, დისპერსია, რომელიც მონაცემთა ცვალებადობის სა-

ზომია, ასახავს მათი ინფორმაციულობის დონეს. მახასიათებლების საწყისი სივრცის ზოგიერთი ღერძის გასწვრივ ცვალებადობა შესაძლოა დიდი იყოს, ზოგთან - მცირე, ხოლო ზოგთან კიდევ - ის შეიძლება საერთოდ არ იყოს. ნავარაუდევია, რომ რაც უფრო მცირეა მონაცემთა დისპერსია ღერძის გასწვრივ, მით ნაკლებად მნიშვნელოვანია ამ ღერძთან დაკავშირებული ცვლადის წვლილი და, შესაბამისად, ამ ღერძის ამორიცხვით სივრციდან (ცვლადის - მოდელიდან), შესაძლებელია ინფორმაციულობის დაკარგვის გარეშე მონაცემების განზომილების შემცირება. შესაბამისად, მთავარ კომპონენტთა მეთოდის ამოცანაა მახასიათებლების ახალი შემცირებული განზომილების სივრცის აგება, რომლის ღერძებს შორის დისპერსია გადანაწილდება ისე, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს თითოეული მათგანი.

განვიხილოთ მეთოდის უფრო მკაცრი მათემატიკური აღწერა. დავუშვათ, მოცემულია n რიცხვითი მახასიათებელი $f_j(x)$, $j = \overline{1,n}$; ობიექტებს გავაიგივებთ მათ მახასიათებლების მეშვეობით აღწერებთან $x_i \equiv (f_1(x_i), \cdots, f_n(x_i))$, $i = \overline{1,l}$

განვიხილოთ მატრიცა F:

$$F_{l\times n} = \begin{pmatrix} f_1(x_1) & \cdots & f_n(x_1) \\ \vdots & & \vdots \\ f_1(x_l) & \cdots & f_n(x_l) \end{pmatrix} = \begin{pmatrix} x_1 \\ \vdots \\ x_l \end{pmatrix}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა $z_i = (g_1(x_i), \cdots, g_m(x_i))$, $i = \overline{1,l}$ იმავე ობიექტების ახალ, უფრო ნაკლები განზომილების მქონე სივრცეში აღწერა. სადაც, $Z = \mathbb{R}^m$, $m < n$

$$G_{l\times n} = \begin{pmatrix} g_1(x_1) & \cdots & g_m(x_1) \\ \vdots & & \vdots \\ g_1(x_l) & \cdots & g_m(x_l) \end{pmatrix} = \begin{pmatrix} z_1 \\ \vdots \\ z_l \end{pmatrix}$$

აქვე მოვითხოვოთ, რომ საწყისი აღწერების აღდგენა შესაძლებელი იყოს ახალი აღწერების მიხედვით, რაიმე წრფივი გარდაქმნის მეშვეობით, რომელიც განისაზღვრება მატრიცით $U = (u_{js})_{n\times m}$:

$$\hat{f}_j(x) = \sum_{s=1}^{m} g_s(x)u_{js} \qquad j = \overline{1,n} \quad x \in X$$

ამოცანა აღდგენილ აღწერათა ჯამური შეცდომების მინიმიზების პირობებში, ახალ აღწერათა მატრიცისა (G) და იმავდროულად წრფივი გარდაქმნის მატრიცის (U) პოვნაში მდგომარეობს:

$$\Delta^2(G,U) = \sum_{i=1}^{l} \|\hat{x}_i - x_i\|^2 = \sum_{i=1}^{l} \|z_i U^T - x_i\|^2 = \|GU^T - F\|^2$$
$$\to min_{G,U}$$

ჩავთვალოთ, რომ მატრიცები არანულოვანია, $rank\, G = rank\, U = m$ და ნორმები ევკლიდურია.

ფორმულირებული ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენება თეორემა: თუ $m \le rank\, F$, მაშინ მინიმუმი $\Delta^2(G,U)$ მიიღწევა, როდესაც U მატრიცის საკუთრივი ვექტორები (eigenvectors) F^TF მისივე სვეტებია, რომლებიც შეესაბამებიან m მაქსიმალურ საკუთრივ მნიშვნელობებს (eigenvalues). აქვე, $G = FU$, მატრიცები U, G ორთოგონალურები არიან. საკუთრივი ვექტორები, რომლებიც შეესაბამება მაქსიმალურ საკუთრივ მნიშვნელობებს მთავარ კომპონენტებს წარმოადგენენ.

ჩვენს შემთხვევაში, მონაცემთა მატრიცის სინგულარული დეკომპოზიციის გზით მთავარ კომპონენტთა გაანგარიშების ალგორითმი პროგრამულ ენაზე დამუშავებულია და მოცემულია მანქანური სწავლების სპეციალიზებულ Python ბიბლიოთეკაში scikit-learn, sklearn.decomposition.PCA კლასის სახით, რომელიც იქნება გამოყენებული კვლევისას გაანგარიშებების

საწარმოებლად.

მეოთხე ეტაპზე მოვახდენთ მიღებულ, ახალ საკოორდინატო სისტემაში განზომილება-შემცირებულ, აგრეგირებულ მაჩვენებელთა ანალიზს. ანალიზისათვის გამოვიყენებთ თითოეული ტიპის მაჩვენებლებისათვის (აბსოლუტური, ფარდობითი) პირველ მთავარ კომპონენტს, რომელიც ინფორმაციის მცირე დანაკარგებით, მისაღები სიზუსტით, ასახავს რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის ერთიან, აგრეგირებულ მაჩვენებლს. ამდენად, თუ მოვახდენთ გეომეტრიულ ინტერპრეტაციას, ორგანზომილებიანი სივრცისათვის (სიბრტყისათვის), სადაც აბსცისთა ღერძზე აბსოლუტური მაჩვენებლების პირველი მთავარი კომპონენტები აითვლება, ხოლო ორდინატთა ღერძზე - ფარდობითი მაჩვენებლების პირველი მთავარი კომპონეტები, თითოეული რეგიონი წარმოგვიდგება ორი კოორდინატის მქონე წერტილის სახით. შემდგომი ანალიზისათვის საჭირო ხდება სიბრტყეზე მეტრიკის შემოღება, რაც საშუალებას მოგვცემს ავთვალოთ დაშორებები და მიღებული მნიშვნელობები ანალიზის ინსტრუმენტად გამოვიყენოთ.

არსებულ დისტანციათა მეტრიკიდან (ევკლიდის, მინკოვსკის, მანჰეტენის, ჰემინგის და სხვა) ყურადღებას შევაჩერებთ ევკლიდურ მანძილზე, რომელსაც გავიანგარიშებთ შემდეგი სახის ზოგადი ფორმულით:

$$dist_{euclidean} = \sqrt{\sum_{i=1}^{n} (X_i - Y_i)^2}$$

ამდენად, აღნიშნული ინსტრუმენტებით შესაძლებლობა გვეძლევა განვახორციელოთ მონაცემთა ანალიზი:

- დამატებით, კლასტერიზაციის ალგორითმების გამოყენებით მარტივია რეგიონთა დაჯგუფება ეკონომიკური განვითარების

დონის მიხედვით (საერთო, აბსოლუტური, ფარდობითი მაჩვენებლების მიხედვით);

- შეგვიძლია გავიანგარიშოთ როგორც ერთიანი, ასევე კლასტერული ე.წ. „საშუალო სტანდარტი", რომელიც მნიშვნელობათა ცენტროიდის კოორდინატებით იქნება მოცემული. წერტილთა სასრული სიმრავლის ცენტროიდი, მასსა და ამ წერტილებს შორის ევკლიდური მანძილების კვადრატების ჯამის მინიმიზებას ახდენს, შესაბამისად $\mathbb{R}^n$-ის k წერტილისათვის:

$$C = \frac{x_1 + x_2 + \cdots + x_k}{k}$$

- ევკლიდური მანძილების გაანგარიშება წყვილ-წყვილად ყველა წერტილისათვის, რაც რეგიონთა ერთმანეთის მიმართ არსებულ უთანაბრობებზე მოგვცემს სურათს;
- ცენტროიდიდან დაშორებების (აბსოლუტური და ფარდობითი) გაანგარიშება, რაც საშუალებას მოგვცემს გადავანაწილოთ რეგიონები უთანაბრობათა სტადიების მიხედვით. გამოვიყენებთ განვითარების უთანაბრობათა სტადიების არსებულ კლასიფიკაციას: დიფერენციაცია - ეკონომიკურ განვითარებაში უმნიშვნელო გადახრების დროს, ასიმეტრია - თუ გადახრები არსებითია და პოლარიზაცია - როდესაც გადახრები კრიტიკულ ხასიათს იძენს. ფარდობითი დაშორების მიხედვით, რომელსაც შემდეგი ფორმულით გავიანგარიშებთ:

-

$$\delta = \frac{C - x_i}{C}$$

მოვახდენთ შემდეგ კლასიფიკაციას: დიფერენციაცია - 0,33-მდე; ასიმეტრია - 0,33 ÷ 0,67 ინტერვალში და პოლარიზაცია - 0,67-ზე მეტი.

- განვსაზღვრავთ თითოეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების გავლენის დონეს საერთო ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის ფორმირებაში:

$$I_i = \frac{\frac{1}{n}\left(\frac{x_i - C}{C}\right)^2}{\sigma^2}$$

$$\sigma^2 = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}\left(\frac{x_i - C}{C}\right)^2$$

- გავაანალიზებთ აღნიშნულ მაჩვენებლებს დინამიკაში, დავაკვირდებით თუ როგორ იცვლება უთანაბრობის დონე დროის განმავლობაში, რეგიონთა ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა დროში კონვერგირებს თუ დივერგირებს.

მეხუთე, დასკვნით ეტაპზე, ვახდენთ მონაცემთა ვიზუალიზაციასა და ინტერპრეტირებას. ვამზადებთ დასკვნებს საკვლევი პრობლემის თაობაზე.

ზემოთ აღწერილი ნოვაციური მეთოდიკა პრაქტიკული აპრობაციის მიზნებისათვის გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ საქართველოს რეგიონთა ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის ანალიზისათვის.


კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით, მთავარ კომპონენტთა მეთოდის დახმარებით წარმოებული ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის ანალიზი საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა არა მხოლოდ რეგიონთა შორის არსებული უთანაბრობის, არამედ ზოგადად, რეგიონების ეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და დინამიკის შესახებ. ამ მეთოდის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა მონაცემების (მათ შორის მონაცემთა სხვადასხვა ტიპისა და განზომილების) აგრეგირება ერთიან მახასიათებელში.

მახასიათებელთა სივრცის განზომილების შემცირება ამარტივებს ანალიზს, შესაძლებელს ხდის მათ ვიზუალიზაციას და ეფექტურს ხდის მთლიანად კვლევის პროცესს. აგრეგირებისას ინფორმაციის დანაკარგი უმნიშვნელოა. მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტური მაჩვენებლებისათვის ახსნილი ვარიაციის კოეფიციენტი 97,1%, ხოლო ფარდობითი მაჩვენებლებისათვის კი - 83,6%-ს შეადგენდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებია.

რთული გამოთვლითი პროცედურების მიუხედავად, არსებული პროგრამულ-ინსტრუმენტული საშუალებები საგრძნობლად ამარტივებს გაანგარიშებათა წარმოებასა და ვიზუალური მასალის მომზადებას. აღნიშნული მეთოდოლოგიით წარმოებული საქართველოს რეგიონთა ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა არსებული დიდი დისპროპორციები რეგიონთა ეკონომიკურ განვითარებაში.

ნახაზი 2.4

აგრეგირებული მონაცემების შედარება რეგიონებისათვის (თბილისის გარდა), 2010 და 2019 წლები



კვლევამ გვიჩვენა, რომ 2010 და 2019 წლებს შორის პერიოდში სახეზეა ზოგადი დისპერსიის შენარჩუნების პირობებში

რეგიონულ სუბიექტთა შიდა სეპარაცია ჯგუფებად. (ნახ. 2.4) კლასტერიზაციის ალგორითმების გამოყენების გარეშეც (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია K-means ალგორითმის გამოყენება), ვიზუალურად შეგვიძლია სუბიექტთა სამი კლასტერის (ჯგუფის) იდენტიფიცირება. მონაცემთა ანალიზით ვასკვნით, რომ უთანაბრობის დონე ზოგადად არ გაუარესებულა, თუმცა ის არც შემცირებულა ამ პერიოდში. ზოგადი ეკონომიკური ზრდის პირობებში სუბიექტების საკუთარი ზრდის მაჩვენებლები დიფერენცირებული იყო, რამაც მათი ერთგვარი გადაჯგუფება გამოიწვია. შედარებით მაღალი ზრდის მახასიათებლების მქონე სუბიექტები (აჭარა) განცალკევდა, დაწინაურდა და უფრო დაშორდა მანამდე არსებულ პოზიციას. საშუალო პოზიციებზე განთავსდა ძირითადად სუბიექტები (მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი), რომლებიც, უფრო მეტად არიან დაახლოებული ცენტროიდის პოზიციასთან, მეტწილად განაპირობებენ კიდეც მის ამგვარ მდებარეობას.

კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ კვლევის პროცესში გამოკვეთილი უთანაბრობის სტადიების მიხედვით რეგიონთა კლასიფიცირება საშუალებას მოგვცემს:

- დასაბუთებულად შევარჩიოთ და განვახორციელოთ განვითარების მიზნობრივი პროგრამები;
- მოვახდინოთ რეგიონული განვითარების ოპტიმალური რეგულირება;
- გამოვყოთ ზრდის პოლუსები;
- განვსაზღვროთ დეპრესიული რეგიონები და შესაბამისად დავგეგმოთ მმართველობითი ღონისძიებები დისპროპორციების დასაძლევად და მყარი, სტაბილური, თანაბარი ზრდის უზრუნველსაყოფად.

კვლევებმა გამოკვეთა მნიშვნელოვანი დისპროპორციები რეგიონთა ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით. (ნახ. 2.5) ასიმეტრიით ხასიათდებიან იმერეთის, მცხეთა-მთიანე-

თის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონები. პოლარიზებულია თბილისის, აჭარის, გურიის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის და შიდა ქართლის რეგიონების ეკონომიკა. აღნიშნული განშლადობა სერიოზულ უთანაბრობაზე მიუთითებს და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების აუცილებლობაზე მეტყველებს.

ნახაზი 2.5

რეგიონების უთანაბრობის ხარისხის დინამიკა 2010-2019 წლებში



აღნიშნული მეთოდიკა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას გარდა რეგიონებისა, სხვა ტერიტორიული ერთეულების, სხვადასხვა კრიტერიუმებით გამიჯნული ქვედანაყოფების და კომპლექსების ანალიზისათვისაც. ასევე, შესაძლებელია ხედვის კუთხე სხვადასხვა ჭრილში იქნას წარმოჩენილი (მაგალითად, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებში და ა. შ.). თუმცა მხოლოდ ამ მეთოდოლოგიით არ ამოიწურება უთანაბრობის სრული კვლევის ამოცანა. დარგობრივ, სახეობრივ ჭრილში ანალიზისათვის საჭიროა თითოეული მახასიათებლის ჭრილში

იქნას ჩატარებული კელევა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

მთავარ კომპონენტთა მეთოდი რეგიონულ მახასიათებელთა სინთეზის მეშვეობით იძლევა ზოგადი, აგრეგირებული მაჩვენებლების ანალიზის საშუალებას, რეგიონს წარმოაჩენს როგორც ერთიან, მთლიან ეკონომიკურ სუბიექტს, ის გვეხმარება საერთო სურათის, ტენდენციების და დინამიკის აღქმაში. ამდენად, სასურველია მეთოდმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს რეგიონულ ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების არსენალში, ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის, სტრატეგიული დაგეგმვის, რეგიონული ეკონომიკური ანალიზისა და დიაგნოსტიკის, განვითარების სცენარების დამუშავების საქმეში.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, არასტრუქტურირებულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღებისას სუბიექტი ავითარებს პრობლემური არეალის მოდელს, რომლის საფუძველზეც ცდილობს ახსნას რეალობაში მიმდინარე პროცესები. გადაწყვეტილების მხარდაჭერის კოგნიტიური მიდგომა ორიენტირებულია სუბიექტის ინტელექტუალური პროცესების გააქტიურებაზე და ეხმარება მას პრობლემური სიტუაციის ფორმალური მოდელის სახით ხედვის დაფიქსირებაში. კოგნიტური სტრუქტურირება იწყება კონკრეტული მიზნით შესასწავლი სისტემის ობიექტების განსაზღვრით (როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად, ვერბალურად) და მათ შორის კავშირების დადგენით. ეს ქმედებები ტარდება ექსპერტების დახმარებით, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებით და დამუშავებით, მონაცემების შესწავლის საფუძველზე, ისინი ეფუძნება შესაბამის საგნობრივ სფეროში არსებულ თეორიულ ცოდნას. კოგნიტური სტრუქტურირების შედეგად ყალიბდება ცოდნის ფორმალური აღწერა, რომელიც შეიძლება ვიზუალურად იყოს გამოსახული კოგნიტიური მოდელით (დიაგრამის, გრაფიკის, მატრიცის, ცხრილის ან ტექსტის სახით). დიდ სისტემაში კოგნიტიური მოდელის შემუშავება არის ყველაზე

კრეატიული და სუსტად ფორმალიზებული ეტაპი მკვლევარის (ექსპერტთა ჯგუფის) საქმიანობაში. ნაწილობრივი ფორმალიზაცია შესაძლებელია ციფრული მონაცემების სტატისტიკური ინფორმაციის სახით დამუშავებისას მონაცემთა მოპოვების ინსტრუმენტების გამოყენებით (Data mining). კვლევის პირველ ეტაპზე რთული სისტემის იდენტიფიცირების პროცესის შედეგად მიიღება კოგნიტიური რუკა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს „საწყისად". დარჩება თუ არა ის უცვლელი კოგნიტური მოდელირების ყველა ეტაპის შემდეგ - ექსპერტზეა დამოკიდებული.

კოგნიტიური მოდელირების ტექნოლოგია იყენებს სხვადასხვა ტიპის კოგნიტიურ მოდელებს. ყველაზე ხშირად გამოიყენება: კოგნიტიური რუკა (არაფორმალური შემეცნებითი რუკა, კვლევა იწყება მისი შემუშავებით). ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას: შეწონილი ორიენტირებული გრაფი, უმარტივესი ფუნქციონალური გრაფი, პარამეტრული ვექტორული ფუნქციონალური გრაფი, მოდიფიცირებული გრაფი.

კოგნიტიური რუკა (თავდაპირველი გაგებით - სისტემაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დიაგრამა) არის რთული სისტემის ობიექტებს შორის ურთიერთობების სტრუქტურული დიაგრამა; აიგება სტრუქტურისა და ქცევის გასაანალიზებლად. კოგნიტიური მოდელის დონეზე, კოგნიტიური რუკის ფაქტორებს შორის ყოველი კავშირი ისახება შესაბამის განტოლებაში, რომელიც შეიძლება შეიცავდეს როგორც რაოდენობრივ (გაზომვადი) ცვლადებს, ასევე თვისებრივ (არაგაზომად) ცვლადებს. სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ცოდნის დაგროვებით, შესაძლებელი ხდება უფრო დეტალურად გამოვლინდეს წვეროებს - ფაქტორებს შორის არსებული კავშირების ბუნება. (მაგალითად, მონაცემთა მოპოვების პროცედურების გამოყენებით, თუ არსებობს სტატისტიკური მონაცემების ცხრილები - Data mining).

რთული სისტემები ხასიათდებიან იერარქიულობით. ასეთი სტრუქტურის ასახვისთვის შეიძლება გამოვიყენოთ იერარქი-

ული კოგნიტიური რუკები – კოგნიტური მოდელების შედარებით ახალი ტიპი. იერარქიული კოგნიტიური რუქები კოგნიტიური რუკის ზედა დონის განზოგადებული ობიექტების (წეროების) მათ შემადგენელ ობიექტებად გახსნას წარმოადგენს. რთული სისტემების ურთიერთქმედების სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, კოგნიტური მოდელები შეიძლება გამოყენებულ იქნას **დინამიური კოგნიტიური რუკების** სახით, რომლებშიც მოდელის პარამეტრები დროზეა დამოკიდებული და ითვალისწინებს გარემოს დროით ცვლილებებს.

კოგნიტიური რუქის მოდელებზე დაფუძნებული სიტუაციების ანალიზის დროს ორი ტიპის ამოცანის გადაჭრა ხდება: სტატიკურის და დინამიურის. **სტატიკური ანალიზი** არსებული სიტუაციის ანალიზია, ფაქტორების ერთმანეთზე ზეგავლენის კვლევა, სიტუაციის მდგრადობის შესწავლა და მდგრადი სტრუქტურების მისაღებად სტრუქტურული ცვლილებების ძიება. **დინამიური ანალიზი** - სიტუაციის დროში განვითარების შესაძლო სცენარების გენერირება და ანალიზია. ანალიზის მათემატიკური აპარატია გრაფების თეორია.

იმპულსური მოდელირება - კოგნიტიურ რუკებზე შეშფოთების გავრცელების სიმულაციაა, რომელიც გამოიწვევა კოგნიტიური რუკის წეროზე შემაშფოთებელი იმპულსების შეტანით. მოდელირების ობიექტი შეიძლება განხილულ იქნას როგორც რეალურ დროში მიმდინარე დინამიური პროცესების ერთობლიობა. **სცენარული ანალიზი** საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სისტემის ქცევაზე, მეცნიერულად განვსაზღვროთ მისი შესაძლო განვითარების გზები. ანალიზი ტარდება იმპულსური მოდელირების შედეგების საფუძველზე. სისტემის განვითარების შესაძლო სცენარების გენერირებისთვის, ჰიპოთეტური შემაშფოთებელი ან მმართველობითი ზემოქმედება შეიტანება კოგნიტური რუკის წეროებში. სხვადასხვა შემაშფოთებელი ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილი განვითარების სცენარები, ფაქტობრივად, სისტემის განვითარების შესაძლო

გზების პროგნოზია. სცენარი ახასიათებს შემაშფოთებელი და მმართველობითი ფაქტორების ჰიპოთეტური ცვლილებებისა და მათი კომბინირების მოდელირებულ მომავალში განვითარების სხვადასხვა შესაძლო ტენდენციებს. ამრიგად, სიტუაციების განვითარების იმპულსური მოდელირება საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ სისტემის განვითარების შესაძლო სცენარები - პესიმისტურიდან ოპტიმისტურამდე.

რთული სიტუაციების კოგნიტური ანალიზის მეთოდიკა შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- კვლევის ამოცანისა და მიზნის ფორმულირება;
- სიტუაციის სისტემური კონცეპტუალური შესწავლა;
- საგნობრივი სფეროს შესახებ ცოდნის სტრუქტურირება;
- გამოსაკვლევი სიტუაციის კოგნიტიური მოდელის აგება;
- კოგნიტური მოდელის სტრუქტურული ანალიზი;
- კოგნიტურ მიდგომაზე დაფუძნებული მოდელირება;
- სიმულაციის შედეგების საგნობრივი ინტერპრეტაცია.

კოგნიტიური ანალიზისა და მოდელირების ტექნოლოგია საშუალებას იძლევა რთულ და განუსაზღვრელ სიტუაციებში სწრაფად, კომპლექსურად და სისტემურად დაახასიათოს და დაასაბუთოს არსებული ვითარება და ხარისხობრივ დონეზე შემოგვთავაზოს ამ სიტუაციაში გარემო ფაქტორების გათვალისწინებით პრობლემის გადაჭრის გზები. კოგნიტიური მოდელირების სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა გაიზარდოს მკვლევარის შემოქმედებითი შესაძლებლობები, მოეწყოს კოლექტიური შემოქმედებითი საქმიანობა და უზრუნველყოფილ იქნას რთული სისტემების პროექტირების პირობებში წინმსწრები ინოვაციური მონაცემთა ბაზების შექმნა.

განვიხილოთ მდგრადობის «კომბინირებული» კონცეფცია, რომელიც ლიაპუნოვის კლასიკურ იდეებს და კომბინატორულ-ტოპოლოგიურ მიდგომას აერთიანებს. ამ კონცეფციის მიხედვით პრობლემა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: სისტემის მდგომარეობებს შორის ორმაგი ბმების მიუხედავად

დარჩება თუ არა მოცემული სისტემის წონასწორული მდგომარეობა ლიაპუნოვის მიხედვით მდგრადი? ბმული მდგრადობის შესწავლა პრაქტიკულ ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით ისეთი ორგანიზაციული სისტემების შესწავლისას, როგორიცაა ეკონომიკური სისტემა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ სისტემებში პროცესების აღწერისას, კავშირის არსებობა ან არარსებობა შეიძლება ყოველთვის არ იყოს აშკარა თავად სისტემის მუშაობის დარღვევის, შეშფოთებების არსებობის, ან მათემატიკური მოდელის სუბიექტურობის გამო.

სისტემის ადაპტურობა მდგრადობის კიდევ ერთი ასპექტია. ადაპტურობა შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც სისტემის მიერ გარდამავალ ან სტაბილურ მდგომარეობაში, მის ქცევაზე მკვეთრად გამოხატული გავლენის გარეშე ზემოქმედებების შთანთქმის უნარის გარკვეული საზომი. ეს კონცეფცია ახლოს არის სტრუქტურული მდგრადობის კონცეფციასთან, მაგრამ მასზე უფრო ფართოა. მდგრადობის შესახებ თანამედროვე შეხედულებების ცენტრალური ელემენტია **სტრუქტურული მდგრადობის** კონცეფცია. სტრუქტურული მდგრადობის შესწავლის მთავარი ამოცანაა სისტემის ტრაექტორიის თვისებრივი ცვლილებების იდენტიფიცირება, თავად სისტემის სტრუქტურის ცვლილების პირობებში.

ეკონომიკური მდგრადობის არსი განისაზღვრება ისეთი ურთიერთდაკავშირებული მახასიათებლებით, როგორიცაა მართვადობა და ადაპტურობა. ეს უკანასკნელი დამატებით იყოფა ეკონომიკურ საიმედოობად (რისკ-მდგრადობა) და კუმულაციურ შედეგიანობად. ამავდროულად, ეს მახასიათებლები და თავად ეკონომიკური მდგრადობა ყალიბდება მთელი რიგი ფაქტორების, პირველ რიგში, მოქნილობისა და მანევრირებულობის, გარკვეული ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და ეფექტური მართვის პრინციპების გამოყენებით. შემოთავაზებული მიდგომის გამოყენება შესაძლებელია როგორც ეკონომიკური სისტემების განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავების ეტაპზე, ასევე მათი განხორციელების ეტაპზე შე-

საძლო დარღვევების გამოვლენისა და მიზნების და მათი მიღწევის გზების კორექტირების პროცესში.

ეკონომიკური სისტემის მდგრადობის კვლევისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნა მარკოვის პროცესების მათემატიკური აპარატი (Markov Models). მდგრადობის ანალიზი ეფუძნება ეკონომიკურ სისტემაზე გარე ზემოქმედების გავლენის გამო გადახრისას მოსალოდნელი ტრაექტორიების განხილვას. თუ სისტემას საკუთარი ძალებით არ შეუძლია დაუახლოვდეს საწყის ტრაექტორიას - ის არამდგრადია. ამგვარი ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება და განხორციელდება მმართველობითი ხასიათის ღონისძიებები სისტემის მდგრადობის გასაზრდელად.

მდგრადობის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ნიშნები:

1. იმყოფება თუ არა სისტემა გაანგარიშების ყოველ ბიჯზე ეფექტურ მდგომარეობაში;
2. სისტემის მიერ საპროგნოზო პერიოდში შედეგის ნაზარდი ჯამის მნიშვნელობა უნდა ექცეოდეს მიზნის არეალის ფარგლებში.

მიღებული დაშვებებით, სისტემა შესაძლებელია აღიწეროს მდგომარეობათა თელადი რაოდენობით. ეკონომიკურ სტოქასტიკურ გამოთვლებში გამოყენებულია შემთხვევითი პროცესი დისკრეტული დროითა და მდგომარეობებით. სისტემის მარკოვის მოდელის სახით წარმოსადგენად განსაზღვრია სისტემის ყველა მდგომარეობა, რომელშიც ის შესაძლოა იმყოფებოდეს, მათ შორის საწყისი მდგომარეობაც და დასადგენია ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის მექანიზმები. სისტემა შესაძლოა იმყოფებოდეს შესაძლო მდგომარეობათა სასრული სივრცის (U) ერთ-ერთ არათავსებად მდგომარეობაში. ყველა შესაძლო მდგომარეობიდან გამოვყოთ სისტემის მდგომარეობათა ფაზური სივრცე (G) - ისეთ მდგომარეობათა სიმრავლე, რომლებიც განსხვავდებიან მიღებული შედეგის, მაკროპარამეტრების, მაკროთვისებების მიხედვით. ამ სივრცის განზომილება და თვისებები დამოკიდებულია

შესარჩევი გაანგარიშების სქემაზე. ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა - სისტემის ფუნქციონირების მოცემულ ეტაპზე მისი მახასიათებელი თვისებაა, ამ სისტემის მახასიათებელი მონაცემების ერთობლიობაა. ამ მონაცემებს მდგომარეობის პარამეტრებს ვუწოდებთ. მოდელირების მიზნებისათვის, მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობის მახასიათებელ პარამეტრებად შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებლები წარმოგვიდგება.

განვიხილოთ S სისტემა, დისკრეტული მდგომარეობებით S_1 S_2 ... S_m და დისკრეტული დროით t_1 t_2 ... t_n. პროცესის არგუმენტად განვიხილავთ დროის ბიჯს 1, 2, ..., n ($n \in \mathbb{N}$). მდგომარეობათა თანმიმდევრობა S_i, $t_i \geq t_1$ განვიხილოთ როგორც შემთხვევითი პროცესის ტრაექტორია, ხოლო პარამეტრების დროში ცვლილება კი - G მდგომარეობათა სიმრავლეში სისტემის „შემთხვევითი ხეტიალის“ პროცესი.

ფორმალური განმარტებით, დისკრეტულ შემთხვევით სიდიდეთა თანმიმდევრობას $\{X_n\}_{n\geq 0}$ ეწოდება მარტივი მარკოვის ჯაჭვი დისკრეტული დროით, თუ:

$$P(X_{n+1} = i_{n+1} \mid X_n = i_n,\ X_{n-1} = i_{n-1}, \ldots,\ X_0 = i_0) =$$

$$= P(X_{n+1} = i_{n+1} \mid X_n = i_n)$$

სისტემის დროში ევოლუციის შემთხვევითი პროცესის ასაღწერად გამოვიყენოთ მდგომარეობათა ალბათობები $P_i(k)$ - ალბათობა იმისა, რომ k ბიჯზე სისტემა იმყოფება S_i მდგომარეობაში. მარკოვის ჯაჭვი განისაზღვრება სისტემის საწყის მდგომარეობათა ალბათობების ვექტორით:

$$P_{\{0\}}(0) = \{P_1(0), P_2(0), \ldots, P_m(0)\}$$

და გადასავლების ალბათობების მატრიცით:

$$\tau(k) = \begin{bmatrix} p_{11}(k) & p_{12}(k) & \dots & p_{1m}(k) \\ p_{21}(k) & p_{22}(k) & \dots & p_{2m}(k) \\ \vdots & \vdots & & \vdots \\ p_{m1}(k) & p_{m1}(k) & \dots & p_{mm}(k) \end{bmatrix}$$

მატრიცის თითოეული სტრიქონი S_i სისტემის შერჩეული მდგომარეობის მახასიათებელია, ხოლო მისი ელემენტი p_{ij} სისტემის შერჩეული S_i მდგომარეობიდან S_j მდგომარეობაში ერთ ბიჯზე გადასვლის ალბათობის ტოლია. მატრიცის მთავარ დიაგონალზე სისტემის იმავე მდგომარეობაში დაყოვნების ალბათობებია მოცემული. გადასვლების მატრიცა სტოქასტიკურია, ანუ:

$$\sum_j \tau_{ij}(k) = 1 \qquad \forall k \in \mathbb{N}$$

სისტემის მდგომარეობათა ალბათობები k ბიჯზე გაიანგარიშება კოლმოგოროვ-ჩეპმენის რეკურენტული ტოლობით:

$$P_{(m)}(k) = P_{(m)}(k-1)\tau(k)$$

ეკონომიკური სისტემების მოდელირების სირთულე დაკავშირებულია შესაძლო მდგომარეობებისა და მათ შორის კავშირების დიდ რაოდენობასთან. მოდელის გასამარტივებლად გავითვალისწინებთ მხოლოდ მეზობელ, მომიჯნავე მდგომარეობებს შორის გადასვლებს.

ამდენად, მარკოვის ჯაჭვების სქემით მოდელის ასაგებად საჭიროა:

- ეკონომიკური სისტემის გამოსაკვლევი თვისების (მახასიათებლის) შეერჩევა;
- სისტემის შესაძლო მდგომარეობათა რიცხვის განსაზღვრა;

- სისტემის მდგომარეობათა რიცხვის შემცირების შესაძლებლობის განხილვა;
- მდგომარეობათა გრაფის აგება; საწყის ალბათობათა ვექტორის განსაზღვრა;
- მოვლენების განსაზღვრა;
- გადასვლების ალბათობების მატრიცის განსაზღვრა;
- სისტემის მდგომარეობათა დასადგენი ალბათობების გამოთვლა.

მოდელის ანალიზის შედეგად ეკონომიკური სისტემის ევოლუციის პროცესისათვის დადგინდება: სისტემის მდგომარეობათა ალბათობების განაწილება, ყოველ შემდგომ ბიჯზე სისტემის ალბათობათა ცვლილება. მარკოვის ჯაჭვებზე დაფუძნებული მოდელები ქმნიან სისტემის მოძრაობის ტრაექტორიის დასაბუთებული განსაზღვრის, მათი მდგრადობის ანალიზისა და სტრატეგიის შერჩევისათვის საჭირო ბაზას.

ეკონომიკური სისტემის მდგრადობისათვის საჭიროა ორი პირობის შესრულება:

$$P_{Sm}(k) < P_k^* \quad k \in \mathbb{N}$$

$$M[AV] \in W$$

სადაც, $P_{Sm}(k)$ - სისტემის k ბიჯზე არაეფექტურ მდგომარეობაში ყოფნის ალბათობა, P_k^* - სისტემის არაეფექტურ მდგომარეობაში ყოფნის დაშვებული ალბათობა, W - საპროგნოზო პერიოდში სისტემის ჯამური შედეგის დასაშვებ მნიშვნელობათა არე/მიზნის არეალი

პირველი პირობა, რომელიც კოლმოგოროვ-ჩეპმენის ტოლობით გაიანგარიშება, სისტემის ლოკალურ მდგრადობას

მოწმობს. მეორე პირობის შესრულება, კი მიზნობრივი მაჩვენებლების მიმართ სისტემის მდგრადობას ამტკიცებს.

დისკონტირებული დამატებითი ღირებულება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$M[AV] = \sum_{i=1}^{n} \frac{M[CF(i)]}{(1+z_l)^i}$$

z_l-დისკონტის რისკისგარეშე ნორმა i-ურ ბიჯზე; $n = t_n / t_l$ - საპროგნოზო პერიოდში განსახილველი ბიჯების რაოდენობა, t_n და t_l - საპროგნოზო პერიოდის დრო და გაანგარიშების ბიჯის ხანგრძლივობა, $M[CF(i)]$ - i-ურ ბიჯზე დამატებული ღირებულების საშუალო მნიშვნელობა, რომელიც გამოითვლება:

$$M[CF(i)] = CF_1(i) + CF_2(i) + \cdots + CF_m(i)$$

სადაც $CF_{(m)}(i)$ - i-ურ ბიჯზე დამატებული ღირებულების მნიშვნელობათა ვექტორია და

$$CF_{(m)}(i) = \{CF_1(i), CF_2(i), \dots, CF_m(i)\} =$$
$$= P_{(m)}(i-1) \begin{bmatrix} p_{11}d_{11} & p_{12}d_{12} & \cdots & p_{1m}d_{1m} \\ p_{21}d_{21} & p_{22}d_{22} & \cdots & p_{2m}d_{2m} \\ \vdots & \vdots & & \vdots \\ p_{m1}d_{m1} & p_{m2}d_{m2} & \cdots & p_{mm}d_{mm} \end{bmatrix}$$

p_{ij} - სისტემის შერჩეული S_i მდგომარეობიდან S_j მდგომარეობაში ერთ ბიჯზე გადასვლის ალბათობებია, ხოლო d_{ij} - ამავე პირობებში სისტემის მიერ გენერირებული დამატებული ღირებულების საპროგნოზო მნიშვნელობები.

მოცემული მეთოდოლოგია აღწერილი და აპრობირებული იქნა ჩვენს მიერ „საქართველოს ეკონომიკური განვითარება

COVID-19-ის პირობებში" კვლევის ფარგლებში, სადაც გაანალიზებულია პანდემიის პირობებში საქართველოს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების სტრატეგიები და მისი მდგრადობის მაჩვენებლები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მარკოვის ჯაჭვების მათემატიკური აპარატის გამოყენება ეკონომიკურ სისტემაზე გარე ზემოქმედების გავლენის გამო გადახრებისას მისი მოსალოდნელი ტრაექტორიების ანალიზისათვის კარგ შედეგებს იძლევა.

ამდენად, ეკონომიკური პროგნოზირება, რომელიც წარმოადგენს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ხასიათის სამეცნიერო კვლევის სისტემას, მიზნად ისახავს ეკონომიკის, მრეწველობის, სანარმოების განვითარების ტენდენციებისა და სქემების დადგენას და ამ განვითარების მიზნების მისაღწევად ოპტიმალური გზების ძიებას. ეკონომიკური პროგნოზირება ხელს უწყობს ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების კონცეფციის შემუშავებას, წყვეტს შეზღუდული ბუნებრივი, დემოგრაფიული, მატერიალური და ფინანსური რესურსების პირობებში ეკონომიკური ზრდის პრობლემებს.

2.4 სტრატეგიული დაგეგმვისა და ეკონომიკური პროგნოზირების ამოცანებისათვის ხელოვნური ინტელექტის, ხელოვნური ნეირონული ქსელების და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები

მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერებაა მეცნიერული ცოდნის სირთულის და აბსტრაქტულობის ზრდა, მეცნიერების მათემატიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესების გაღრმავება და გაფართო-

ება, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო საზოგადოებაში ურთიერთქმედების ფორმების სრულყოფას. მათემატიკის როლი შემეცნების განვითარებაში დიდი ხანია ცნობილია. ჯერ კიდევ კანტის მიერ იქნა გამახვილებული ყურადღება მეცნიერებებში, ამა თუ იმ საგანს მიკუთვნებული საკითხების კვლევის პროცესში, მათემატიკის, მათემატიკური მეთოდების გამოყენების აუცილებლობაზე. „ბუნებითი მეცნიერების მეტაფიზიკურ პრინციპებში" კანტი აღნიშნავდა, რომ „ყოველი ბუნებითი მეცნიერება იმდენადაა მეცნიერება, რამდენადაცაა მასში გამოყენებული მათემატიკა". ამ მოსაზრებას ის შემდგომში ამყარებს და ზოგადად სხვა მეცნიერებებზეც ავრცობს „წმინდა გონების კრიტიკაში", სადაც აღნიშნავს, რომ რაოდენობითი მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება გაიზომოს, უნდა იქნას მათემატიზირებული. კანტის ვარაუდით რაოდენობითი კანონზომიერებების დადგენა და შესწავლა სწავლების ნამდვილ მეცნიერებად ცნობის კრიტერიუმია. მაშინ როდესაც მეცნიერებები, რომლებიც მხოლოდ თვისობრივი კატეგორიებით ოპერირებენ „რბილ", პოტენციურ მეცნიერებებს წარმოადგენენ. აღნიშნული მიდგომები თანამედროვე მეცნიერულ პარადიგმაშიც იქნა გაზიარებული. შემეცნების ისტორია და მისი თანამედროვე დონე ემსახურება მათემატიკის „გასაოცარი ეფექტურობის" დამაჯერებელ დადასტურებას, რომელიც სამყაროს შემეცნების ეფექტურ ინსტრუმენტად იქცა. ის იყო და რჩება მრავალფეროვანი, მათ შორის ყველაზე რთული - სოციალური, სულიერი ფენომენების შესასწავლ შესანიშნავ მეთოდად. სწორედ ბოლო დროს წამოწყებულმა და დღესაც აქტიურად მიმდინარე ეკონომიკის მათემატიზაციამ, განაპირობა მრავალგვარი მათემატიკური მეთოდების ფართო ინტერვენცია ეკონომიკური იდეების ანალიზის ველზე.

ეკონომიკური მოდელები, მძლავრი მათემატიკური აპარატის გამოყენების წყალობით, სულ უფრო და უფრო ზუსტად ასრულებენ ეკონომიკურ ცვლადთა კლასიფიკაციის, სტრუქტურირების, მათ შორის ურთიერთკავშირებისა და კანონზო-

მიერებების გამოვლენის, მოვლენათა მიზეზების ახსნის ფუნქციებს. მიუხედავათ მომავალში, ჯერ კიდევ მრავალი ძიებისა და სიახლეთა აღმოჩენის აუცილებლობისა, ეკონომიკური მეცნიერებები დღითი დღე უახლოვდება მეცნიერების ფუნდამენტური მეთოდოლოგიური ფუნქციის - მისი პროგნოსტიკული დანიშნულების ადეკვატურ აღსრულებას. ბოლო პერიოდის ეკონომიკის, მათემატიკის, ეკონომეტრიკის, სტატისტიკის, პროგნოსტიკის, კომპიუტერული მეცნიერებების მიღწევებმა, ეკონომიკა გადაიყვანა ახალ დონეზე - ის გასცდა ე. წ. „რბილი" მეცნიერებების რიგს.

ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, სიმწიფის გზაზე უფრო მეტი წინსვლა იგრძნობა ემპირიული მასალის რაოდენობრივი დამუშავების, სტატისტიკური ოპერაციების აქტიური დანერგვის და პროცესებისა და მოვლენების მათემატიკური მოდელების შექმნის მხრივ. ბოლოდროინდელმა თეორიულ-ალბათობითი, სტოქასტიკური მეთოდების გამოყენებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონომიკაში, რითაც შეავიწროვა აქამდე პოპულარული დეტერმინისტულ მიდგომებზე ბაზირებული მეთოდები.

ეკონომიკის ფარგლებში, დეტერმინისტულ და სტოქასტურ შეხედულებებს შორის დაპირისპირებამ გამოიწვია კლასიკური ეკონომიკური მოდელების ფართო კრიტიკა, რომელთაც დომინანტური მდგმარეობა ეკავათ თანამედროვე ეკონომიკურ პარადიგმაში (მეინსტრიმში). გაირკვა, რომ ნრფივი დეტერმინისტული კვაზიდინამიკური სისტემების მარტივი დასკვნები არ იძლევა სრულ სურათს და არ შეესაბამება ეკონომიკური მზარდი მოცულობის დროითი მწკრივების თვისებებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო სამეცნიერო გარემოში მე-20 საუკუნის დასაწყისში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილება, როდესაც ფარდობითობის თეორიისა და კვანტური მექანიკის ფარგლებში შესაძლებელი გახდა სტოქასტური დინამიკური ცნებების გამოყენებადობის ჩვენება.

მეცნიერების ისტორიაში დინამიკური სისტემების (რო-

გორც დეტერმინისტული, ისე სტოქასტური) მნიშვნელობა წინასწარ არის განსაზღვრული ბუნებრივი და სოციალური პროცესების პროგნოზირებადობის საკითხთან მათი კავშირით. თავის მხრივ, საკითხი, არის თუ არა მოვლენები პროგნოზირებადი, არჩევანის თავისუფლებისა და ადამიანის ნების, სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივი სისტემების საწყის და საბოლოო მდგომარეობისა და სხვა ფილოსოფიური საკითხების თაობაზე, დისკუსიის ცენტრშია. პარადოქსულია, რომ ზოგიერთი დეტერმინისტული დინამიკური სისტემის შესწავლილი „ქცევა“ არ განსხვავდება შემთხვევითობით გამოწვეული სისტემების ქცევისგან. ვერც ერთს და ვერც მეორეს ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ.

ასეთი პარადოქსულ და ირონიულ მდგომარეობასთან შეუგუებლობა აიძულებდა მეცნიერებს ემუშავათ დინამიურ მოდელებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მონათესავე დისციპლინების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკაში სტოქასტურობის იდეების დანერგვაზე. არაწრფივმა დინამიურმა მოდელებმა ბევრი შემატეს მრავალი ეკონომიკური მოვლენის უფრო ღრმა გაგების საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ დინამიური არაწრფივი სისტემის ცხადი წესით ამოხსნა იშვიათად არის შესაძლებელი. ბევრმა არაწრფივმა დეტერმინისტულმა სისტემამ შეძლო ისეთი ქაოტური დინამიკის გენერირება, რომ არცერთ საყოველთაოდ მიღებულ ტესტს არ შეეძლო ასეთი დეტერმინისტული სისტემის გამოყოფა წმინდა შემთხვევითი პროცესისგან (თეთრი ხმაური). ასეთი არაწრფივი დინამიური მოდელები, რომლებსაც შეუძლიათ სტოქასტიურობის „გენერირება“ და საწყის პირობებზე და პარამეტრის მნიშვნელობებზე ძლიერი დამოკიდებულების დემონსტრირება, ქაოსის თეორიის საგანია. ქაოსის შესახებ პირველი ეკონომიკური პუბლიკაციები ზედმეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი ამ თეორიის გამოყენების პერსპექტივების მიმართ და მასზე დაფუძნებული ალტერნატიული ეკონომიკური თეორიის აგების მიმართაც კი. ეკონომიკაში ქაოსის თეორიი-

სადმი ინტერესის პირველადი ზრდის შემდეგ, დროთა განმავლობაში ის თანდათანობით განელდა, რადგანაც ბოლო ორი ათწლეულის ემპირიულმა კვლევებმა ვერ დაადასტურა ქაოტური დინამიკის არსებობა ეკონომიკურ მონაცემებში.

კვანტური მექანიკა და ქაოსის თეორია რომ არ არსებობდეს, პროგნოზირებადობის თაობაზე კლასიკური შეხედულებები (ლაპლასი) არ გამორიცხავდნენ ბუნებრივი პროცესების ზუსტად წინასწარმეტყველების შესაძლებლობას - უბრალოდ უნდა ვიცოდეთ ზეგავლენის მქონე კანონზომიერებები და საწყისი პირობები. თუმცა, ზოგადად, ეს შეუძლებელია (პუანკარე). კვანტური თეორია (ჰაიზენბერგის განუსაზღვრელობის პრინციპი) გამორიცხავს სისტემის საწყისი მდგომარეობის ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას, ხოლო ქაოსის თეორია ამტკიცებს, რომ ამ საწყისი უზუსტობის გამო სრული პროგნოზირებადობა შეუძლებელია. ანუ, დეტერმინიზმს და პროგნოზირებადობას შეიძლება არაფერი ჰქონდეთ საერთო.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში დადგინდა, რომ უაღრესად რთული ქაოტური პროცესი (ანუ არაწრფივი დინამიური პროცესი, რომელიც მოიცავს მრავალ ცვლადს), პრაქტიკული თვალსაზრისით, შემთხვევითი პროცესის ექვივალენტურია და რომ მხოლოდ არც თუ ისე რთულ ქაოტურ სისტემებს (დაბალგანზომილებიან ქაოსს) შეიძლება გააჩნდეთ მოკლევადიანი პროგნოზირებადობა, რომლის მიღწევა შეუძლებელია ტრადიციული ხაზოვანი მოდელების ფარგლებში. ეკონომიკური პროცესების მოდელირების მცდელობები ამის შემდგომ ვოლატილობის ანალიზზე გადაერთო. ეკონომიკაში ქაოტური დინამიკის სფეროში კვლევა არის ტექნიკურად რთული და ძვირადღირებული მცდელობა იმისა, რომ ვიპოვოთ ის, რაც, პრაქტიკული თვალსაზრისით, შეიძლება იყოს გაუმართლებელი. ამჟამად, მრავალგანზომილებიანი ქაოსი (თუნდაც კი ის არსებობდეს ეკონომიკურ მონაცემებში) არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგნოზების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რადგან სასრული რაოდენობის მონა-

ცემების პირობებში, მრავალგანზომილებიანი ქაოსი და სტოქასტურობა რეალურად იდენტურია. მრავალგანზომილებიანი ქაოტური (ან წმინდა სტოქასტური) სისტემების საფუძველზე წინასწარმეტყველების გაკეთების შეუძლებლობა (ჰოკინგი) შეესაბამება ბენუა მანდელბროტის აზრს, რომელიც თვლიდა, რომ პროცესების უმეტესობა წმინდა დეტერმინიზმსა და თეთრ ხმაურს შორისაა და თანაბარი წარმატებით შეიძლება აღიწეროს როგორც რთული სტოქასტური პროცესების, ასევე ქაოტური პროცესების სახითაც.

დეტერმინიზმის (მრავალგანზომილებიანი ქაოსის) და სტოქასტურობის განუყოფლობა, რომელიც თან ახლავს არაწრფივ ეკონომიკურ კვლევებს, ასევე შეესაბამება ორმაგობის ფილოსოფიურ ტრადიციას თავისუფალი ნებისა და ტელეოლოგიის საკითხებში. სამყაროს ყველა კანონი რომც ვიცოდეთ, სამყარო მაინც შემთხვევითი იქნებოდა, რადგან რთული რეგულარული კანონიც ხომ შემთხვევითობაა.

სტოქასტურობის როლის ზრდამ ეკონომიკური პროცესების მოდელირების საქმეში ახალი პრობლემები წარმოაჩინა და მათი გადაჭრის გზების ძიებისკენ უბიძგა სამეცნიერო საზოგადოებას. ალბათობითი პროცესების დინამიკაში ანალიზმა ეკონომიკაში ერგოდულობის პრობლემების განხილვამდე მიგვიყვანა. ის მოითხოვს ალბათობის მიმართ ჩვეულებრივი ტრადიციული ხედვების კარდინალურ ცვლილებას.

ეკონომიკური თეორიის დიდი ნაწილი ეფუძნება რისკისა და ალბათობის იდეებს, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნეში განვითარდა, როგორც ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის ჩამოყალიბების ნაწილი. ჩვენ ინსტინქტურად გავიანგარიშებთ რა ალბათობით მოსალოდნელ მნიშვნელობებს, იმპლიციურად ვვარაუდობთ, რომ ისინი ასახავს იმას, რაც დროთა განმავლობაში ხდება. ივარაუდებოდა, რომ შემთხვევითობას, რომელიც წარმოიქმნება ერთადერთ არსებულ სივრცეში შეუქცევადი დროით, აქვს იგივე ეფექტი, რაც შემთხვევითობას, რომელიც წარმოიქმნება პარალელური ალბათობითი სამყაროების ანსა-

მბლში. 1850-იან წლებში, ჯეიმს კლერკ მაქსველისა და ლუდვიგ ბოლცმანის მიერ სტატისტიკური მექანიკის განვითარებამ გამოიწვია ამ საკითხის უფრო მჭიდრო შესწავლა: რა ვითარებაში გვატყობინებს სიდიდის მათემატიკური მოლოდინი იმას, თუ რა ხდება დროის განმავლობაში? შემუშავდა შემთხვევითობის ახალი კონცეპტუალიზაცია. ამ კონცეპტუალიზაციამ თავიდანვე აღიარა დროის ცენტრალური როლი შემთხვევით პროცესებში. ცნობილია, რომ აირების თერმოდინამიკური ქცევის შემთხვევაში ეს ერგოდიული ჰიპოთეზა ძალაში რჩება. მაგრამ ერგოდიკის მათემატიკურად დამტკიცება, როგორც წესი, ძალიან რთულია: ფაქტობრივად, ნებისმიერი სისტემისთვის, რომელიც წონასწორობის მიღმაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის არაერგოდულია.


ლონდონის მათემატიკური ლაბორატორიის კოლეგებთან ერთად ოლე პიტერსი მუშაობს თეორიული ბაზისის შემუშავებაზე, რომელიც ბუნებრივად ახსნის "ირაციონალური" ეკონომიკური ქცევის დიდ ნაწილს. ერგოდულობის ეკონომიკური თეორია იძლევა რიგ ემპირიულად შემოწმებად პროგნოზს და, როგორც პიტერსი აღწერს, ერთ-ერთი მათგანი უკვე გახდა ექსპერიმენტული კვლევის საგანი. ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები იმედს იძლევა ამ მიმართულებით მომავალი კვლევების პერსპექტიულობის შესახებ.

დღეს დღეობით მეცნიერებაში, ისევე როგორც ყოველდღიურობაში, კარდინალურ ცვლილებებს არა მხოლოდ თეორიები განიცდიან, არამედ მიდგომებიც, მეთოდებიც. გამოთვლითი ტექნიკის განვითარების, დიდი მონაცემების შექმნისა და დაგროვების ექსპონენციალური ზრდის კვალდაკვალ „თეორიაზე ორიენტირებული" მიდგომების პარალელურად სულ უფრო და უფრო გამოიყენება „მონაცემებზე ორიენტირებული" მიდგომა. (ნახ. 2.6)

„თეორიაზე ორიენტირებულს" (Theory-Driven) ვუწოდებთ მიდგომას, როდესაც ჩვენ განვსაზღვრავთ თუ რა ჰიპოთეზები მივიღოთ, თეორიების ჩამოყალიბებით და ამ თეორიებში

ნახაზი 2.6

თეორიაზე და მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომების შედარებითი სქემები



მონაცემების ჩასმით. აქ მთავარი იდეა ისაა, რომ მონაცემებს თავისთავად არ გააჩნიათ შინაგანი მნიშვნელობა, არამედ მხოლოდ მაშინ ენიჭებათ მნიშვნელობა, როდესაც ისინი კარგად ჩამოყალიბებული თეორიის კონტექსტში ინტერპრეტირდება რაციონალურად. თეორიები შეიძლება შეიცვალონ ან თუნდაც უარყოფილ იქნან მონაცემების გამო, მაგრამ ამ მიდგომით

ცოდნის მოპოვებისათვის რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვება ვერ იქნება განმსაზღვრელი. ამის ნაცვლად, მოპოვებულ უნდა იქნას საკმარისი მონაცემი საწყისი თეორიის ფორმირებისთვის, შემდეგ კი ნელ-ნელა დავამატოთ ახალი მონაცემები მოდელში, საჭიროების მიხედვით მოვახდინოთ თეორიის კორექტირება და ბოლოს, თეორია გამოვიყენოთ პროგნოზირებისათვის. თუ მონაცემები არ ეთანადება მოდელს, თეორიაზე ორიენტირებული მიდგომით, შესაძლოა თავდაპირველად მაინც ეჭვქვეშ დავაყენოთ მონაცემები.

მეორეს მხრივ, „მონაცემებზე ორიენტირებული" (Data-Driven) მიდგომა უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს რაც შეიძლება მეტი მონაცემების შეგროვებას და მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობს ამ მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის ჩამოყალიბებას. ამ შეხედულების მიხედვით, მონაცემებს თავისთავად შეუძლიათ ინტერპრეტაციის მხარდაჭერა, ინტერპრეტაცია ძირითადად უკეთესი მონაცემებით უმჯობესდება და არა უკეთესი თეორიით. თუ მონაცემები ეწინააღმდეგება ძირითად თეორიას, მაშინ თეორია უარყოფილ უნდა იქნას. მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომა ეყრდნობა მონაცემთა გამოყენებას მათ გარშემო არსებული მოვლენის გასაგებად, მაგრამ, ხშირად, ეს ფუძემდებლური თეორიული ახსნის შეზღუდული გაგებით ხორციელდება.

ამგვარ, მონაცემებზე ორიენტირებულ მიდგომას განასახიერებს ხელოვნური ინტელექტის (Artificial Intelligence), ხელოვნური ნეირონული ქსელების (Artificial Neural Networks), მანქანური და ღრმა სწავლების (Machine Learning – Deep Learning) ალგორითმების, მონაცემთა მეცნიერების (Data Science) თანამედროვე მიღწევები ზოგადად და მათი გამოყენებითი მხარე ეკონომიკის პრობლემების, მათ შორის დაგეგმვის საკითხების შესწავლასა და გადაჭრაში.

ბოლო დროს მრავალი სფერო მოიცვა ციფრულმა ტრანსფორმაციამ. თანამედროვე განვითარების პირობებში, მმართველობასა და პოლიტიკის განსაზღვრაში საინფორმა-

ციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ფართო დანერგვამ ხელი შეუწყო როგორც თავად ამ დარგების, ასევე მათში მოღვაწე პერსონალის ძირეულ ცვლილებებს. მმართველობითი სუბიექტები, თავიანთი საქმიანობის პირობებში, დაგეგმვის ეტაპიდან გადაწყვეტილებათა მიღების ეტაპამდე აწყდებიან აუცილებლობას ოპერირება გაუწიონ დიდ მონაცემებს (Big Data), არაწრფივ, ექსპონენციალურად ზრდად, კრიტიკულად გადატვირთულ მონაცემმებიან სცენარებს. ყოველივე ამას გადაწყვეტილებათა მიღების ვადების მკვეთრი შემცირებაც ერთვის თან. ამ პირობებში ადამიანის ინტელექტუალურ-ანალიტიკური შესაძლებლობების ამოწურვითაა განპირობებული ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს დანერგვის აუცილებლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უმოკლეს ვადებში, ოპერატიულად ანალიტიკურად გადამუშავდეს მონაცემთა უზარმაზარი მასივები, შეუღლდეს რთულად დაკავშირებადი ობიექტები, მოიძიოს დაგეგმვის თანამედროვე ახალი ოპტიმალური გზები, მეთოდები, ტექნოლოგიები. თანამედროვე საინფორმაციო, კომპიუტერულ-პროგრამული და სხვა ტექნოლოგიების დაგეგმვასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში გამოყენების საკითხები დღეს დღეობით სულ უფრო მზარდ აქტუალობას იძენს. გარკვეული ასახვა მათ რიგი ავტორების ნაშრომებში ჰპოვეს. თუმცა, ეს თემა სრულად შესწავლილი და ამოწურული ვერ იქნება. დიდ კვლევით ინტერესს იწვევს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების გზები დაგეგმვის ამოცანათა გადაჭრის საკითხებში, თანამედროვე ძიებათა მიმართულებები, სხვადასხვა მეთოდურ-ალგორითმული მიდგომების პერსპექტივები.

ხელოვნურ ინტელექტს განვმარტავთ როგორც ხელოვნურ, რთულ კომპიუტერულ-პროგრამულ-აპარატულ სისტემას კოგნიტიურ-ფუნქციონალური არქიტექტურით და საჭირო ტევადობისა და სწრაფმოქმედების გამოთვლითი სიმძლავრეებით, რომელსაც შეუძლია ადამიანისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი და ინტელექტუალური ფუნქციების შესრულება,

გარკვეული კლასის სირთულის ამოცანათა გადასაჭრელად ევრისტიკული პროგრამების შექმნა (მათ შორის თვითსწავლების საფუძველზეც) და მათი დახმარებით ამ ამოცანათა გადაჭრა.

დეფინიციის საბაზისო, საწყის დონეზე, დაგეგმვა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მიზნის მიღწევისათვის მოქმედებათა თანმიმდევრობის განსაზღვრის პროცესი. დაგეგმვის გარემოდან გამომდინარე ის შეიძლება კლასიფიცირდეს კლასიკურ და არაკლასიკურ დაგეგმვის გარემოდ. თუ გარემო სრულად დაკვირვებადია, დეტერმინირებული და სტატიკურია (გარე ცვლილებები იგნორირებულია) და დროისა და მოქმედების თვალსაზრისით დისკრეტულია, მაშინ **კლასიკური დაგეგმვის გარემოსთან** გვაქვს საქმე. ნაწილობრივ დაკვირვებადი ან სტოქასტიკური გარემოს შემთხვევაში **არაკლასიკური დაგეგმვის გარემოს** მივიღებთ. კლასიკური დაგეგმვის გარემო რთული ეკონომიკური პროცესების დაგეგმვასთან მიმართებაში შესაძლოა განვიხილოთ როგორც რეალური ამოცანის ერთგვარი ფორმალიზაცია, მისი მოდელირების ეტაპი, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ პროცესების არსს, ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით მოვახდინოთ მათი დეტალიზება, ალგორითმული აღწერა და ავტომატიზირება. თუმცა, ზოგ შემთხვევებში (მაგ.: რიგი ლოგისტიკური ოპერაციების დაგეგმვა), კლასიკური დაგეგმვის გარემოს მეთოდოლოგიაც საკმაოდ ეფექტურია.

რეალურ პრობლემურ ამოცანებში შესაძლო მდგომარეობათა რაოდენობა ექსპონენციალურად იზრდება ობიექტთა მახასიათებელი თვისებების, ურთიერთქმედებების, სხვა, მნიშვნელობის მქონე ფაქტორების რაოდენობათა მიხედვით. ამ მხრივ სირთულეების დასაძლევად მიზანშეწონილია დეკომპოზიციის, შედეგობრივი კავშირების, დაგეგმვის გრაფების, მოწესრიგებადი ქვემიზნების და ევრისტიკული ფუნქციების გამოყენება.

განუსაზღვრელ გარემოში საქმე გვაქვს ინფორმაციის ნაკლებობასთან, ნაწილობრივ დაკვირვებად, არადეტერმინირე-

ბულ, სწრაფად ცვალებად, დინამიურ გარემოსთან, რომელშიც აუცილებელია ინფორმაციის განუწყვეტელი მიღება, გეგმის პერმანენტული კორექტირება, რთული გადაწყვეტილებების მიღება. ამ ვითარებაში გარემოს აღმწერი მოდელები მნიშვნელოვნადაა დაცილებული რეალობას, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ ოპერირებას. თუ შეზღუდული არადეტერმინირებულობის პირობებში ამოცანა შეიძლება გადაწყდეს ყოველი შესაძლო ვარიანტისათვის გეგმის შედგენით, შეუზღუდავი არადეტერმინირებულობის პირობებში ყველა შესაძლო წინაპირობის ან შედეგის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ამ პირობებში აუცილებელია უკუკავშირის არსებობა, გეგმის შესრულების მიმდინარეობის უწყვეტი მონიტორინგი, მისი გადახედვა და გარემო ცვლილებების კვალდაკვალ კორექტირება. განვიხილოთ ამგვარ, **არაკლასიკური დაგეგმვის გარემოს** პირობებში გამოყენებული მიდგომები და მეთოდები.

მოდელების აგებისას ალბათობის გამოყენება, ისევე როგორც სხვა მეცნიერებებში, ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაშიც დიდი ხანია იქცა დომინირებად მეთოდად. თუმცა, მის პარალელურად, განუსაზღვრელობის პირობებში მსჯელობათა ფორმირებისათვის სხვა მიდგომებიც გამოიყენება. სინამდვილის შემეცნებაში ალბათობის თეორიას ისეთივე ონტოლოგიური ღვაწლი მიუძღვის, როგორც ლოგიკას. არამკაფიო ლოგიკის კვლევების მიხედვით *გაუთვითცნობიერებულობა* (vagueness) - არცოდნა იმისა, თუ რამდენად „ჭეშმარიტია" რომელიმე მოვლენა, განუსაზღვრელობის კვალდაკვალ ჩაყენებული იქნა ხელოვნური ინტელექტის სამსახურში. ამ ლოგიკის დებულებათა საფუძველზე დამუშავდა არამკაფიო მართვის მეთოდოლოგია - მართვის სისტემების შექმნა, რომლებშიც რეალურ შემავალ მონაცემებსა და გამომავალ პარამეტრებს შორის კავშირი წარმოდგენილია არამკაფიო წესების მეშვეობით.

განხილული ალბათობითი მეთოდები გულისხმობდა არსებული რეალობის სტატიკურობას, როდესაც ყოველ შემთხვევით ცვლადს ერთი ფიქსირებული მნიშვნელობა გააჩნია.

თუმცა, გარემოს განუსაზღვრელობის პირობებში ფუნქციონირებად აგენტებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა თვალი ადევნონ გარემოს მიმდინარე მდგომარეობას. ამდენად, გადაუწყვეტია ალბათობითი დროითი პროცესების თაობაზე მსჯელობათა ფორმირებისა და წარმოდგენის პრობლემა. გარემოს ცვლილებების გასათვალისწინებლათ შესაძლებელია მრავალი შემთხვევითი ცვლადის გამოყენება, რომლებიც აღწერენ ამ მდგომარეობას დროის ყოველ მომენტში. ალბათობის თეორიაზე დაფუძნებული მოდელები გვაძლევს საშუალებას, განუსაზღვრელობის პირობებში, დავრწმუნდეთ გარემოდან მიღებულ ცვალებად ინფორმაციაში, ხოლო სარგებლიანობის თეორია კი წარმოგვიდგენს თუ საით უნდა მიისწრაფოდეს აგენტი (მიზნის დასახვა). ამ მიდგომათა გაერთიანებით წარდგენილი **გადაწყვეტილებათა მიღების თეორია** საშუალებას გვაძლევს აგენტს დავუსახოთ კონკრეტული მოქმედებების შესრულების თანმიმდევრობა.

დაგეგმვა - ბოლო პერიოდში ხელოვნური ინტელექტის კვლევის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და აქტუალურ მიმართულებად იქცა. დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების მოდელების კრებსით ცხრილებზე უბრალო თვალის გადავლებაც საკმარისია იმისათვის, რომ ავღნიშნოთ მიდგომების დიდი რაოდენობა და ალგორითმული მრავალფეროვნება. (იხ. ცხრილი 2.1, 2.2).

როგორც დაგეგმვის, ასევე გადაწყვეტილებათა მიღების მიდგომების დეტალური ანალიზი და მიმოხილვა მოცემულია ჩვენს ნაშრომებშიც.

ამ მიმართულების განვითარებას დიდი ხნის ისტორია არ აქვს, თუმცა უკვე დღეისათვის მიღებულია ხელშესახები შედეგები, ხოლო მომავლის მოლოდინები წარსულში გაკეთებულ თამამ პროგნოზებსაც კი სცდება. ხელოვნური ინტელექტის მოქმედ ექსპერტებთან ურთიერთქმედებაში გამოყენება ექსპერტებს შორის ერთიან დისკურსს ჩამოაყალიბებს, მნიშვნელოვნად დააჩქარებს ურთიერთგაგების მიღწევას. დაგეგ-

მვასთან და მონაცემთა დიდი მოცულობების ანალიტიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სირთულეები ხელს ვერ შეუშლის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანების ეფექტურ ოპტიმალურ განხორციელებას, მეთოდების შემდგომ დახვეწასა და განვითარებას.

დაგეგმვის პროცესის შესწავლაში ორგანულად შეერწყა ერთმანეთს ხელოვნური ინტელექტის კვლევის ორი ძირითადი მიმართულება - ძიება და ლოგიკა. იდეათა ამგვარმა ურთიერთგაზიარებამ, ზოგჯერ მათმა სიმბიოზმაც, მოგვცა ამ მიმართულებით, როგორც თეორიული წიაღსვლების გაღრმავება, ასევე მათი პრაქტიკული იმპლემენტაციის გაფართოება. თუმცა წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი: ჩამოსაყალიბებელია მკაფიო ხედვები ამოცანათა სახეობიდან გამომდინარე შესაბამისი კონკრეტული მეთოდების შერჩევის პრობლემატიკის მხრივ, შესაძლოა სრულად ახალი მეთოდებისა და მიდგომების შექმნაც.

ცხრილი 2.1

დაგეგმვის ამოცანების მოდელები

დაგეგმვის გარემო	ფაქტორი	მოდელი	ქვეტიპი
კლასიკური	დროითი ფაქტორის გარეშე	სრული მოწესრიგებითი დაგეგმვა TOP	პროგრესული დაგეგმვა
			რეგრესული დაგეგმვა
		ნაწილობრივ მოწესრიგებითი დაგეგმვა POP	
		პროპოზიციონალური ლოგიკის მეშვეობით დაგეგმვა PL	
	დროითი ფაქტორის გათვალისწინებით	კრიტიკული გზის მეთოდი CPM	
		ამოცანათა იერარქიული ქსელები HTN	

არაკლასიკური	რეალური გარემო	თავსებადი დაგეგმვა	
		პირობითი დაგეგმვა	
		უწყვეტი დაგეგმვა	
		მულტიაგენტური დაგეგმვა	კოოპერირება
			კონკურენცია
	განუსაზღვრელობის პირობებში - სტატიკური გარემო	ბაიესის ქსელი BN	
		ალბათობათა რელაციური მოდელები RPM	
		მსჯელობათა ფორმირება თავდაპირველი დაშვებით	
		განუსაზღვრელობათა გათვალისწინება წესების საფუძველზე	
		დემპსტერ-შეფერის თეორიის საფუძველზე	
	განუსაზღვრელობის პირობებში - ალბათობითი დროითი პროცესები	ფილტრაცია და პროგნოზირება	
		დაგლუვება	
		სავარაუდო თანმიმდევრობის ძიება	
		ფარული მარკოვის მოდელები HMM	
		კალმანის ფილტრი KF	
		დინამიური ბაიესის ქსელი DBN	

ცხრილი 2.2

გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანების მოდელები

დონე	მოდელი
მარტივი გადაწყვეტილებები	რაციონალური აგენტი
	მრავალატრიბუტიანი სარგებლიანობის თეორია
	სტოქასტიკური დომინირება
	გადაწყვეტილებათა მიღების ქსელები
	ინფორმაციის ღირებულება
	საექსპერტო სისტემები
რთული გადაწყვეტილებები	გადაწყვეტილებათა მიღების მარკოვის პროცესები
	თამაშების თეორია

ხელოვნური ინტელექტის, არამკვეთრი სიმრავლეებისა და ლოგიკის, გენეტიკური ალგორითმების და სხვა თანამედროვე კვლევების კვალდაკვალ ჩნდება ახალი ინსტრუმენტები მონაცემთა ანალიზისა და პროგნოზული გათვლების წარმოებისათვის. დღეისათვის, მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ერთ-ერთი ცნობილი ეფექტური ინსტრუმენტი ხელოვნური ნეირონული ქსელებია. მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს მისი ფინანსური ბაზრების პროგნოზირებისათვის გამოყენების მცდელობები, ეკონომიკაში ამ ინსტრუმენტის ფართო გამოყენების შესაძლებლობების კვლევა თანამედროვე აქტუალური ამოცანაა.

ხელოვნური ნეირონული ქსელების შესახებ სრული ინფორმაცია მრავალ წყაროში მოიპოვება. მოკლედ განვიხილოთ ამ ქსელების აგებისა და ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები. ხელოვნური ნეირონული ქსელი - ადამიანის ნეირო-


ნული ქსელის მიხედვით შექმნილი მათემატიკური მოდელი და მისი პროგრამულ-აპარატული რეალიზაციაა. მისი შემადგენელი ერთეული ხელოვნური ნეირონია, რომელიც პირველი მიახლოებით ბიოლოგიური ნეირონის თვისებების იმიტაციას ახდენს. (ნახ. 2.7)

შემავალი სიგნალები (x1, x2,... , რომლებიც ვექტორ X-ს შეადგენენ) მიეწოდება ხელოვნური ნეირონის შესავალზე. ყოველი სიგნალი მრავლდება შესაბამის წონაზე (w1, w2, ...) და გადაეცემა შემაჯამებელ ბლოკს (Σ). შეწონილი შემავალი სიგნალების ალგებრული ჯამი (გამომავალი NET) შემდგომში გარდაიქმნება აქტივაციური ფუნქციის მიერ (F) და ბოლოს გვაძლევს გამომავალ ნეორონულ სიგნალს (OUT).

ამგვარი ნეირონები ერთიანდებიან შრეებში. შრის შემადგენელი ნეირონთა ერთობლიობა წარმოადგენს უმარტივეს ნეირონულ ქსელს. ქსელის სწავლების პროცესში მიიღწევა, რომ გარკვეულ შემავალი სიგნალების სიმრავლეს შეესაბამებოდეს სასურველი გამომავალი სიმრავლე. სწავლების პროცესი ხორციელდება შემავალი ვექტორების თანმიმდევრული მიწოდებით, იმავდროულად განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად მიმდინარეობს წონათა შერჩევა-ოპტიმიზაცია. სწავლების პროცესში წონები თანდათანობით იმგვარად ფორმირდება, რომ თითოეული შემავალი ვექტორისათვის ყალიბდებოდეს შესაბამისი სწორი გამომავალი ვექტორი. ქსელის სწავლებისათვის დამუშავებულია და გამოიყენება დეტერმინისტული და სტოქასტიკური მეთოდები და ალგორითმები. დასამუშავებელი მოდელის სპეციფიკისა და კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე შესაძლებელია შერჩეულ იქნას ქსელების არსებული მრავალგვარი კონფიგურაციიდან ერთ-ერთი (პერცეპტრონი, დაფარული შრის სხვადასხვა დონეებით, ქსელები პირდაპირი და უკუგავრცელების ალგორითმებით, ჰოპფილდის ქსელი, კოჰენენის ქსელი, ჰემინგის ქსელი, ბოლცმანის მანქანა და სხვა).

ნახაზი 2.7

ხელოვნური ნეირონის სქემა



ისეთ დინამიურ გარემოში, როგორიც რეგიონული ეკონომიკაა, სადაც ეკონომიკურ მაჩვენებელთა მწირი ბაზაა, ხოლო თავად მაჩვენებლები ხშირად არ აკმაყოფილებს სტაციონარულობისა და პირობათა უცვლელობის პირობებს, სისტემაში, რომელშიც ჭარბობს მასობრივი პროცესები და გართულებულია პირდაპირი დაკვირვებები, სადაც მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი მოქმედებს, მნიშვნელოვანია მოდელირების ინტელექტუალური ტექნოლოგიების დამკვიდრების მიზნით გამოყენებითი კვლევების წარმოება. ეს სისტემები, მოვლენები და პროცესები თავიანთი არსით სტოქასტიკური, ალბათობითი ხასიათისაა, განუსაზღვრელობა - მათი შინაგანი თვისებაა. ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად მისი ტერიტორიული განვითარება, ამ განვითარების გეგმების დამუშავება, საკვანძო მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების ადეკვატური პროგნოზირება ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ქვაკუთხედია.


რეგიონული ეკონომიკური მაჩვენებლების მოდელირება და პროგნოზირება მოვახდინეთ სამშრიანი პერცეპტრონის არქი-

ტექტურის ხელოვნური ნეირონული ქსელის მეშვეობით. (იხ. ნახ. 2.8) მეთოდის კვლევა და მიღებული შედეგები დეტალურადაა აღწერილი და გაანალიზებული ჩვენს პუბლიკაციაში

შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ ნეირონული ქსელის მიერ გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლების სიზუსტე საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა (accuracy_NN = 0.9848417), რაც არათუ ჩამოუვარდებოდა, არამედ მცირედით უსწრებდა კიდეც წრფივი რეგრესიის მეშვეობით მიღებულ საპროგნოზო მაჩვენებლების სიზუსტის კოეფიციენტს (accuracy_LR = 0.9810667). ასევე მაღალი ადეკვატურობითა და სიზუსტით აღინიშნა ნეირონული ქსელის მიერ გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები ფაქტიურ, არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით. (საშუალო გადახრა ფაქტიურიდან - 1.5%, ყველაზე მცირე გადახრა - 0% - სრული სიზუსტით დამთხვევა, ყველაზე დიდი გადახრა - 6%).

ნახაზი 2.8

ხელოვნური ნეირონული ქსელის სტრუქტურა



ქსელის მეშვეობით მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების მაღალი ეფექტურობა, ნაწილობრივ, შეიძლება აიხსნას ქსელის სასწავლო და საპროგნოზო მონაცემების ერთიანობის გავლენითაც, რაც ქსელის ე.წ. „ზედმეტი სწავლების" მიზეზით იქნა განპირობებული. თუმცა, საკითხის შინაარსიდან და შერჩევის წარმომადგენლობითობიდან გამომდინარე ნაკლებადაა მოსალოდნელი შერჩევაში სერიოზული გავლენის მქონე შემთხვევითი კანონზომიერებების დიდი მოცულობით არსებობის შესაძლებლობა. საინტერესო იქნება აღნიშნული მეთოდიკით სხვა, მათ შორის უფრო მოცულობითი რეგიონული ტერიტორიული მაჩვენებლების ანალიზი.

ვრცელი შერჩევის პირობებში შესაძლებელი იქნება მოდელის სწავლება და პროგნოზირება სხვადასხვა მაჩვენებლებით განვახორციელოთ, რაც ქსელის ე.წ. „ზედმეტი სწავლების" (Overfitting) პრობლემასაც მოხსნის. ამ პირობებშიც კი, როგორც განხორციელებული კვლევა ცხადჰყოფს, პროგნოზის ეფექტურობისა და დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები დიდად ვერ შემცირდება და პროგნოზი სანდოობისა და საკმარისობის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს. ასევე, შემდგომი კვლევის საკითხია ქსელის მეშვეობით დროითი მწკრივების სახით წარმოდგენილი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზიც.

კვლევით ნაჩვენებია, რომ ტერიტორიული ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირებისათვის ხელოვნური ნეირონული ქსელების გამოყენება მიზანშეწონილი და დასაბუთებულია. განსაკუთრებით იზრდება მათი როლი იმ მაჩვენებელთა ანალიზისა და პროგნოზირების დროს, რომლებიც ხასიათდებიან არასტაციონარულობით, დინამიურობით, გარკვეული ტრენდის არ არსებობით, პერიოდულობით, არაწრფივი სტრუქტურით. ამიტომ წასახალისებელია ამ მეთოდის დანერგვა რეგიონული ეკონომიკის კვლევებში, ტერიტორიული განვითარების გეგმების, სტრატეგიების, სა-

მიზნო და ინდიკატური მაჩვენებლების პროგნოზირებისას. თუმცა, ასევეა გასათვალისწინებელი ნეირონული ქსელების გამოყენების რიგი შეზღუდვებიც. ხელოვნური ნეირონული ქსელები თამამად შეიძლება ჩართულ იქნას მკვლევართა, პრაქტიკოს-ეკონომისტთა, სტატისტიკოსთა, მონაცემთა ანალიზზე მომუშავეთა მეთოდოლოგიურ და ინსტრუმენტულ არსენალში.

პროგნოზებისა და გეგმების საერთო მახასიათებელია მათში შემავალი ინფორმაციის მომავალზე ორიენტირებული ბუნება, რაც განასხვავებს წინასწარხედვას ეკონომიკური ანალიზისა და სტატისტიკისგან. პროგნოზირებას და დაგეგმვას შეუძლია გამოიყენოს იგივე მეთოდები და ინდიკატორები და დაეფუძნოს საერთო საინფორმაციო ბაზას. პროგნოზსა და გეგმას შორის კავშირი, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობს, რომ პროგნოზირება - დაგეგმვის კვლევითი საფუძველია. ტრადიციულად, პროგნოზი წინ უსწრებს გეგმის შემუშავებას, მაგრამ მას ასევე შეუძლია მას მისდიოს, განსაზღვროს დაგეგმილი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. მათ შორის განსხვავება განპირობებულია იმით, რომ პროგნოზირებას თავისი არსით აქვს კვლევითი ხასიათი, მომავლის მეცნიერული აღწერის, ხოლო გეგმა ატარებს მიზნის დასახვის ხასიათს. პროგნოზი ალბათობითია, გეგმა კი ნორმატიული. პროგნოზს აქვს ვარიანტული შინაარსი, ხოლო გეგმა არის ცალსახა გადაწყვეტილება, თუნდაც ის შემუშავებული იყოს ვარიანტულ საფუძველზე. პროგნოზირება დაგეგმვისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუმცა ის შეიძლება იყოს დაგეგმვის პროცესის განუყოფელი ნაწილი. გეგმების არსებითი მოთხოვნაა მათი რესურსებით უზრუნველყოფა, ხოლო პროგნოზებს შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ მიზნის მიღწევის ალბათობა, რესურსებით არასრულად უზრუნველყოფის პირობებშიც კი. დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად ვლინდება სუბიექტური ფაქტორის გავლენა – იმ ადამიანების ნება, სურვილები, მისწრაფებები, ვინც იღებს გა-

დაწყვეტილებებს მიზნის დასახვისას, მისი მიღწევის გზების არჩევისას.

პროგნოზების სანდოობა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე: ობიექტური კანონებისა და კანონზომიერებების შესახებ ჩვენი ცოდნის სიღრმესა და სიცხადეზე; ეკონომიკური სისტემების სწორად ასახვის, „მოდელირების“ უნარზე. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკრეტული ეკონომიკური პროცესების შესწავლის ხარისხი, მათი პირობებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ ინფორმაციის სისრულე, კონკრეტული ეკონომიკური პროცესებისა და ურთიერთობების შესახებ საინფორმაციო ნაკადების დამუშავების დროულობა და სიჩქარე. ინფორმაციის ხარისხი, სისრულე და სანდოობა, როგორც წესი, პირდაპირპროპორციულია პროგნოზის სანდოობის.

განჭვრეტა, ყველა თავისი ნაირსახეობით, მომავლის ასახვაა, მომავალი განვითარების პროცესების ცოდნაა. სოციალური სამყაროს ადეკვატური ასახვა მოითხოვს ჩვენი ცოდნის მუდმივ განვითარებას. მატერიალური სამყაროს დროში ცვლილებება, მისი მომავალი ევოლუციები, პროგნოზული ასახვის ობიექტებია. თუმცა ეს უკანასკნელი თავად ადამიანის ცოდნის შემდგომ განვითარებაზეც ვრცელდება. და აქ შეუძლებელია არ დაეეთანხმოთ მეცნიერს, ეკონომისტს ნ.კონდრატიევს: „განჭვრეტა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში შესაძლებელია, თუმცა მისი საზღვრები ძალზე შეზღუდულია. თუმცა, მთელი წინა თხზულება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ეს საზღვარები რაიმე გაყინული არ არის: ისინი სამეცნიერო ცოდნის ზრდასთან ერთად ფართოვდებიან. და თუ მართალია, რომ განჭვრეტას აქვს ასეთი მნიშვნელოვანი სოციალური და პრაქტიკული მნიშვნელობა, თუ მართალია, რომ თვით სოციალური განვითარების სვლის წყალობით, რომელიც უპრეცედენტო სიმწვავით აყენებს ცხოვრების სტიქიური ძალების ორგანიზებული მართვის პრობლემას, განჭვრეტა იქცევა ასეთი მართვის სულ უფრო აუცილებელ პირობად, მა-

შინ ამავდროულად სულ უფრო აქტუალური ხდება მისი შესაძლო საზღვრების მაქსიმალურად გაფართოების ამოცანაც. "Science, d'ou prevoyance; prevoyance, d'ou action"[1]- კონტის ეს ცნობილი ფორმულა, რომელიც მის მიერ ასი წლის წინ იქნა გაცხადებული, ახლა უფრო მეტად ინარჩუნებს მთელ თავის ძალას, ვიდრე ოდესმე."

1 „ცოდნის აზრი განჭვრეტაშია, განჭვრეტის მნიშვნელობა კი მოქმედების უზრუნველყოფაში."

თავი 3. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში

3.1 ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის სიტემის ევოლუცია პოსტსაბჭოთა საქართველოში

საინტერესოა თვალი გავადევნოთ საქართველოში ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების და დაგეგმვის პროცედურების ევოლუციას. პოსტსაბჭოთა საქართველოში, დაგეგმვისა და მისი რეალიზების კუთხით ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოიშვა. 1993 წლიდან საქართველოში სამჯერ (1993-1995, 1996-2000, 2001-2005 წლები) შემუშავდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი გეგმები (მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამები). ამ პროგრამების რეგიონული განვითარებისა და სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის მიზნებად დეკლარირებული იყო ქვეყნის ტერიტორიული ნაწილების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და გამოთანაბრება ეკონომიკური და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმების გამოყენებით, ადგილობრივი ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის, მოსახლეობის სამეურნეო ტრადიციების სრული და გონივრული გამოყენების საფუძველზე, აგრეთვე ხელისუფლების მხრივ თავისუფალი მეწარმეობის, მცირე ტერიტორიული ბიზნესის წახალისების, მიგრაციული ნაკადების რეგულირების, დიფერენცირებული საკრედიტო და საგადასახადო სისტემების ამოქმედების გზით. პროგრამას თან მოსდევდა მინისტრთა კაბინეტის დადგენილება მისი განხორციელების უზრუნველ-

მყოფი ღონისძიებების შესახებ. პროგრამები დეკლარატიული ხასიათის იყო და ასახავდა იმ დროისათვის არსებულ ზოგად შეხედულებათა დეკლარირებას თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო პოსტსოციალისტური ეკონომიკის ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკად, რაც ძირითადად „ვაშინგტონის კონსენსუსის" მოსაზრებებს ეფუძნებოდა.

1994 წელს მიღებულ იქნა კანონი „ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ" (11.10.1994). ინდიკატური დაგეგმვის შემოღება ისტორიულ კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პოსტსაბჭოთა საქართველოში სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის განვითარების პირველი, საწყისი საფეხური. ამ კანონით განისაზღვრა, რომ ინდიკატური დაგეგმვა არის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების მახასიათებელ მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) და მათი განხორციელების ღონისძიებათა სისტემის ფორმირების პროცესი; ის განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, ამოცანებს, მიმართულებებს, მათი რეალიზების გზებსა და მეთოდებს, ინდიკატური გეგმის პროექტი (წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებები) კი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების ერთ-ერთი საფუძველია. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შეიმუშავება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საერთო მეთოდური ხელმძღვანელობით დაევალათ. განისაზღვრა ინდიკატური გეგმების დროითი ჰორიზონტიც - ის შეიძლება დამუშავებულიყო მოკლე (ერთწლიანი), საშუალო (5-წლიანი) და გრძელვადიანი (10-20-წლიანი) პერიოდისათვის. სტრუქტურულად ინდიკატური გეგმა შედგებოდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის, პროგნოზის და საგეგმო-მარეგულირებელი (ეკონომიკური რეგულატორების სისტემა) ნაწილებისაგან. ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციაში ყალიბდე-

ბოდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები და პრიორიტეტები, განისაზღვრებოდა მათი შესრულების ღონისძიებები და პირველ რიგში გადასაწყვეტი ამოცანები. იგი, როგორც წესი, გრძელვადიან პერიოდს მოიცავდა და აუცილებელი არ იყო ყოველ ინდიკატურ გეგმაში, განსაკუთრებით კი წლიურ გეგმაში ასახულიყო. ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზებში უნდა განსაზღვრულიყო წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარების ტენდენციები, პერსპექტივები და ვარიანტები არსებული მდგომარეობის ანალიზის, რესურსების პოტენციალისა და საგარეო ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ეკონომიკური რეგულატორების სისტემა შედგებოდა სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისაგან, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ზემოქმედებდა ეკონომიკაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციასა და პროგნოზებში დასახული მიზნების მისაღწევად. მომდევნო წლის ინდიკატური გეგმის პროექტის წინასწარ საპროგნოზო გაანგარიშებებს–შემდგომში მათი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში გასათვალისწინებლად, დაერთვებოდა პირველ რიგში სარეალიზაციო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალი მათი ანოტაციებით. სამი წლის შემდეგ, 1997 წლის ოქტომბერში მოქმედება დაიწყო ახალმა კანონმა, რომლის მიხედვით ინდიკატურმა გეგმამ სარეკომენდაციო ხასიათის დატვირთვა შეიძინა.

ჯერ კიდევ ადრეული, თვითმმართველობის რეფორმის გატარებამდე არსებული, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით როგორც ადგილობრივი მმართველობის, ასევე თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება. სხვა საკითხია, თუ რა ხარისხით ხდებოდა

ამ უფლებამოსილების განხორციელება, რა მეთოდოლოგიური ბაზა არსებობდა ამ პროგრამების დამუშავებისათვის, რამდენად რეალური და შესრულებადი და არა დეკლარაციული იყო ისინი. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბების პერიოდისათვის (1997-1998 წლები) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ" (მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით) ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციად განისაზღვრა დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება.

ამავე პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს განსაზღვრავს 1999 წელს მიღებული საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ". კანონის მიხედვით ადგილობრივი ორგანოები ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებას ახორციელებენ ურბანული განვითარების შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების მოწესრიგებისათვის. აქვე განმტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება კანონით დადგენილი წესით შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები. (მე-6 მუხლის მეორე პუნქტის გ ქვეპუნქტი)

ტერიტორიულ ერთეულებში წარმოიშვა პრაქტიკული დანიშნულების მქონე, მეცნიერულად დასაბუთებული გაანგარიშებისა და განზრახულობათა ერთიანი დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობა. მით უმეტეს, რომ თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა შორის ადგილი ჰქონდა საკრებულოთა სისტემატურ მოთხოვნას რაიონული ბიუჯეტები გა-

ნხილულიყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების საფუძველზე.

სტრატეგიული განვითარების პროგრამის ფორმირების აუცილებლობა განისაზღვრა:

1. მომდინარე გადაწყვეტილებების მიღებისას სტრატეგიული მიზნების გასათვალისწინებლად;
2. რეგიონის განვითარების რეგულირების უზრუნველსაყოფად;
3. ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის;
4. ძლიერი და სუსტი მხარეების, ინდივიდუალური განსაკუთრებულობების გამოსავლენად;
5. რეგიონის ეკონომიკაში ინვესტიციების მოსაზიდად და სხვა პრობლემათა გადასაწყვეტად.

2002 წლის 20 მარტს გამოვიდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ბრძანება „საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდური რეკომენდაციების შესახებ“. იგი განსაზღვრავდა ტერიტორიული ერთეულის პროგრამის რეალიზაციის შინაარსობრივ და ფუნქციონალურ მახასიათებლებს და მოიცავდა 6 განყოფილებას. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად საქართველოს რეგიონებში შემუშავდა 2003-2005 წლების სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამები.

საქართველოში 2006 წლის 24 ივლისს ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონი „ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“, თუმცა ამით მაკროდონეზე გარკვეული უხერხულობები მაინც არ შექმნილა. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ მოამზადა „საბაზისო მონაცემები და მიმართულებები 2007-2010 წლებისათვის“, რომელიც მოიცავს საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგიის მიმართულებებს და რეფორმის მოსალოდნელ შედეგებს 2007-2010 წლებისათვის.

2006 წლიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს კანონით გატარებული რეფორმის შედეგად თვითმმართველმა რგოლმა ცვლილება განიცადა - მუნიციპალიტეტების ფორმირებით თვითმმართველობამ თემის, სოფლის, დაბის დონიდან „ამოიწია" რაიონულ დონეზე. მართალია, თავიდან იყო განსაზღვრული თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა შორის, თუმცა შემდგომ საკუთარი უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და მის რეალიზაციაზე ზრუნვის დირექტიული მოთხოვნები. ისინი ჩანაცვლდა ზოგადი ხასიათის, სხვადასხვა პუნქტებში გადანაწილებული დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების, ინვესტირების მიმართულებების, მინათსარგებლობისა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის დაგეგმვის, ტერიტორიების კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავების უფლებამოსილებებით. იმავე კანონით სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პროგრამების დამტკიცება და განხორციელება. ამდენად, ტერიტორიული მმართველობითი ორგანოების ფუნქციები ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის კუთხით სრულად ნიველირდა. თუმცა, რიგ მუნიციპალიტეტებში ინერციით კიდევ მიმდინარეობდა სხვადასხვა ხასიათის ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავება. პროცესს რიგ შემთხვევებში ხელს უწყობდა საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამები, რაც ერთგვაროვად დადებითად უნდა შეფასდეს. ერთ-ერთი ამგვარი ყველაზე მასშტაბური პროექტი განახორციელა CHF-საერთაშორისო საქართველომ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივა" (GEII)

ფარგლებში ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკასთან“ თანამშრომლობის გზით. პროექტის ჯგუფის მიერ მეთოდური და ორგანიზაციული დახმარება ეწეოდათ მუნიციპალიტეტებს ეკონომიკური განვითარების პროგრამების მომზადების, შემუშავების და დამტკიცების მხრივ. თუმცა, პროგრამების შესრულების თაობაზე სერიოზული შემდგომი მსჯელობა არ იმართებოდა, არ იყო დაწესებული მონიტორინგი მათ მიმდინარე შესრულებაზეც. ამდენად, პროცესი მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. იმავე წლიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ“.

2007 წლის 28 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის №300 დადგენილება „საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა, ძირითად მონაცემთა და მიმართულებათა შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შესახებ“. ამ აქტის მიხედვით, ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების მიერ წარდგენილი ინფორმაცია შესაბამისი განხილვების შემდეგ აისახება ქვეყნის 2009-2012 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში.

სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისა და პოლიტიკის გატარების არათანმიმდევრულობისა და გაუაზრებლობის მაგალითია სტრატეგიული განვითარების სააგენტოს შექმნისა და ფუნქციონირების საქმე. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით საქართველოში ტურისტული, საინვესტიციო და ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სტრატეგიული განვითარების სააგენტო. სააგენტოს დაევალა საქართველოში განსახორციელებელი, საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროების მიერ განსაზღვრული ცალკეული ტურისტული, საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა. იმავე წლის 11 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს იუსტიციის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა ახალშექმნილი სააგენტოს დებულება. დებულებით განისაზღვრა სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები. კერძოდ, საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და ანალიზის განყოფილებისათვის შემდეგი ფუნქციები გაიწერა:

- ცალკეული რეგიონული მასშტაბის პროექტების ეკონომიკური კვლევა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება;
- ცალკეული რეგიონების ინფრასტრუქტურული და მომსახურებების ნაკლოვანებების იდენტიფიცირება;
- ცალკეული რეგიონების ინფრასტრუქტურული და მომსახურებების ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, პოტენციური ინვესტორებისათვის საინვესტიციო პროექტების შესაბამისი ბიზნესგეგმების მომზადება;
- საინვესტიციო პროექტების პოტენციურ ინვესტორებთან წარდგენა და მათი რეალიზების ხელშეწყობა.

ხოლო ტურისტული ადგილმდებარეობის მართვის განყოფილების ფუნქციებად კი განისაზღვრა:

- განსაზღვრული ტურისტული ადგილმდებარეობების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მართვა;
- დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფა ტურისტული ადგილმდებარეობის სტრატეგიის შემუშავების და მისი მართვის პროცესში;
- ტურისტული ადგილმდებარეობის მარკეტინგული გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებულ პროექტებს ტურისტული ადგილმდებარეობის სტრატეგი-

ული გეგმის ფარგლებში კოორდინაცია და მონიტორინგი;
- ტურისტული ადგილმდებარეობის რეგიონული წარმომადგენლების ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა.

საკმაოდ მოცულობითი, საჭირო და აქტუალური საქმიანობის განხორციელება დაევალა აღნიშნულ უწყებას. თუმცა, დაარსებიდან რვა თვეში, 2012 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ზემოთაღნიშნული უწყება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი სტრატეგიული განვითარების სააგენტო ლიკვიდირებულ იქნა. მის უბლებამონაცვლედ, ისიც მხოლოდ ქონების ნაწილში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო განისაზღვრა.

დღეისათვის მოქმედმა, 2014 წლიდან ძალაში შესულმა საქართველოს ორგანულმა კანონმა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა" ძალადაკარგულად გამოაცხადა 2006 წლიდან მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს კანონი. ამ კანონითაც ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მიმართ თვითმმართველობების როლი და დამოკიდებულება არსებითად არ შეცვლილა. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს შორის კვლავაც არ იქნა გაკეთებული ჩანაწერი ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის აუცილებლობის თაობაზე.

3.2 ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის წარმატებები და ნაკლოვანებები საქართველოში, პრობლემების დაძლევის გზები

დღეისათვის, ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების მთავარი გეგმარებითი დოკუმენტი, რომელიც ადგილობრივ დონეზე შემუშავდება - მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტია. ამ დოკუმენტის არსი და სტრუქტურა ზო-

გადად რეგლამენტირებულია საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლში. აღნიშნული კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. მას ადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით. აღმასრულებელი ორგანო (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტისა) მომზადებულ დოკუმენტს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტი პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დადგენილი წესით. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) მუნიციპალიტეტის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის:

გ.ა) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს;

გ.ბ) მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამე-

ბისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

ამდენად, ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე, თვითმმართველობის ორგანოების საკუთარი უფლებამოსილებები ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სფეროში შემოიფარგლება საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვის პრიორიტეტების განსაზღვრით, ამ მიმართულებით პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავებით და დაფინანსებით.

ბოლო წლებში, განვითარების სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის ზრუნვა, რაც აუცილებელი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტების აბსოლუტური უმრავლესობის განვითარების სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს შემდეგ პრიორიტეტებს: ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. მათი საბიუჯეტო დაფინანსების ასიგნებების ძირითადი მიმართულებებია:

- მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია;
- კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება;
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა;
- სოციალური პაკეტის დაფინასება:
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

დღესდღეობით ყველა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა და მიმართულებები ფაქტობრივად ერთგვარია, რაც ფინანსთა სამინისტროს უნიფიცირებული მითითებით არის განპირობებული. განსხვავებულია მხოლოდ თბილისის პრიორიტეტებისა და ბიუჯეტის სტრუქტურა და მიმართულებები. ბუნებრივია, არ არის მიზანშეწონილი პრიო-

რიტეტების დოკუმენტის ფორმირების ამგვარი მკაცრი რეგლამენტირება, ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლება დამოუკიდებელი უნდა იყოს საკუთარი განვითარების მიმართულებების შერჩევაში.

როგორც აღინიშნა მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული პრიორიტეტების დოკუმენტები იდენტურია თავიანთი სტრუქტურის მიხედვით. ანალიზისათვის ჩვენ განვიხილეთ ცაგერის, წალენჯიხის, ლაგოდეხის და სამტრედიის მუნიციპალიტეტების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტები. დაგეგმვის ჰორიზონტი 3 წელს შეადგენს და ის 2022-2025 წლებს მოიცავს. დოკუმენტების სტრუქტურა ტიპიურია. პირველი თავში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: მოკლე ისტორიული ექსკურსი, გეორგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მონაცემები ნიაღისეულის და სხვა ბუნებრივი რესურსების შესახებ, დემოგრაფიული ცნობები. ზოგ მუნიციპალიტეტს აქვე ცოტა ვრცლად აქვს წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მოკლე აღწერა-დახასიათება, წამყვანი დარგები, სოციალური სფეროს ობიექტები. მეორე თავში მოცემულია მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. თავი ეძღვნება ადგილობრივ ბიუჯეტებს, სადაც აღწერილია: შემოსავლებისა და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები, გასული და მიმდინარე წლების ბიუჯეტების შესრულების მდგომარეობა, გადასახდელების ანალიზი ფუნქციონალურ ჭრილში. მესამე თავი დათმობილია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებისა და პროგრამებისათვის. აქვე მოცემულია მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა (მისია), განსაზღვრულია განვითარების პრიორიტეტები, დადგენილია პრიორიტეტების მიხედვით პროგრამების და ქვეპროგრამების ასიგნებების მოცულობები. თითოეული ქვეპროგრამისათვის გასული, მიმდინარე და მომავალი ორი წლისათვის დაგეგმილი ასიგნებების მოცულობებთან ერთად მოცემულია განმხორციელებელი სუბიექტის მონაცემები, პროგრამის/ქვეპროგრამის

აღწერა და მიზანი და მოსალოდნელი შედეგები. თითოეული ბლოკი სრულდება შეფასების ინდიკატორების ცხრილით, სადაც მოცემულია საბოლოო და მიმდინარე შედეგების საზომები, მისაღწევი სტრატეგიული მიზანი და მისი შეფასების მაჩვენებელი.

მიუხედავათ ერთგვარი სტრუქტურული გამართულობისა დოკუმენტების შინაარსი ვერ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას. დოკუმენტის მომზადებისადმი ფორმალური დამოკიდებულება მის დაბალ ხარისხს განაპირობებს. უკვე მზადების საწყის ეტაპზევე არსებული განზრახულობა ის ბიუჯეტს იქნას მიბმული (და არა პირიქით - ბიუჯეტირების პროცესი იყოს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე) თავის დაღს ასვამს მთლიან გეგმასაც. თუ ბოლო წლების სხვადასხვა პერიოდში შედგენილ ამ დოკუმენტებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მათი შინაარსი წლიდან წლამდე თითქმის უცვლელად გადადის გეგმიდან გეგმაში, მხოლოდ ციფრობრივი კორექტურის შეტანით შემოიფარგლება დაგეგმვის პროცესი. ეს კი დოკუმენტის არსებულ რეალიებთან კავშირის დაკარგვას განაპირობებს. ამიტომაც გეგმა ვერ ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტრენდებს, ტერიტორიული განვითარების ახალ ინსტრუმენტარიუმს, სტრატეგიები მოკლებულია მათი რეალიზაციის მექანიზმების აღწერას, მიბმული არიან მეტწილად მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსების წყაროებზე. დოკუმენტებში ასევე არ იკვეთება მათი მომზადების პროცედურული ეტაპები, სოციალური პარტნიორობითი მონაწილეობა, კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა აქტორების როლი, აქტივობა ან თუნდაც მონაწილეობა როგორც დაგეგმვის, ასევე განვითარების ღონისძიებათა რეალიზაციის საქმეში. სტრატეგიის მიმართ ყალიბდება დამოკიდებულება, როგორც არაფრის მომტანი ფორმალური დოკუმენტისადმი, რომლის მომზადებაც მხოლოდ ფორმალური მოთხოვნაა და ის ბიუჯეტს, როგორც მთავარ დოკუმენტს, უბრალოდ თან ერთვის.

ფორმალისტური მიდგომებია ხედვის, მისიის ჩამოყალიბების მიმართაც. დოკუმენტები გაჯერებულია ზოგადი, არაფრის მეტყველი და მით უფრო არაფრის გამკეთებელი ფრაზებით, ხშირია შტამპების გამოყენება: უმუშევრობის შემცირება, კეთილდღეობის ზრდა, ეკონომიკის დივერსიფიცირება, ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენება, საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა, განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა, ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენება და სხვა. ამგვარი ზოგადი მოწოდებები ვერ იქცევა კონკრეტული ქმედებების ორიენტირებად, განვითარების კრიტერიუმებად. ისინი მოკლებულია კონკრეტიკას, ხარისხობრივ და რაოდენობით მახასიათებლებს. ზოგადი ხედვის განსაზღვრულობიდან უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული, კერძო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, საჭიროება, დასაბუთებულობა. ამიტომაც ბუნდოვანია შემდგომი პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდიკაც. მუნიციპალიტეტებს შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში პრიორიტეტებად დადგენილი აქვთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტიურად ყველა სფერო და მიმართულება, მათი რაოდენობა 6-7-ს აჭარბებს. ცნება „პრიორიტეტის“ აზრი იკარგება. პრიორიტეტების განსაზღვრა არ ეფუძნება მკაფიო გაშლილ ანალიზს, არაა გამოკვეთილი მუნიციპალიტეტის შედარებითი უპირატესობები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, არაა გამოვლენილი გარე და შიდა გავლენის მქონე მნიშვნელოვანი ფაქტორები. პირველ თავში მოცემული ზოგადი ინფორმაცია თხრობითი, აღწერითი ხასიათისაა, ის მოკლებულია ანალიტიკურ მიდგომას. არ იკვეთება სასტარტო პირობების თავისებურებები, ასევე არაა მოცემული შიდა პოტენციალის ანალიზი, რაც მუნიციპალიტეტს არსებითი განვითარებისათვის წამყვანი დარგის განსაზღვრისა და შესაბამისი ღონისძიებებისა და ზომების დასაბუთებული ფორმულირების საშუალებას მისცემდა. განვლილი პერიოდის მიმოხილვისას არაა ნაჩვენები წინა პროგრამის გა-

ნხორციელებით მიღებული შედეგები, მიაღწია თუ არა პროგრამამ საბოლოო შედეგს, რამდენად ეფექტიანი იყო ის, გატარდა თუ არა რაიმე ცვლილება ეფექტიანობის გასაზრდელად. ასევე არაა წარმოდგენილი დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ წარმოებული გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც დადასტურდებოდა რომ განვლილი პერიოდის დასრულებული პროგრამა ეფექტიანი და შედეგიანი იყო. იგივე ნაკლოვანებებით ხასიათდება პროგრამების და ქვეპროგრაების ჩამონათვალი. ხშირ შემთხვევაში ზოგადად, კონკრეტული ციფრობრივი მაჩვენებლების გარეშეა ფორმულირებული მათი მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. პროგრამებს არ გააჩნიათ სრული რაოდენობის შესაბამისი საზომი მაჩვენებლები გრძელვადიანი პერიოდისათვის, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან შედეგებზე და გასაგებად აღწერენ პროგრამის დანიშნულებას. არაა განსაზღვრული პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც იზომება და მიიღწევა ეფექტიანობა. არაა ნაჩვენები დოკუმენტის კავშირები ეფექტურ თანამშრომლობასა და კოორდინირებაზე მასთან დაკავშირებულ სხვა პროგრამებთან თუ დოკუმენტებთან. ამდენად, მიუხედავათ ერთგვარი გამართული სტრუქტურისა, დოკუმენტის მიმართ ფორმალისტური დამოკიდებულება, მისი მომზადების არაჯეროვანი კვალიფიციურობა ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ხარისხს და აკნინებს იმ როლს რასაც ეს დოკუმენტი უნდა თამაშობდეს მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში.

თვითმმართველობის რეფორმის შემდგომ, ტერიტორიული კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულმა დაგეგმვამ თვითმმართველობის დონიდან გადაინაცვლა ზედა - რეგიონის, სამინისტროს, მთავრობის დონეზე. ამის წინაპირობები შეიქმნა ჯერ კიდევ 2010 წელს. საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიის მიერ მაშინ მომზადებული საქართველოს რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკური მოხსენება ამ საკითხთან მიმართებით რამდენიმე განმარტებას იძლევა, კერძოდ:

- თვითმმართველობის დონეზე „რეგიონის“ ქვეშ იგულისხმება მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი ქალაქები;
- მმართველობის დონეზე „რეგიონად“ განიხილება სახელმწიფო რწმუნებულის –გუბერნატორების კომპეტენციების გავრცელების ტერიტორიული არეალი;
- რეგიონის ბიუჯეტი - შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფო რწმუნებულების განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ფინანსური ნაკადების ერთობლიობა. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილებია: აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები და ამ ერთეულებში რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამებისათვის განსაზღვრული საბიუჯეტო სახსრები;
- რეგიონის ფინანსები - არის სახელმწიფო რწმუნებულებისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირებისა და შინამეურნეობების ფინანსები;
- რეგიონული განვითარება - ნიშნავს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს რეგიონში, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების ახალი, გამოუყენებელი პოტენციალის რეალიზებას, ეროვნული ეკონომიკური განვითარების მდგრადობას და დაჩქარებას, რეგიონის კონკურენტუნარიანობის ზრდას, რეგიონებს შორის განვითარების დონეების გამოთანაბრებას.
- რეგიონული განვითარების დაფინანსებაში - იგულისხმება ყველა ის ფინანსური ნაკადი, რაც მიმართულია რეგიონულ განვითარებაზე. რეგიონული განვითარების დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტი, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები, საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების სახსრები, კერძო სექტორის ფინანსები, გრანტები, შემოწირულობები და სხვა ფინანსური წყაროები, რაც კანონით არ არის აკრძალული.

აღნიშნული ტენდენცია დღეს დღეისობით კიდევ უფრო გა-

ნმტკიცდა, რამაც თავისი ასახვა მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებშიც ჰპოვა. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულებაში ცალსახადაა განსაზღვრული, რომ გუბერნატორის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს შორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება, ინვესტიციების მოზიდვისა და რეგიონალური განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა. მისსავე უფლებამოსილებას განეკუთვნება მთავრობის დავალებით შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პროგრამების განხორციელება შეადგენს. (მუხლები 5-ე, 6-1 ბ).

საქართველოს მთავრობის დონეზე რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უშუალო ფუნქციაა. სამინისტროს დებულებით მის ძირითად ამოცანებს შორისაა რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია, კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თაობაზე წინადადებების შემუშავება. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის უშუალო ამოცანებს განეკუთვნება კომპეტენციის ფარგლებში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრის და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შედგენის მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით. (მუხლები 2-2 ბ, 10-დ,ე).

და ბოლოს, რეგიონული ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის განსაზღვრისა და რეალიზაციის სახელმწიფო სისტემის ვერტიკალის საქმიანობა საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებში გაწერილი

ნორმებით რეგლამენტირდება. საქართველოს მთავრობაში შემუშავებული „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგიის“ მიხედვით, „ეროვნული განვითარების სტრატეგია“ - დაგეგმვის იერარქიაში უმაღლესი კატეგორიის დოკუმენტია, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება და უზრუნველყოფს ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. „ეროვნული განვითარების სტრატეგია“ სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს პოლიტიკის დაგეგმვის სხვა დოკუმენტები: სექტორული სტრატეგიები, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, სამოქმედო გეგმები და სახელმწიფო ბიუჯეტი. 2020 წელს „სტრატეგია 2020“-ის, სამთავრობო პროგრამა „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ და მთავრობის ოთხ პუნქტიანი გეგმის კვალობაზე მიღებულ იქნა 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავდა საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ის გვთავაზობს ჩარჩოს ინტეგრირებული ტერიტორიული ღონისძიებების განხორციელების კოორდინაციისთვის. რეგიონული განვითარების პროგრამა წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო დოკუმენტს, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს იდენტიფიცირებული განვითარების ბარიერების გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიული განვითარების ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, სამოქმედო პრიორიტეტებსა და განვითარების შესაბამის ღონისძიებებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ამ პროგრამის სა-

ფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N936 განკარგულებით დამტკიცებული რეგიონის განვითრების სტრატეგიის შემუშავების სახელმძღვანელოში მოცემული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომზადდა თითოეული რეგიონის განვითარების სტრატეგია.

გარდა სახელმწიფო უწყებებისა, ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების გეგმარებითი ან პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგი დოკუმენტებისა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდური, საფინანსო-ორგანიზაციული თუ ტექნიკური დახმარებით, მათი უშუალო მონაწილეობითა და ადგილობრივ და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით შეიქმნა. პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება" გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD 2)" და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)" ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა რამოდენიმე მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი (2020-2023 წლების) განვითარების დოკუმენტი. აღსანიშნავია ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული ინიციატივა M4EG „მერები ეკონომიკური განვითარებისთვის", რომლის ფარგლებშიც მომზადდა რიგი მუნუციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების გეგმები. 2021 წლიდან, M4EG ინიციატივის განხორციელებას უძღვება გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ევროკავშირთან (EU), ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში. ევროკავშირის დაფინანსებით ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"-ს მიერ განხორციელებული პროექტის „აჭარის რეგიონში თვითმმართველობის ორგანოე-

ბის შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში შემუშავდა აჭარის მუნიციპალიტეტების 2012-2022 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები.

მიმოვიხილოთ ის ფაქტორები და პრობლემები, რომლებიც განაპირობებენ ტერიტორიული განვითარების დაგეგმვაში არსებულ დაბალ ეფექტიანობას. ამ მიმართულებით უმთავრესი - ინსტიტუციური ხასიათის პრობლემების არსებობაა. რამოდენიმე ძირეულ ფაქტორს შორის, პირველ რიგში აღსანიშნავია რეალური დეცენტრალიზაციის განხორციელების პროცესის შეფერხება. საქართველოში ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების მართვა და დაგეგმვა ცენტრალურ დონეზე ხდება. თავად ტერიტორიული ერთეულების როლი მხოლოდ წინადადებების წარდგენითა და მცირე დელეგირებული ფუნქციების განხორციელებით შემოიფარგლება. ამდენად, რიგი პრობლემებისა ცენტრალური ხელისუფლების დონეზეა მოსაგვარებელი. საქართველოს მთავრობაში მომზადებული „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგიაშიც" ხაზგასმულია სერიოზული ხარვეზების არსებობის შესახებ:

- არ არსებობს უნიფიცირებული, სისტემური მიდგომა დაგეგმვის დოკუმენტების შესამუშავებლად;
- დაგეგმვის დოკუმენტების ხარისხი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო პრაქტიკით არსებულ მოთხოვნებს;
- არ არსებობს სახელმძღვანელო დოკუმენტი სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, რომელშიც განმარტებული იქნებოდა პოლიტიკის დაგეგმვის ციკლი, სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა და მათი შემუშავების მეთოდოლოგია;
- სუსტია ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების ადმინისტრაციული მექანიზმები, დოკუმენტების დიდი ნაწილი არ ითვალისწინებს თუ როგორ მოხდება ამა თუ იმ პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;

- სუსტია პოლიტიკის პროცესში საზოგადოების ჩართვის პრაქტიკა.

ამ ვითარებას ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ ტერიტორიული ერთეულებიდან, უმეტესს ძალზე მწირი ფინანსური და სხვა რესურსული შესაძლებლობები გააჩნია. მათ ბიუჯეტებს არა აქვთ საკმაო საკუთარი შემოსავალი რომ მასშტაბური განვითარების პროექტები თავად დააფინანსონ, ხოლო რეგიონულ სტრუქტურებს საერთოდ არ გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტები, როგორც ფინანსური ინსტრუმენტი. იგივე შეიძლება ითქვას სხვა რესურსებთან მიმართებაშიც: მუნიციპალურ საკუთრებაში მიწისა და ქონების რეალური, სტაბილური და ჩამოყალიბებული ბაზის არ არსებობა აფერხებს ამ პროცესს. შედეგად განვითარების მიმართულებების ზოგადი განსაზღვრა, ღონისძიებათა დაგეგმვა, დაფინანსება და მათ განხორციელებაზე კონტროლი ხისტად ცენტრალიზებულია, რაც რა თქმა უნდა ამცირებს ადგილობრივი ინსტიტუციების როლს ამ პროცესებში, ხოლო თავად პროცესს მოუქნელს ხდის, ართულებს მიმდინარეობის კონტროლს, ამცირებს ცვლილებათა დაგეგმვის და შეტანის ოპერატიულობას, ჯამში ეცემა მთლიანად პროცესის ეფექტურობა.

ტიპიურია თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამუშავებული განვითარების პროგრამების ხარვეზებიც. ერთიანი მეთოდური და მეთოდოლოგიური ბაზის არ არსებობა, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გაუთვალისწინებლობა, პროგრამის აგებისას მხოლოდ შიგა ფინანსური რესურსების გათვალისწინება, საბიუჯეტო პროცესის ანალიზის, დაგეგმვისა და პროგნოზირების არასასურველი დონე, დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიებისათვისშესაბამისი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების არაეფექტური გამოყენება, ნაკლები ზრუნვა პროგრამის დადებითი იმიჯის შესაქმნელად, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით - ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც ამ პროგრამების ნაკლოვანებებს წარმოადგენს.

საყურადღებოა ბოლო პერიოდში რეგიონული განვითარების ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრაში „უთანაბრობის დაძლევის“ პოლიტიკის პრევალირება. ამ პოლიტიკის ფარგლებში პრიორიტეტულია ღარიბი და ჩამორჩენილი ერთეულების მხარდაჭერის ღონისძიებები და არა განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის ღონისძიებების გატარება. პრაქტიკულად ეს გამოიხატება ნაკლებშემოსავლიანი ბიუჯეტების დეფიციტების გამოთანაბრებით შევსებაში, რაც დონორი ერთეულების დესტიმულირებას იწვევს. ამგვარი განვითარების დონის გამოთანაბრების პოლიტიკამ დღეისათვის თავისი თავი ამოწურა. სწორი სტიმულების არ ქონის პირობებში, არსებული რესურსების და სტრატეგიული პრიორიტეტების ბაზაზე განვითარების დაგეგმვის და ღონისძიებათა განხორციელების ნაცვლად ტერიტორიული ერთეულების განვითარების დონის მექანიკურმა გამოთანაბრებამ, ზოგიერთი ერთეულის განვითარების ფორსირების ფონზე, სხვა ერთეულების ჭარბი დეინდუსტრიალიზაცია და დეპრესია გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა დისპროპორციები მათ შორის. ამდენად, ამ გზით წარმოშობილი ახალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კომპლექსი განსაზღვრავს და დღის წესრიგში აყენებს ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების მართვის ეფექტურობის ზრდის აუცილებლობას და მოითხოვს სტრატეგიულ აზროვნებაზე და პროგრამული მართვის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ ახალ კომპლექსურ მიდგომებს. ყოველივე ეს თავს იყრის განვითარების დონის გამოთანაბრებისა და სხვაობათა შემცირების პოლიტიკიდან სტრატეგიული დაგეგმვის და მართვის პროგრამულ-მიზნობრივ მეთოდებზე გადასვლის აუცილებლობაში. ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება - ადგილობრივი ხელისუფლების ცენტრალური ფუნქციაა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური დღევანდელი ტრანსფორმაციის პერიოდშია. თუ ეკონომიკური პროცესები თვითდინებით წარიმართა მთლიანი ტრანსფორმაცია მტკივნეული იქნება; იმა-

ვდროულად, თუ ადმინისტრაცია აქტიურად იმოქმედებს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე, გამოიყენებს არსებულ უპირატესობებს და შექმნის ახალს, „ახალი ეკონომიკის" ჩამოყალიბება და განვითარება მინიმალური დანახარჯებით იქნება შესაძლებელი.

ჩვენთან, სამწუხაროდ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის უსისტემო სტილი მრავალ პრობლემას განაპირობებს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული საკითხებიც უკანა პლანზეა წანაცვლებული. რეალურად, ადგილობრივი ხელისუფლება ძირითად პოლიტიკურ საკითხად აღიქვამს წლიური ბიუჯეტის ფორმირებას.

ამ მიდგომის არასაკმარისობა უკვე ვლინდება ჯერ ერთი, განვითარების პროცესების სირთულისა და დაჩქარების გამო და მეორეც, საზოგადოებრივი და კერძო პარტნიორობის სულ უფრო მეტად გავრცელების გამოც, რაც მრავალი ინსტიტუციის ძალისხმევის კოორდინაციას და შესაბამისი მიმართულების მიცემას მოითხოვს. ამის ნათელი გამომხატველია თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა განმსაზღვრელ საკანონმდებლო ნორმაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავების ვალდებულების თაობაზე ჩანაწერის ცვლილებების ევოლუცია.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებათა ჩამონათვალი არ შეიცავს თვითმმართველობის ვალდებულებას ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზრუნვისათვის. პროგრამების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების და პროექტების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ზოგად ფორმებსა და მექანიზმებს წარმოადგენს. ამდენად, ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა თვითმმართველობის საქმიანობის პრიორიტეტების მიღმაა დარჩენილი - ის არაა სავალდებულო ხასიათის, თუმცა

თუ თვითმმართველობა ამ საკითხზე იზრუნებს, თითქოს მას არც არავინ დაუშლის. ამიტომაა, რომ ყველა სხვა სახის საქმიანობა (მათ შორის ბიუჯეტის ხარჯების მიმართულებების და პრიორიტეტების განსაზღვრაც) არ ეფუძნება განვითარების მიზნების ერთიან, მწყობრ, ჩამოყალიბებულ ხედვას, სტრატეგიას და მეტწილად სპონტანურია. იგი ატარებს არასისტემურ, კამპანიურ, ხშირად გაუაზრებელ ხასიათს და მისი სამწუხარო შედეგია - არაეფექტიანობა.

ამდენად, დღეისათვის აქტუალურია ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფის საჭიროება, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ამოცანების და რეალიზების მეთოდების განსაზღვრა, მართვის ახალი ინსტრუმენტების დანერგვა და მისი მეთოდების სრულყოფა. ამ მიზნით საჭიროა სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის ერთიანი სტანდარტების, მეთოდოლოგიის, ანალიტიკური ინსტრუმენტების, ინდიკატორთა გაანგარიშებისა და პროგნოზირების როგორც ერთიანი მეთოდების შემუშავება და შემდგომი დანერგვა.

დასასრულს, გამოვყოფდით იმ აქტუალურ საკითხებს რომელთაც, ჩვენი აზრით, უპრიანია ყურადღება მიექცეს პირველ რიგში და ასევე, დავსახავდით ამ პრობლემების დაძლევის მიმართულებებს, რითაც ნაშრომში წარმოდგენილი ვრცელი მასალის ერთგვარ შეჯამებას მოვახდენთ. წარმოდგენილი დასკვნითი ნაწილი მოიცავს ასევე ნიგნში განხილული ძირითადი საკითხების მოკლე მიმოხილვასაც.

სრულყოფას საჭიროებს ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების სისტემა. აუცილებელია რეგიონული და თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ამოცანებისა და რეალიზების მეთოდების მკაფიო განსაზღვრა, არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში თვითმმართველობების როლის გაზრდა. ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების მართვის მეთოდების სრულყოფის ამოცანათა აქტუ-

ალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სტრატეგიული დაგეგმვის, როგორც ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების მძლავრი ინსტრუმენტის აქტიური დანერგვა-გამოყენება, განსაკუთრებით თვითმმართველობის დონეზე ადგილობრივი ორგანოებისათვის ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავების აუცილებლობის თაობაზე იმპერატიული ნორმის დაწესება, ამისათვის შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სარეგულაციო-ნორმატიული ცვლილებების მომზადება და განხორციელება. სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის, კონკურენტუნარიანობის ზრდის, ტერიტორიათაშორისი ურთიერთქმედების მექანიზმების სრულყოფის, განვითარების დაჩქარების მიზნების მისაღწევად საჭიროა ანალიტიკური ინსტრუმენტების და ცნებათა კომპლექსის შემდგომი დამუშავება-დახვეწა, ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სტანდარტების, ერთიანი მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტების, ინდიკატორების პრაქტიკაში დანერგვა. სტრატეგიის შინაარსისადმი წაყენებული მოთხოვნების თეორიული ანალიზის და მიღებული პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებულია ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემდეგი სამოდელო სტრუქტურა:

- ტერიტორიის შიგა და გარე პირობების კომპლექსური ანალიზი;
- კონკურენტული პოზიციები და სტრატეგიული გამოწვევები;
- მისია, ხედვა;
- განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნების სისტემა;
- მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის ღონისძიებათა სისტემა;
- სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმები;
- სტრატეგიის რეალიზაციის მართვა.

კვლევის შედეგად ჩვენს მიერ მოწოდებულია ტერიტორი-

ული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ლოგიკა, რომელიც შემდეგ ექვს ძირითად ეტაპს მოიცავს:

- სიტუაციისა და განვითარების ფაქტორების ანალიზი;
- მიზნების ფორმირებისა და სტრატეგიული არჩევანის დასაბუთება;
- პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დამუშავება;
- რეალიზაციის მექანიზმის ფორმირება;
- სტრატეგიული არჩევანის რეალიზაცია;
- შედეგების შეფასება და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის, მსოფლიო ტენდენციებთან, ბაზრის პირობებთან და განვითარების შესაძლო მიმართულებებთან მიმართებით ეკონომიკისა და საზოგადოების მდგომარეობის გასათვალისწინებლად დაგეგმვის პროცესში მიდგომათა ერთიანობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეგიონულ დონეზე, თითოეული რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემდეგი საორიენტაციო ინდიკატორების პროგნოზირება:

- მოსახლეობის რიცხოვნობა და სხვა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები;
- მთლიანი შიდა პროდუქტის (დამატებული ღირებულების) მოცულობა და დინამიკა;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით;
- დასაქმების, უმუშევრობის, ხელფასების დინამიკა;
- ფასების ცვლილება სამომხმარებლო ბაზარზე;
- ბიზნეს სუბიექტების მოგება (კონსოლიდირებული ფინანსური შედეგი);
- ეკონომიკის დარგების მიხედვით ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა(დაქირავებულთა) რაოდენობა, შრომითი დანახარჯები, დამატებული ღირებულება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში);

- სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის და სოციალური სფეროს ძირითადი მაჩვენებლები;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი;
- ნაერთი ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები.

ჩვენს მიერ დამუშავებულია და შემოთავაზებულია მთავარ კომპონენტთა მეთოდის მეშვეობით ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის ანალიზის მეთოდოლოგია, რომელიც სათანადო წვლილს შეიტანს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის, სტრატეგიული დაგეგმვის, რეგიონული ეკონომიკური ანალიზისა და დიაგნოსტიკის, განვითარების სცენარების დამუშავების საქმეში.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კოგნიტიური ანალიზისა და მოდელირების ტექნოლოგიის დანერგვას, რაც საშუალებას მოგვცემს რთულ და განუსაზღვრელ სიტუაციებში სწრაფად, კომპლექსურად და სისტემურად დახასიათდეს არსებული ვითარება და ხარისხობრივ დონეზე შემოთავაზებულ იქნას გარემო ფაქტორების გათვალისწინებით პრობლემის გადაჭრის გზები. ამ სისტემის გამოყენება გაზრდის მკვლევარის შემოქმედებით შესაძლებლობებს, შესაძლებელს ხდის მოეწყოს კოლექტიური შემოქმედებითი საქმიანობა და უზრუნველყოფილ იქნას რთული სისტემების პროექტირების პირობებში წინმსწრები ინოვაციური მონაცემთა ბაზების შექმნა. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით, ახლებური მიდგომით, მარკოვის ჯაჭვების მათემატიკური აპარატის გამოყენებით გაანალიზდა ეკონომიკური სისტემის მდგრადობა, მისი მოსალოდნელი ტრაექტორია გარე ზემოქმედების გავლენის გამო გადახრებზე რეაგირების პირობებში. მიღებული შედეგებით დადასტურდა ამ მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა და საჭიროება.

„თეორიაზე ორიენტირებული" მიდგომების პარალელურად უფრო მეტად უნდა დაინერგოს პრაქტიკაში „მონაცემებზე ორიენტირებული" მიდგომა. ხელოვნური ინტელექტის, ხელოვნური ნეირონული ქსელების, მანქანური და ღრმა სწავლე-

ბის ალგორითმების, მონაცემთა მეცნიერების თანამედროვე მიღწევები ეკონომიკის პრობლემების, მათ შორის დაგეგმვის საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის მიმართულების განვითარების პრიორიტეტულ სფეროდ უნდა იქცეს. ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევით დადასტურდა, რომ ტერიტორიული ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირებისათვის ხელოვნური ნეირონული ქსელების გამოყენება მიზანშეწონილი და დასაბუთებულია. განსაკუთრებით იზრდება მათი როლი იმ მაჩვენებელთა ანალიზისა და პროგნოზირების დროს, რომლებიც ხასიათდებიან არასტაციონარულობით, დინამიურობით, გარკვეული ტრენდის არ არსებობით, პერიოდულობით, არაწრფივი სტრუქტურით. ამიტომ წასახალისებელია ამ მეთოდის დანერგვა რეგიონული ეკონომიკის კვლევებში, ტერიტორიული განვითარების გეგმების, სტრატეგიების, სამიზნო და ინდიკატური მაჩვენებლების პროგნოზირებისას.

არსებული პრიორიტეტების დოკუმენტების აბსოლუტური უმრავლესობის მომზადებისადმი ფორმალური დამოკიდებულება მის დაბალ ხარისხს განაპირობებს. გეგმა ვერ ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტრენდებს, ტერიტორიული განვითარების ახალ ინსტრუმენტებს, სტრატეგიები მოკლებულია მათი რეალიზაციის მექანიზმების აღწერას, მიბმული არიან მეტწილად მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსების წყაროებზე. აუცილებელია სხვადასხვა დონეების სტრატეგიების შეთანხმებისა და სინქრონიზების მექანიზმების სრულყოფა, რაც ზრდის ტემპების დაჩქარებას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან გამოყენებას. მნიშვნელოვანია სოციალურ პარტნიორობაზე დაფუძნებული სხვადასხვა აქტორების ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა სტრატეგიული დაგეგმვის მთელი პროცესის განმავლობაში, კერძო-სახელმწიფოებრივი პარტნიორობის წახალისება. უცხოური გამოცდილების განზოგადების საფუძველზე საჭიროა მოეწყოს საკითხთან დაკავშირებულ საჯარო მოხელეთა სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება სტრატეგიული

დაგეგმვის ინსტრუმენტების პრაქტიკაში დასანერგად, გაგრძელდეს სტრატეგიული დაგეგმვის ფართო გამოყენების პოზიტიური გამოცდილების დაგროვება. დღეისათვის აქტუალურია ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფის საჭიროება, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ამოცანების და რეალიზების მეთოდების განსაზღვრა, მართვის ახალი ინსტრუმენტების დანერგვა და მისი მეთოდების სრულყოფა. ამ მიზნით საჭიროა სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის ერთიანი სტანდარტების, მეთოდოლოგიის, ანალიტიკური ინსტრუმენტების, ინდიკატორთა გაანგარიშებისა და პროგნოზირების, როგორც ერთიანი მეთოდების დანერგვა.

Gocha Ugulava
Strategic Planning of Territorial Economic Development

SUMMARY

The modern stage of the country's economic development is characterized by a growing interest in the wider complex of local economic problems. Today, the system of state regulation of territorial economic development needs to be perfected. It is necessary to define the goals, objectives and methods of economic policy of regional and self-governing units, to increase the role of self-governments in solving existing social and economic problems. Unfortunately, the unsystematic style of work of local government bodies causes many problems, strategic issues of socio-economic development are also pushed to the background. In current practice, local government perceives the formation of an annual budget as a key political issue. The shortcomings of this approach are already evident, firstly, due to the complexity and acceleration of development processes, and secondly, due to the increasing prevalence of public-private partnerships, which require the coordination of efforts of many institutions and the provision of appropriate direction. The subject of the presented monograph is the Strategy of Territorial Social and Economic Development, which is considered as a system of measures aimed at achieving the long-term goals of socio-economic development of the country, taking into account the rational contribution of local authorities in solving these tasks. The main theme concerns the Strategic Plan for Territorial Economic Development, its structure, construction principles and logic, methods of forecasting indicators and mathematical modeling, strategic plans for territorial (regional) economic development developed at dif-

ferent levels of government, including regional development strategies, municipalities priority documents, etc.

In modern conditions, when the country's economy is increasingly reflected in development trends (globalization, rapid development of the service sector, the formation of a post-industrial society, increasing the role of the intellectual in production, total computerization of modern society, development of network forms, traditional sources of socio-economic growth) , It is becoming more and more important to find new ways of local self-development and decisive factors.

Georgian scientific sources share the opinion on the need for a scientifically substantiated, unified document of calculations and intentions for territorial units in Georgia, which will ensure the sustainable development of the region's economy based on the efficient use of resource potential.

Thus, the need to improve the system of state regulation of territorial economic development, to define the goals, objectives and methods of implementation of regional economic policy, the introduction of new management tools and the improvement of its methods. To this end, it is necessary to develop and implement common standards, methodology, analytical tools, calculation and forecasting of integrated strategic planning system as unified methods. As a result, uniformity of strategies at different levels, ie vertical as well as horizontal, their agreement, harmonization and improvement of synchronization mechanisms will be achieved.

The monograph examines the strategic planning of territorial economic development, the structure of the strategic plan, the procedure of the planning process, methodological approaches, existing gaps or shortcomings, ways to solve them. The book presents some innovations that can be used in the process of planning territorial economic development in the study of inequality and analysis of economic sustainability. It also discusses the current state of artificial intelligence, artificial neural networks and deep learning,

machine learning science research based on data-driven approach to planning and decision-making issues, possible development directions and perspectives.

The monograph consists of three chapters. The first chapter discusses the conceptual aspects of strategic planning for territorial economic development. Among them: theoretical foundations of forecasting and planning, stages of strategic planning development, foreign experience. Strategic economic development planning in the context of economic development regulation is analyzed here.

When discussing methodological and substantive aspects, the first task is to determine the apparatus of concepts of science or its field, to establish the toolkit through which the set goals of the research can be achieved. The initial chapters of the book discuss the existing definitions of key terms and concepts, as a result of which combined definitions of forecast, hypothesis, scenario, strategic planning are proposed. The concepts of territory, region and district are defined here. The paper discusses the experience of foreign countries (Germany, France, Norway, Sweden, Japan, China, India, Russia, United States) in the field of territorial strategic development planning, their path in this direction and analyzes the results achieved. It also reviews some areas of strategic thinking that have been grouped into ten core schools: design, planning, positioning, entrepreneurship, cognitive, teaching, government, culture, environment, and configuration. The existing theoretical material is analyzed in terms of the application of strategic planning in the context of economic development regulation and regional policy implementation: Friedman's "Development Corridors", Haier's "Development Axes", "Transport Corridor" concepts, "Growth Pole Theory", Weber's "Model of Cost Minimization", Friedman's "Theory of Regional Economic Development". In the context of strategic planning of territorial economic development in the general context of economic development, it is very important to focus on aspects such as sustainable development. An overview of the the-

oretical beginnings of procedural realization, which, according to modern approaches, is implemented through the social partnership mechanism.

The second chapter is devoted to issues of strategic planning methodology. The principles of building a strategic plan, its structure and planning procedures are discussed. Much attention is paid to the system of strategic planning indicators and the issues of economic-mathematical modeling of forecasting parameters. Modern and promising approaches to planning issues, including the use of information-computer computing systems, are reviewed.

The last part discusses the current state of strategic planning of territorial economic development in Georgia, analyzes the existing shortcomings, suggests ways to solve them, which is reflected in the final part of the book.

Strategic planning procedures do not allow the use of absolutely uniform approaches, as territorial units differ from each other in many different parameters. Based on the theoretical analysis of the requirements for the content of the strategy and the generalization of the accepted practice, we have developed the model structure of the territorial economic development strategy.

In the process of evaluating competitive positions and strategic challenges, the following methods are considered for the analysis of research results: SWOT-analysis, PEST-analysis (PESTLE), Porter's five competitive force model, Boston Consulting Group Matrix (BCG Matrix), General Electric or McKinsey (GE / Mckinsey) matrix, Arthur Little (ADL) matrix, Ishikawa diagram, Delphi method. Examining the existence of predetermined elements and key uncertainties in the subject environment and combining them to formulate alternative scenarios for the future allows them to be considered as equally possible potential realizations in the future. Which is the essence of scenario planning.

The most important element of the methodology is the principles of strategic planning of territorial economic development,

which should be taken into account in the process of forming an economic development strategy. Based on the results of our generalization and classification, the following principles have been identified: complexity, systematicity, adaptability, variability, heredity, balance of interests, legitimacy, publicity, governance and professionalism. One of the key components of the methodology is the logic of the strategic planning process of territorial economic development and it includes six main stages: analysis of situation and development factors, formation of goals and justification of strategic choice, elaboration of main policy directions, formation of implementation mechanism, implementation of strategic choice, evaluation of results and feedback.

A necessary condition for the successful strategic management of the territorial economic system is the existence of a standardized set of quantitative and qualitative indicators characteristic of the management facility and its environment. Indicator – a value that determines the qualitative and quantitative characteristics of economic events and processes and is important in terms of achieving the goals of territorial development and solving them. The monograph discusses the issues of their classification: general (comparable) and specific (variation) groups are separated, - target and management indicators. Including: Target indicators as key indicators of strategic goals; As key indicators for specific tasks; And as auxiliary indicators for monitoring the implementation of future targeted programs and activities; Management Indicators - Strategic document quality assessment indicators and plan implementation management indicators. According to the depth of processing - primary indicators, specific and structural indicators, index indicators. The thesis provides an recommended list of indicators at the regional level.

A key element in monitoring the implementation of a strategic plan is the performance indicator (efficiency indicator) - a variable that allows us to check for changes in development or show

results in relation to the plan. Performance indicators must meet the following requirements established in international practice: 4C principle, SMART principle, CREAM principle. The book focuses on the concept of economic forecasting, the study of regularities and methods of economic forecasting. The economic-mathematical model is a means of studying economic development and regularities of processes. The thesis details the classifications of economic-mathematical models, the principles of developing a system of forecasting models, the requirements for individual forecasting models and their systems.

In addition to analyzing and forecasting indicators of economic development and strategy implementation effectiveness, the study of the level of economic development inequality between territories is essential in the strategic planning process. We proposed a new method algorithm for calculating aggregate rate for the study of territorial economic development inequality. The approach was developed in the framework of Kutaisi University's internal scientific grant project "Economic Development of Georgia under COVID-19 Macroeconomic and Regional Aspects", and were approbated publishing in internationally reviewed journal. The practical importance of the monograph is due to the fact that the classification of regions according to the stages of inequality identified in the research process will allow us to:

